პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეცხრე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ქამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 63, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76 ) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ფასდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია ქამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ოთხშაბათი, 26 ივნისი 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 144 (2490)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღიური

- პოლიტპატიმართა შიმშილობა სოფიის ციხეში.
- შვეციაში იზრდება ინტერესი საბჭოთა კულტურისადმი.
- ესტონეთში შემოიღეს კინო-ცენზურა.
- ინდოეთში დააპატიმრეს 90 წლის მწერალი ჩატერჯი.
- პოლიციის თავდასხმა კომპარტიის მიტინგზე რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია).
- შვეციის კომკავშირის საჩუქარი კომკავშირის ვიატკის ორგანიზაციას.
- იტალია ყოველწლიურად კოლონიებზე ხარჯავს 800 მილ. ოქროს ლირას.

## საქ. კ. პ. (ბ) მე-VI ყრილობა

გაიხსნება 1-ლ ივლისს, საღამოს 6 საათზე, მელითონეთა კლუბის საზაფხულო შენობაში, პლეხანოვის პროსპ. № 123 (ყოფ. ც. მ. კ.)

დღის წესრიგი:

1. საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ანგარიში—ამხ. კახიანი.
2. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის ანგარიში—ამხ. სტურუა.
3. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
4. საქ. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ—ამხ. ფ. მახარაძე.

თანამოხსენება საქართველოს მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ— ამხ. ყურულაშვილი.

5. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების გზებისა და სოფლად მუშაობის შესახებ—ამხ. ლ. ღოღობერიძე.
6. არჩევნები.

დელეგატების რეგისტრაცია და მანდატების გაცემა იწარმოებს ც. კ.-ის საორგანიზაციო - საგანმანაწილებლო განყოფილებაში (ოთახი № 2 და 3) 1929 წლის ივნისის 30-ის დილის 10 საათიდან.

სადგურში საჭირო ცნობების მიღება შეიძლება გაერთიანებულ სახ. პოლიტსამმართველოს მორიგე აგენტთან.

საორგანიზაციო კომისია

## თბილისის მე-10 პარტკონფერენცია

გაიხსნება

დღეს, 26 ივნისს, საღამოს 6 საათზე, თბილისის მუშათა თეატრის შენობაში (ყოფ. ზუბალოვის სახლი) ჟორესის ქუჩაზე

ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის, ა.-კ. საკონტროლო კომისიის, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და თბილისის კომიტეტის წევრები, რომელნიც არ არიან კონფერენციის დელეგატები, — კონფერენციაზე შედიან საკუთარი მანდატებით

## სალამი თბილისის ბოლშევიკთა მე-X კონფერენციას!

დღეს იხსნება საქ. კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-10 კონფერენცია. ჩვენი პარტიის მასები და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა და ადევნებს თვალს თბილისის ორგანიზაციის მუშაობას. საქართველოს პირობებში თბილისი ერთ-ერთი იმ მძლავრ ხელმძღვანელ პროლეტარულ ცენტრთაგანია, რომელიც სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს სხვა რაიონებისათვის. თბილისის ორგანიზაცია მუდამ პირველ რიგში იდგა ბოლშევიკური პრინციპების მტკიცედ დაცვისა და პარტიულ გადაწყვეტილებათა შეურყევლად გატარებისათვის ბრძოლაში.

ამიტომ თბილისის პარტორგანიზაციის მე-10 კონფერენციის დადგენილებებს დღევანდელ მდგომარეობისა და მორიგ პრაქტიკულ ამოცანების შესახებ უეჭველად თავისი მნიშვნელობა ექნება საქართველოს კომუნისტური პარტიის შემდგომ მუშაობაში.

სოციალისტური რეკონსტრუქციის ეტაპი, რომელზედაც შევდგით ფეხი სახალხო მეურნეობის აღორძინებითი პერიოდის დასრულების შემდეგ, მთელი თავისი სიმწვავით აყენებს ჩვენს წინაშე საკითხს ინდუსტრიალიზაციის კურსის შემდგომ გაღრმავება-გაფართოებისა და სოფლის წვრილ მეურნეობათა გაცხოველებული ტემპით კოლექტიურად დარაზმვის შესახებ. ამ ბრძოლაში პარტია გააფთრებულ შეტევას აწარმოებს კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად ქალაქად და სოფლად. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა იწვევს კლასობრივ შეხლა-შემოხლის გამწვავებას, რისი მოწმენიც ჩვენ დღეს ვართ.

არა ერთხელ გვქონია საშუალება დავრწმუნებულიყავით, რომ ჩვენს პირობებში, სადაც ლენინური პარტია წარმოადგენს ერთად-ერთ ლეგალურ პოლიტიკურ და ხელმძღვანელ ორგანიზაციას, ანტისოციალისტური ელემენტები ცდილობდნენ თავიანთ იდეოლოგიურ მოსარჩლეების მოპოვებას თვით პარტიის ფენებში. და ისინი ამ მოსარჩლეებს კიდევაც პოულობდნენ.

მემარჯვენე გადახრა, რომელიც წარმოიშვა კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ დაუნდობელ შეტევის საფუძველზე, აშკარა ოპორტუნისტული მოთხოვნილებებით გამოდის და ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ შეასუსტოს მეხუთმეტე პარტიულ ყრილობის მიერ დასახული კურსის გატარება ქალაქისა და სოფლის ანტიპროლეტარულ ფენების სასარგებლოდ. მემარჯვენე გადახრა, ჩვენი განვითარების მიმდინარე პერიოდში, პარტიის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. მართალია ის არ არის ჩამოყალიბებული ცალკე ფრაქციულ ორგანიზაციად, მაგრამ უდაოა, რომ პარტიის ყველაზე მერყევ და ჩამორჩენილ ელემენტებში, რომელნიც ექცევიან აშკარა წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიის გავლენის ქვეშ, არის ასეთი ტენდენციებიც. გარდა ამისა მემარჯვენე გადახრა უკვე პოულობს პრაქტიკულ გამოხატულებას. სმოლენსკის, არტიომოვსკის, ასტრახანის და ზოგიერთ სხვა პარტიულ ორგანიზაციებში აღმოჩენილი პოლიტიკურ და მორალურ გახრწნის ფაქტები იმის მჭერმეტყველური საბუთია, რომ მემარჯვენე გადახრა ჩვენს წინაშე არ სდგას როგორც მარტო თეორეტიული პრობლემა, ის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაშიაც იჩხამს ფრთებს და ამახინჯებს პარტიის გენერალურ ხაზს. ამიტომ გასაგებია, რომ ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ წარმოადგენს მთელი პარტიული მასის მთავარ და გადაუდებელ ამოცანას. უდაოა, რომ თბილისის პარტიული კონფერენცია ბოლშევიკური დაუნდობლობით ერთხელ კიდევ დაჰგმობს მემარჯვენე გადახრას და მასთან შემარიგებლობას და მოუწოდებს პარტიულ მასებს მარჯვნით შეტევის გაძლიერებისაკენ.

ამავე დროს პარტიამ უნდა აწარმოოს და გააძლიეროს შეუნელებელი ბრძოლა კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმის წინააღმდეგ. დღეს უკვე არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ტროცკიზმი გაშიშვლებული კონტრ-რევოლიუციის მედროშეთ გამოდის. ის არ იხევს არავითარ საშუალების წინაშე იმისათვის, რომ გააჩაღოს სამოქალაქო ომი პროლეტარულ ხელისუფლების წინააღმდეგ. თავის ამ ბნელ ზრახვათა განხორციელებისათვის ტროცკიზმი მზად არის გამოიყენოს ლეგალური და არალეგალური ბრძოლის ყველა შესაძლებლობანი. „მემარცხენე“ ოპოზიცია აშკარად აყენებს საკითხს ხელისუფლების ბრძოლით დაპყრობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ტროცკიზმის უბადრუკი ნაშთები ჯერ-ჯერობით კიდევ აჩერხებენ „თავის შემონახვას“ პარტიის რიგებში. „მემარცხენე“ გადახრის პირწავარდნილ კონტრ-რევოლიუციონურ ბუნების შემდგომ ულმობელ და სისტემატიურ გამომჟღავნებასთან ერთად, დაუნდობლად უნდა იქნან გაძევებული ჩვენი რიგებიდან ისინი, ვინც ცდილობს თავის მოღალატურ ტროცკისტულ მუშაობის პარტიის შიგნიდან წარმოებას. ეს კიდევ ცოტაა. საბჭოთა ხელისუფლებამ იცის ანგარიშის გასწორება მუშათა კლასის მტრებთან. ტროცკიზმი დღეს კონტრ-რევოლიუციის სინონიმია, ცხადია, მის წინააღმდეგ საბრძოლველად იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ პარტიულ ღონისძიებათა გარდა მთელი სისასტიკით უნდა იქნას გამოყენებული პროლეტარიატის დიქტატურის დამსჯელი აპარატის ხელი.

კონფერენციის დღის წესრიგში სდგას უაღრესი მნიშვნელობის პრაქტიკული ამოცანა. კონფერენციამ უნდა განიხილოს ჩვენი სახალხო განათლების ეხლანდელი მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები. თავისთავად ცხადია, სოციალისტური მშენებლობის წარმატებით განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული სახალხო განათლების საკითხების მოგვარებასთან. ამ მიზნით გაძლიერებული იერიში უნდა ვაწარმოოთ მშრომელი მასების კულტურული ჩამორჩენილობის წინააღმდეგ. ბოლო უნდა მოეღოს წერა-კითხვის უცოდინარობას, რაიც მასიურ მოვლენას წარმოადგენს შედარებით მოწინავე რაიონებშიაც კი. გარდა ამისა, უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს სოციალისტური მშენებლობისათვის კადრების მომზადების საკითხს. ჩვენი სახალხო მეურნეობა კვალიფიციურ მუშა-ხელის დიდ ნაკლებობას განიცდის. სკოლის სპეციალიზაციის უფრო რადიკალურად და მიზანშეწონილად გატარება სახალხო განათლების ერთ-ერთ მთავარ გადასაჭრელ ამოცანას წარმოადგენს. ამ ამოცანის განხორციელებას პარტიულ და საბჭოთა ორგანოების განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ამავე დროს საჭიროა მუშაობის გაცხოველება არსებულ სასკოლო ქსელის კეთილმოწყობის გაუმჯობესებისათვის ამ სიტყვის ფართო გაგებით. მასწავლებელთა კადრების მომზადება, პედაგოგიურ პერსონალის მატერიალური მდგომარეობის თანდათანობითი გაუმჯობესება, მოსწავლე ახალგაზრდობის ნივთიერი პირობების შემდგომი გაუმჯობესება და სკოლების მოწყობილობათა გაფართოება, ასეთია ის მწვავე საკითხები, რომელთაც აყენებს ჩვენს წინაშე არსებულ სასკოლო ქსელის განმტკიცება-გაჯანსაღების აუცილებლობა. თბილისის პარტიული კონფერენცია განიხილავს სახალხო განათლების ყველა ამ საჭირბოროტო საკითხებს და შესაფერ მითითებებს მოგვცემს სახალხო განათლების მუშაობის დარგში, მაგრამ ეს არ კმარა. არსებულ სიძნელეებს ჩვენ დავძლევთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საქმეში პარტიას აქტიურ დახმარებას გაუწევს ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კონფერენციის დადგენილებები, როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც შესაფერ გამოხმაურებას ჰპოვებს მშრომელ მასებში. კონფერენციის ბოლშევიკური გადაწყვეტილებებს მტკიცედ გაატარებენ ცხოვრებაში ყველა ადგილობრივი ორგანიზაციები და მათ გარშემო დარაზმული მშრომელი მასები.

სალამი თბილისის ბოლშევიკთა მეათე კონფერენციას!

## ინგლისის რეფორმისტები მემაღაროეთა წინააღმდეგ

### სამხრეთ-უელსის მემაღაროეთა კონფერენციამ უარჰყო 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის წინადადება

## ჩინეთში გაცხოველდა კომუნისტური რაზმების მოქმედება

### სამხრეთ-სლავიის წილი გერმანიის რეპარაციებში უდრის 3 მილიარდ 345 მილ. ოქროს მარკას

## კომუნისტური რაზმები ჩინეთში

**შანხაი,** ჩინური გაზეთები აღნიშნავენ, რომ ჩინეთში გაცხოველდა კომუნისტური რაზმების მოქმედება. მათ დაიჭირეს ქალაქი სანძიუ-იესი და ემუქრებიან ქალაქ ლიუანს. სამხრეთში კომუნისტურმა რაზმებმა, პან-ტეგუაიას მეთაურობით, ხელთ იგდეს ქალაქები ჩენი და გუიდუნი. ჩანშას მახლობლად კომუნისტურმა რაზმებმა დაიჭირეს ქალაქი ლიუიანი.

გუანდუნში შეიჭრა კომუნისტური არმიის 5.000 ჯარისკაცი. მათ დაიჭირეს ჩეკიანი, იუშინგი, კვეიტუნგი და სხვ. კომუნისტური რაზმები ემუქრებიან რაიონის უდიდეს ქალაქ ჩიუჩიოს. (სდს).

## ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა

**ნიუ-იორკი,** 24 ივნისი. ოტავადან (კანადის დედა ქალაქი) მიღებული ცნობით, ინგლისის მთავრობამ აცნობა დომინიონების მთავრობებს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს განაახლოს დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. (ადს).

## სამხრეთ-სლავიის წილი გერმანიის რეპარაციებში

**ვენა,** როგორც „სამხრეთ-სლავიის ლოიდ“-ი იუწყება, სარეპარაციო კომისიის დადგენილების თანახმად, სამხრეთ-სლავია 37 წლის განმავლობაში რეპარაციების ანგარიშში მიიღებს 3 მილიარდ 345 მილიონ ოქროს მარკას. პირველ (1929-30) წელს იგი მიიღებს 72,1 მილიონ ოქროს მარკას. ეს თანხა თანდათან გადიდდება და 1966-67 წელს მიაღწევს 106 მილიონ მარკას. მეორე პერიოდში—1966-67 წლიდან 1988 წლამდე —სამხრეთ-სლავია მიიღებს წლიურად 384 მილიონ ოქროს მარკას.

**სამხრეთ-სლავიის წილი გერმანიის რეპარაციებში საგრძნობლად არის შემცირებული.** დაუესის გეგმით, იგი დღემდე ღებულობდა 125 მილიონ მარკას წლიურად. (ადს)

## რუმინეთს სესხზე უარი უთხრეს

**ვენა,** ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, უშედეგოდ დამთავრდა ის მოლაპარაკება, რომელიც სწარმოებდა რუმინეთსა და საფრანგეთის, ინგლისის და გერმანიის ფინანსისტებს შორის იმის შესახებ, რომ რუმინეთისთვის მიეცათ სესხი სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის და გადაეხადათ სასტაბილიზაციო სესხის მეორე ნაწილი. (სდს).

## პან-ევროპიული იდეის პროპაგანდა ბალტიის ქვეყნებში

**რეველი.** იმ უმნიშვნელო შედეგების გამო, რომელიც დასავლეთში პან-ევროპიული იდეების ქადაგებამ გამოიღო, ამ მოძრაობის მეთაურები იძულებულნი გახდნენ ყურადღება მიექციათ ბალტიის ქვეყნებისაკენ იმ მიზნით, რომ იქ მოამზადონ ნიადაგი ანტისაბჭოთა ბლოკისათვის. რეველში ჩავიდა პანევროპიული ლიგის წარმომადგენელი დეიჩი, რომელმაც გააკეთა მოხსენება პან-ევროპიული ლიგის მიზნების შესახებ. „ჩვენ მივისწრაფვით,—სთქვა მან,—ევროპის ქვეყნების თანამშრომლობისაკენ სრული დამოუკიდებლობის დაცვით შინაურ საკითხებში. პან-ევროპიული კავშირი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელებს წინადადებას აძლევს—მოიწვიონ კონფერენციები პანევროპიული მოძრაობის საკითხების განსახილველად, დეიჩმა განაცხადა, რომ ბალტიის ქვეყნები განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი პან-ევროპის არსებობით, რაც მათი უშიშროების გარანტია იქნება. (ადს)

## სამხრეთ-უელსის მემაღაროეთა რაიონული კონფერენცია

**ლონდონი,** 24 ივნისი. სამხრეთ-უელსის მემაღაროეთა რაიონული ფედერაციის მორიგ წლიურ კონფერენციაზე კარდიფში დამთავრდა ფედერაციის თანამდებობებზე პირთა არჩევნები. კომუნისტმა **არტურ ხორნერმა,** რომელიც დასახელებულ იქნა კანდიდატად ფედერაციის თავმჯდომარის თანამდებობაზე, მიიღო 17 ხმა. ფედერაციის თავმჯდომარედ ხელახლა აირჩიეს **მორელი,** რომელმაც 112 ხმა მიიღო.

კონფერენციამ უარჰყო მემარცხენე ფრთის მიერ შემოტანილი წინადადება, რომელიც მოითხოვდა მემაღაროეთა სრულიად ინგლისის კონფერენციის მოწვევას. ამ წინადადების თანახმად, კონფერენციას უნდა მოემზადებია ბრძოლა სრულიად ინგლისის სატარიფო შეთანხმების დასადებად. ხსენებული წინადადების ნაცვლად, მიღებულ იქნა უფერული რეზოლიუცია, რომელიც წინადადებას აძლევს ფედერაციის აღმასკომს — კონტაქტი დაამყაროს მემაღაროეთა დანარჩენ რაიონულ ფედერაციებთან, აგრეთვე ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციასთან იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სრულიად ინგლისის სატარიფო შეთანხმების დადება წლის დამლევს, როცა ვადა გაუვა რაიონულ შეთანხმებებს.

კონფერენციამ უარჰყო აგრეთვე მემარცხენე ფრთის მეორე წინადადება, რომელიც მოითხოვდა ბრძოლის გაძლიერებას 7 საათის სამუშაო დღის შემოღებისთვის და, თუ საჭირო იქნება, გაფიცვის გამოცხადებას და სარემონტო სამუშაოების შეჩერებას მაღაროებში.

კონფერენციამ უარჰყო ფორესტის მემაღაროეთა პროფკავშირის წინადადება, რომელიც მოითხოვდა არტურ კუკის გადაყენებას ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის გენერალური მდივნის თანამდებობიდან. განზრახულია ამ წინადადების შეტანა ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის მორიგ წლიურ კონფერენციაზე, რომელიც შესდგება 22 ივლისს ბლეკპულში. (ადს).

## თავდასხმა კომპარტიის მიტინგზე

**ნიუ-იორკი,** 24 ივნისი. რიო-დე-ჟანეიროდან (ბრაზილიის დედა ქალაქი) მიღებული ცნობით, პოლიცია თავს დაესხა ბრაზილიის კომპარტიის მიერ მოწვეულ მიტინგს. პოლიციამ დააპატიმრა მიტინგის ბევრი მონაწილე. შემდეგში განთავისუფლეს 172 დაპატიმრებული. (სდს).

## საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

### ლიტვური გაზეთი საბჭოთა კავშირის ეროვნული პოლიტიკის შესახებ

**კოვნო,** ლიტვური გაზეთი „მუსუ ვილნიოს“-ი იძულებულია აღიაროს საბჭოთა კავშირის მიღწევები ეროვნულ საკითხში. „საინტერესო იქნება აღვნიშნოთ,—სწერს გაზეთი,— რომ საბჭოთა ბელორუსიაში აღწერეს აქ მცხოვრები ლიტველები, მათთვის გაიხსნა ლიტვური სკოლები, იბეჭდება სახელმძღვანელოები ლიტვურ ენაზე და სხვ. ლიტველთა ბავშვებს, რომლებიც დაშორებულნი არიან თავიანთ სამშობლოს, საშუალება აქვთ ისწავლონ სამშობლო ენა. (სდს).

### შვეციის ინტერესი საბჭოთა კულტურისადმი

**სტოკჰოლმი.** უკანასკნელ დროს შვეციაში შემჩნეულია თვალსაჩინო ინტერესი საბჭოთა კავშირის ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებისადმი, უფსალისა და სტოკჰოლმის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებს ათი ათასობით აქვთ რუსული წიგნები, ჟურნალები და გაზეთები. ამას წინათ უპსალის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **პერ გებემ** საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა და „საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საშუალებით საბჭოთა კავშირიდან გამოიწერა 6.000 რუსული წიგნი, რომლებიც ეხებიან ხელოვნების, ლიტერატურის და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საკითხებს, აგრეთვე რუსეთისა და შვეციის ურთიერთობას ისტორიული თვალსაზრისით. საბჭოთა კავშირისადმი ინტერესის თვალსაჩინო ზრდას ხელი შეუწყო აგრეთვე შვედ მეცნიერების **ეინარ კარლსონისა** და **პერ გებეს** მგზავრობამ საბჭოთა კავშირში. ამ მეცნიერებმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირმა მათზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა. (სდს).

## ლიბერალთა საერთაშორისო კონგრესი სტოკჰოლმში

**სტოკჰოლმი.** 26-28 ივლისს სტოკჰოლმში გაიხსნება ლიბერალების და რადიკალების საერთაშორისო კონგრესი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ინგლისის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, გერმანიის, ბელგიის, პოლონეთის, შვეიცარიის, ნორვეგიის, დანიის, ფინლიანდიის, შეიძლება შეერთებული შტატების და სხვა ქვეყნების დელეგატები.

კონგრესი დაიხილავს სამ საკითხს: 1) მიწის საკითხი (მომხსენებელი შვეციის მიწათმოქმედების ყოფილი მინისტრი **შტოკენშტრემი** თანამომხსენებლები—ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები), 2) უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხი (მომხსენებელი ინგლისის ლიბერალური პარტიის წევრი), 3) საკითხი მთავრობის შედგენის შესახებ, მაშინ, როდესაც არც ერთ პარტიას არა ჰყავს უმრავლესობა (მომხსენებელი შვეციის იუსტიციის ყოფილი მინისტრი—პროფ. **ტარენი.** (სდს).

## პოლიტპატიმართა შიმშილობა

**ვენა,** 24 ივნისი. ბულგარეთის მუშათა პარტიის ორგანოს „რაბოტნიჩესკო დელო“-ს ცნობით, სოფიის ცენტრალურ საპატიმროში შიმშილობა გამოაცხადა 152 პოლიტპატიმარმა. **პატიმრები მოითხოვენ სრულ პოლიტიკურ ამნისტიას, ბულგარეთის კომპარტიის და კომკავშირის ლეგალიზაციას და სახელმწიფოს დაცვის კანონის გაუქმებას.** (ადს).

## სიღატაკის ზრდა ინგლისში

**ლონდონი,** მარტის დამლევს იმ პირთა რიცხვი, რომელთაც ინგლისში ღარიბთა შემწეობის ფონდიდან დახმარება მიიღეს, 1.107.000 კაცს უდრიდა, მაშინ, როდესაც წარსულ წელს ასეთ პირთა რიცხვი უდრიდა 1.103.000 კაცს, ხოლო 1914 წელს—644.000 კაცს.

კანონის ძალით, დახმარება ეძლევა მხოლოდ ისეთ პირებს, რომლებიც უკიდურეს ხელმოკლეობას განიცდიან. (სდს).

## კინო-ცენზურის შემოღება ესტონეთში

**რეველი,** სოციალისტურმა გაზეთმა „რახვა სენა“-მ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა კინო-ცენზურის შესახებ: „შინაგან საქმეთა მინისტრის სავალდებულო დადგენილების ძალით, ყველა კინო-ფილმმა ესტონეთში ცენზურა უნდა გაიაროს. ამ ცენზურამ შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ კინოებში უჩვენებენ მხოლოდ ამერიკულ ბანალურ სურათებს, რომლებიც ხელს უწყობენ მოსახლეობის ზნეობრივ გახრწნას. ამავე დროს ისეთი სერიოზული ფილმები, როგორიც არის მაგალითად, „ვოლგელი ბურლაკი“, „მეფე და პოეტი“ და სხვები, საგრძნობლად იკვეცება. „ჯავშნოსანი პატიომკინი“-ს მაგვარი მთელი ფილმები აკრძალეს. გაზეთების ცნობით, განათლების მინისტრმა **მომანსონმა** წინადადება შეიტანა კინო-ცენზურის მოხსნის შესახებ. (ადს)

## რამდენს ხარჯავს იტალია კოლონიებზე

**რომი.** კოლონიათა სამინისტრომ გამოაქვეყნა კოლონიების შესანახად გაწეული ხარჯის ანგარიში. **კოლონიებზე ყოველწლიურად იხარჯება 800 მილიონი ოქროს ლირა.** აქედან 600 მილიონს თვით იტალია ხარჯავს, დანარჩენს—კოლონიები. **ამ ხარჯის დიდი ნაწილი ხმარდება ჯარის შენახვას.** ტრიპოლისში ეს ხარჯი 220 მილიონს აღემატება, კირენაიკში—206 მილიონს, ერიტრეაში—26 მილიონს, სომალში—26 მილიონს, სულ 470 მილ. დიდი თანხა ხმარდება აგრეთვე ადმინისტრატიულ აპარატს—დაახლოვებით 60 მილიონი ლირი. (სდს).

## ტარიფის გადიდება გერმანიის რკინისგზებზე

**ბერლინი.** რკინის გზის სამმართველო ოფიციალურად აცხადებს, რომ იგი წინადადებას შეიტანს ტარიფის გადიდების შესახებ. თავის წინადადებას რკინის გზა ასაბუთებს საარბიტრაჟო ხელშეკრულების დამტკიცებით, რომელიც რკინისგზელთა ხელფასის გადიდებას ითვალისწინებს. (ადს).

## გაერთიანებული ფრონტით კულაკების წინააღმდეგ

(სას.-სამ. გადასახადის ობიექტების სააღრიცხვო კამპანიის გამო).

სოფლად ამჟამად წარმოებს სასოფლო - სამეურნეო გადასახადით დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა. ამ კამპანიას უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ საშემოსავლო წყაროების სწორი აღრიცხვა დაწესებულ გადასახადის სრულად აკრების და, მაშასადამე, სახელმწიფოს ფინანსიურ განმტკიცების ერთ-ერთი პირობათაგანია. უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ამ კამპანიას, ერთი მხრით, სოფლად ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით, მეორე მხრით — სასოფლო მეურნეობის შემდგომი განვითარების წარმატებისათვის.

მით უფრო საჭიროა განსაკუთრებული ყურადღების დათმობა აღნიშნულ მუშაობისადმი, რომ ის ხდება ახალი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის კანონის საფუძველზე. ეს კანონი კი ბევრ რამეში საგრძნობლად განსხვავდება წინად მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობისაგან. განმარტებითი კამპანია ამ კანონის პოპულიარიზაციისათვის თუმცა საკმაოდ ფართოდ იქნა ჩატარებული, მაგრამ მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ ყოველი გლეხი საფუძვლიანად იცნობდეს მას. ამიტომ დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვის დროს გლეხობას კიდევ უნდა აეხსნას ჩვენი საგადასახადო პოლიტიკა სოფლად და ახალი კანონის შინაარსი და მიზნები.

ამ კანონს სამი ძირითადი პრინციპი უდევს საფუძვლად: 1) ღარიბ და საშუალო გლეხობის ინტერესების დაცვა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესება, 2) გადასახადის ტვირთის კულაკებზე გადატანა და მეურნეობის კაპიტალისტური სექტორის ზრდის შეზღუდვა სოფლად და 3) მშრომელ გლეხობის მეურნეობათა განვითარებისათვის ხელის შეწყობა და ამ მხრივ წამახალისებელ პირობების შექმნა. საღრიცხვო მუშაობამ და მისმა შედეგებმა ნათლად უნდა დაანახვოს სოფლის მოსახლეობას, რომ ეს პრინციპები მტკიცედ და გადაუხრელად ტარდება.

რა თქმა უნდა, ამ დარგში ჩვენს წინაშე საკმაოდ ძნელი ამოცანები დგანან. აიღეთ, მაგალითად, შემდეგი მომენტი: კანონი ითვალისწინებს გადასახადისაგან მიწის იმ სივრცის განთავისუფლებას, რომელიც მშრომელმა გლეხობამ წინა წელთან შედარებით დამატებით დაამუშავა. ან და აგეთი გარემოება: მთელი რიგი მნიშვნელოვანი შეღავათები ეძლევათ იმ მშრომელ გლეხებს, რომელთაც ესა თუ ის თვალსაჩინო გაუმჯობესებანი შეიტანეს თავის მეურნეობებში. ყოველივე ამის აღნუსხვა დიდ დაკვირვებას მოითხოვს. აქ ორნაირი შეცდომაა მოსალოდნელი. შეიძლება ზოგიერთმა მეურნეებმა, გადასახადის შემცირების მიზნით, მოინდომონ ახალ მიღწევებად გაასაღონ თავისი წინანდელი სამეურნეო წარმატებანი. მეორე მხრით ისიც შესაძლებელია, რომ აღმრიცხველმა ორგანოებმა თუ მუშაკებმა ვერ გაითვალისწინონ ახალი მიღწევები, რომელნიც კანონის თანახმად გლეხობას შეღავათებს ანიჭებს, და ამით მოსახლეობის თვალში ამ კანონისადმი ნდობა შეარყიონ. აქედან მთელი საჭირო მასალა უნდა იქნას შეგროვილი, და ფრთხილად შესწავლილი გარკვეული დასკვნის გამოსატანად. აჩქარებას, საკითხისადმი ზერელედ მიდგომას, მით უმეტეს „ნათლიმამობას“ და მიკერძოებას ადგილი არ უნდა დაურჩეს.

გაცილებით უფრო საგულისხმოა კულაკების საგადასახადო ობიექტების გამორკვევა. სოფლად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა სწარმოებს. კულაკობა, რასაკვირველია, ამხედრებულია ჩვენი საგადასახადო პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მას გასაქანს არ აძლევს. ის ყოველნაირად ცდილობს გადამალოს თავისი შემოსავალი, უფრო მცირედ აჩვენოს მისი რაოდენობა, რომ გადასახადის სიმძიმისგან თავი დაიძვრინოს. ალაგ-ალაგ კულაკი ისეთ თავხედობას იჩენს, რომ პირდაპირ შეტევაზე გადმოდის, უხეშ ძალმომრეობას მიმართავს. უკვე იყო შემთხვევები, როცა კულაკები ტერორით ემუქრებოდნენ სააღრიცხვო კომისიის წევრებს. მაგალითად, მათ ოირომულანლოს თემში სცემეს სააღრიცხვო კომისიის წევრს, რომელმაც გამოამჟღავნა, რომ კულაკები აღრიცხვის დროს დასაბეგრ ობიექტებს მალავდნენ. ჩვენ, ცხადია, მკაცრი ზომები უნდა მივიღოთ ასეთი გამოსვლების აღსაკვეთად და კულაკების ასალაგმავად. მათი შემოსავალი მთლიანად უნდა გამოვაშკარაოთ და დავბეგროთ ისინი კანონის დებულებათა სავსებით გამოყენებით. კანონი კი ამ მხრივ ფართო შესაძლებლობებს იძლევა, როგორიცაა შეძლებულ გლეხობის დაბეგვრა ჩვეულებრივ ნორმაზე ზევით და სოფლის ზედა ფენებისათვის კი დაბეგვრის ინდივიდუალური წესის შეფარდება.

მაგრამ სიფრთხილეა გვმართებს კულაკის განსაზღვრაში. თუმცა სათანადო უმაღლეს ორგანოების მხრით მიცემულია გარკვეული მითითებანი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს კულაკად, მაინც მათი შეფარდება ადგილობრივ კონკრეტულ პირობებთან არც ისე ადვილი საქმეა. მთავარი, რასაც ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა, მიექცეს, ეს ისაა, რომ ნამდვილად საშუალო გლეხები არ მოხვდნენ კულაკთა სიაში, როგორც ამას წარსულში ზოგან ჰქონდა ადგილი. ასეთი შეცდომები არყევენ მუშათა კლასის და ღარიბ გლეხობის კავშირს საშუალო გლეხობასთან და ჩვენ ყოველგვარად უნდა შევეცადოთ მათ აცილებას. თავის თავად ცხადია, ამან ოდნავადაც არ უნდა შეასუსტოს ჩვენი მაგარი კურსი კულაკის მიმართ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბ გლეხობის ინტერესების უზრუნველყოფას. როგორც ვიცით, კანონი ითვალისწინებს მათ განთავისუფლებას გადასახადისაგან. ცალკე შემთხვევები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წინად, როცა ღარიბი გლეხები, წინააღმდეგ კანონის კატეგორიულ მითითებისა, იბეგრებოდნენ, არ უნდა იქნენ განმეორებული.

ყველა ამ ამოცანის გადაჭრა, რა თქმა უნდა, აპარატული გზით არ შეიძლება. რაც არ უნდა იდგნენ თავის სიმაღლეზე აღმრიცხველი კომისიები, ისინი მარტო ვერაფერს გახდებიან, თუნდაც თემსაბჭოს დახმარებით. საჭიროა მთელი ღარიბ გლეხობის შემოძრავება და მასთან ახლო მდგომ საშუალო გლეხობასთან კონტაქტის დამყარება. მათი გაერთიანებული ფრონტით კულაკობა უნდა იქნას გარიყული. ღარიბ გლეხთა საშუალებით ადვილია კულაკების საგადასახადო ობიექტების მთლიანად გამოაშკარავება.

ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელ ამ კამპანიას ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ: ეს თავად იგულისხმება. მათ ამ მიმართულებით ენერგიული მუშაობა უნდა გაშალონ.

## უკანასკნელი ცნობები

### რეიტერის სააგენტო ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

**ლონდონი,** 24 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „იმ ცნობის გამო, რომ ინგლისის მთავრობა ახლო მომავალში, თითქო, განაახლებს დიპლომატიურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ, რომ ამ საკითხის გამო ჯერ - ჯერობით არავითარი განსაზღვრული ნაბიჯები არ გადადგმულა. მიუხედავად ამისა, იუწყებიან, რომ ინგლისის მთავრობა იხილავს იმ გზებს და საშუალებებს, რომლითაც ახლო მომავალში შესაძლებელი იქნება განხორციელდეს სურვილი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. (ადს).

### მოწოდება საფრანგეთის მშრომელთადმი

**პარიზი,** 24 ივნისი. შრომის უნიტარულმა კონფერენციამ საერთაშორისო წითელი დღის შესახებ მოწოდებით მიმართა საფრანგეთის მშრომელებს. მოწოდებაში აღნიშნულია მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერება კაპიტალისტების მიერ, სამხედრო ბიუჯეტის და კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო მრეწველობის განუწყვეტელი ზრდა, რომელნიც იარაღს აწვდიან საბჭოთა კავშირის მეზობელ სახელმწიფოებს. 1 აგვისტოს ყველა მშრომელი მთელი თავისი ენერგიით უნდა გამოვიდნენ ომის მზადების წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად. (ადს).

### ლიტვისა და ლატვიის მთლიანობის საზოგადოების ყრილობა

**კოვნო,** 25 ივნისი. შესდგა ლიტვისა და ლატვიის მთლიანობის საზოგადოების ყრილობა. მთელ რიგ ორატორებმა გამოსთქვეს აზრი ლიტვის გაერთიანების შესახებ ლატვიასთან. ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ხაზგასმით არის აღნიშნული ორივე სახელმწიფოს შორის კულტურული და ეკონომიური თანამშრომლობის განმტკიცების აუცილებლობა. მეორე რეზოლიუცია თანაგრძნობას უცხადებს ლიტვას ვილნოს დაბრუნებისთვის ცდებში. დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომ შემდეგი კონგრესისათვის შემუშავდეს ლიტვა - ლატვიის უნიის პროექტი. (ადს).

### უმუშევართა დემონსტრაციის გამო ლოძში

**ვარშავა,** 25 ივნისი. უმუშევართა დემონსტრაციები ლოძში პეპეესოველთა თვითმართველობის შენობის წინ გაგრძელდა 3 დღე. შაბათს თვითმართველობამ დაადგინა გააფართოვოს საზოგადო სამუშაოები, რის გამო უმუშევრებს მიმართა მოწოდებით. მოწოდებაში უმუშევრებს ურჩევენ თავი მიანებონ დემონსტრაციებს და აცხადებენ, რომ უკანასკნელი დემონსტრაციის მომწყობთა წინააღმდეგ საჩივარი გადაეცა პროკურორს.

პოლონეთის ისტორიაში ეს პირველი მაგალითია, როდესაც ისეთი პარტიის ხელში მყოფი თვითმართველობა, რომელიც თავის თავს სოციალისტურს უწოდებს, ოფიციალურად გამოდის მისგან უკმაყოფილო მუშების წინააღმდეგ და მიმართავს სასამართლოს. (ადს).

### ჩეხოვის პროცესი

**ვარშავა,** 25 ივნისი. სახელმწიფო ტრიბუნალში დაიწყება ყოფილ ფინანსთა მინისტრ ჩეხოვიჩის საქმის გარჩევა. მას სეიმი აბრალებს სახელმწიფო ფულების დახარჯვას კანონმდებელ ორგანოთა ნებადაურთველად. ბრალდებულს იცავს ცნობილი ბაკალსკი. მოწმეებად გამოძახებულნი პილსუდსკი და შინაგან საქმეთა მინისტრი სლავოი სკლადკოვსკი. (ადს).

### შტრეზემანი იუნგის გეგმის შესახებ

**ბერლინი,** 25 ივნისი. ვოლფის სააგენტო იუწყება: რეიხსტაგში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს, გერმანიის ნაციონალისტების ლიდერმა გრაფ ვესტარპმა დაახასიათა იუნგის გეგმა, როგორც უფრო მძიმე, ვინემ დაუესის გეგმა და განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობის შემარიგებელი პოლიტიკა უვარგისი გამოდგა.

ვესტარპის საპასუხოდ გარეშე საქმეთა მინისტრ შტრეზემანმა განაცხადა, რომ იუნგის გეგმას მთავრობის არც ერთი წევრი არ სთვლის რაღაც იდეალურ გეგმად და არც შეუძლია იკისროს პასუხისმგებლობა, რომ შესაძლებელია მისი ცხოვრებაში გატარება. მაინც ეჭვს გარეშეა, რომ დაუესის გეგმასთან შედარებით, იუნგის გეგმა გერმანიას ანიჭებს მთელ რიგ შეღავათებს. (ადს)

### ბრძოლა ლივიაში

**დამასკი.** ლივიაში იტალიის დამსჯელ ექსპედიციასა და სენუსიტების ტომს შორის სასტიკი ბრძოლა მოხდა. იტალიელებმა მოკლეს 500-ზე მეტი სენუსიტი. სენუსიტები უდაბნოში გაიქცნენ. (სდს).

### ლოცვის აკრძალვა თურქეთის ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში

**სტამბოლი,** განათლების სამინისტრომ ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში აკრძალა ლოცვის წაკითხვა მეცადინეობის დაწყებისა და გათავების დროს. (სდს).

### სარეპარაციო ბანკის კომიტეტის სხდომა

**ბერლინი.** „ფორვერტს“-ის ცნობით, სარეპარაციო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა მოხდება ბადენ-ბადენში ივნისის დამლევს. (სდს).

### გორკის მიწვევა

**ოდესა,** 25 ივნისი. ქალაქის საბჭომ მიიღო მუშების, კომკავშირელებისა და მოწაფეების მრავალი წერილი. თხოულობენ—საბჭომ ოდესაში მოიწვიოს გორკი. (ადს).

### მაღაროთმშენებლობა

**ხარკოვი,** 25 ივნისი. ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო „დონუგოლ“-სა და ამერიკულ ფირმას „რობერტს და შეფერ“-ს (ჩიკაგოში) შორის. ხელშეკრულება შეეხება მაღაროების პროექტების შედგენას. ხელშეკრულების თანახმად ფირმა კისრულობს დონბასში ხუთი დიდი მაღაროს პროექტის შედგენას. ამ მაღაროებმა უნდა მოგვცენ წლიურად 3.500.000 ტონა ქვანახშირი, ხოლო ერთმა მათგანმა, ყველაზე დიდმა დონბასში—1.200.000 ტონა. პროექტების შედგენა 13 თვეში უნდა დამთავრდეს, პირველი მაღაროებისა—7 თვეში. მოწყობილება ფირმის ზედამხედველობით დამზადდება საბჭოთა ქარხნებში. (ადს).

### განუწყვეტელი საწარმოო კვირა

**არტემოვსკი,** 25 ივნისი. შჩერბინის სამთამადნო სამმართველოს მუშების ინიციატივით, სევეროვის (№ 8) მაღაროში და სოლოვიევკაში საცდელად შემოღებული იქნება განუწყვეტელი საწარმოო კვირა. ამის გამო მადნის ამოღება იმატებს 150.000 ტონით წლიურად, ხოლო ქვანახშირის თვითღირებულება თვალსაჩინოდ დაიკლებს. (ადს).

### ინდუსტრიალიზაციის დღე

**მოსკოვი,** 25 ივნისი. ლენინგრადის ფაბრიკებისა და ქარხნების მუშებმა დაადგინეს—ერთ-ერთი საეკლესიო უქმე დღეს მოაწყონ ინდუსტრიალიზაციის დღე. ამ დღეს (6 აგვისტოს) ლენინგრადის მუშები თავიანთ შრომას შესწირავენ ინდუსტრიალიზაციის განსაკუთრებული ფონდის გასაძლიერებლად. ლენინგრადის მუშათა მაგალითს მიბაძა მოსკოვმაც. 24 ივნისს, „სულიწმინდის მოფენის დღეს“ მოსკოვში იმუშავა ქარხანა „ამო“. სამუშაო ხელფასი მოხმარდება თვითმფრინავის აგებას. (ადს).

## ავსტრიის კომპარტიის ცეკას პლენარული სხდომა

**ვენა,** 24 ივნისი. შესდგა ავსტრიის კომპარტიის ცეკას პლენარული სხდომა. პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში მკაფიოდაა ხაზგასმული, რომ სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს ფაშიზმთან ბრძოლის განუყრელ ნაწილს, რის გამოც პარტიამ ყოველთვის უნდა ამხილოს სოციალ-დემოკრატების პოლიტიკის სოციალ-ფაშისტური ბუნება.

შემდეგ რეზოლიუცია მიუთითებს პარტიის მიერ სოფლად ინტენსიური მუშაობის გაშლის აუცილებლობაზე მოჯამაგირეთა, ღარიბთა და წვრილ მოიჯარადრეთა შორის. ეს ბრძოლა უნდა სწარმოებდეს მახვილი მიწათმფლობელთათვის მიწების უსასყიდლოდ ჩამორთმევის ლოზუნგებით. ენერგიული ბრძოლა უნდა განვითარდეს აგრეთვე სიძვირისა და კაპიტალისტური რაციონალიზაციის წინააღმდეგ.

შემდეგ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ავსტრიის კომპარტიის ყველაზე სუსტ მხარეთ უნდა ჩაითვალოს ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი სოციალ-დემოკრატიული ნაშთები და ტრადიციები, პარტკადრების არასაკმაოდ მაღალი იდეოლოგიური დონე, ორგანიზაციის ცალკე უჯრედების ოპორტუნისტული პასივობა, საწარმოებთან სუსტი კავშირი და სხვ. უნდა შეიცვალოს ახალი კადრებით ის, ვინც პასივობას იჩენს და აბრკოლებს პარტიის მუშაობას. პარტია არ უნდა შეუშინდეს აგრეთვე ორგანიზაციული დასკვნების წინაშე იმათ მიმართ, ვინც საბოტაჟს უწევს პარტმუშაობას.

რეზოლიუცია განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ხელისუფლების მხრით დევნისაგან პარტიის დაცვის საკითხს.

ამასთან დაკავშირებით, რეზოლიუცია მიუთითებს „პარტაპარატის ისე მომზადების აუცილებლობაზე, რომ მან დევნისა და აკრძალვის მიუხედავად, უკეთ შეძლოს მასებში მუშაობის ფართო მასშტაბით გაშლა. პარტიამ სავსებით უნდა უკუაგდოს ლეგალისტური შეხედულება“.

ცეკამ აუცილებლად სცნო მემარჯვენეთა, შემარიგებელთა და ტროცკისტულ მიმდინარეობათა სრული ლიკვიდაცია. ცეკამ დაადგინა გამოირიცხოს პარტიიდან შტრასერი და მარტა ნატანსონი, რომელთაც ქალთა კონფერენციაზე ტროცკისტებისადმი თანაგრძნობა გამოსთქვეს. დასასრულ პლენუმმა დაამტკიცა საერთაშორისო ანტიიმპერიალისტური დღის, 1-ლ აგვისტოსათვის მზადების გეგმა.

## „წმენდა“ სამხრეთ-სლავიის არმიაში

**ვენა.** ბულგარული გაზეთების ცნობით, სამხრეთ-სლავიის მეფემ ბრძანება გასცა საინტენდანტოს და სამხედრო სასამართლოების ოფიცერთა ახალი გადაჯგუფების შესახებ. ეს ღონისძიება არასაიმედო ოფიცერთა „წმენდის“ ახალი ეტაპია, რომელსაც ანხორციელებს დიქტატურის რეჟიმის სამხედრო ხროვა. „წმენდა“ დაიწყო გენერალური შტაბის 30 გენერლის და მაღალი მოხელეების პენსიაზე გადაყვანით. ამის შემდეგ „წმენდა“ გადავიდა ბრიგადის და პოლკების უფროსებზე, აგრეთვე საინტენდანტოს და სამხედრო სასამართლოების ოფიცრებზე. (ადს)

## შვეციის კომკავშირის საჩუქარი კომკავშირის ვიატკის ორგანიზაციას

**სტოკჰოლმი.** შვეციის კომკავშირმა, რომელსაც ვიატკის კომკავშირის ორგანიზაცია შეფობას უწევს, დაიწყო თანხების შეგროვება იმისათვის, რომ შეიძინოს ტრაქტორი, თავისი შეფისათვის მისაძღვნელად. ფულის შეგროვების კამპანია წარმატებით მიმდინარეობს და, ალბად, შვეციის კომკავშირი ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისათვის შესძლებს გადასცეს საჩუქარი ვიატკის კომკავშირელებს. ამავე დროს შვეციის კომკავშირი ფართო კამპანიას აწარმოებს საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის საკითხების გასაშუქებლად. (სდს).

## 90 წ. მწერლის დაპატიმრება ინდოეთში

**ლონდონი,** მემარცხენე წრეებში სენსაცია მოახდინა იმან, რომ კალკუტაში დააპატიმრეს 90 წლის მწერალი ჩატერჯი, „მოდერნ რევიუ“-ს გამომცემელი. ჩატერჯას ჰბრალდება სახელმწიფო ღალატი. მისი დაპატიმრება დაკავშირებულია წიგნის „ინდოეთი ბორკილებში“-ს გამომცემლის ამას წინანდელ პროცესთან. უკანასკნელი ცნობებით, ჩატერჯი გაანთავისუფლეს თავდებობით. (ადს).

## „რესპუბლიკანურ დროშისა“ და „ახალგაზრდა გერმანელთა ორდენის“ კავშირი

**ბერლინი.** ახალგაზრდათა ფაშისტური ორგანიზაციის „ახალგაზრდა გერმანელთა ორდენის“ („იუნგდო“) ხელმძღვანელმა არტურ მარაუნმა წინადადება მისცა „რესპუბლიკანური დროშის“ კავშირს—დამყარდეს მათ შორის მჭიდრო კავშირი. „რესპუბლიკანური დროშის“ გაზეთ „რეიხს ბანერში“ დაიბეჭდა „რესპუბლიკანური დროში“-ს გამგეობის პასუხი. გამგეობამ მიიღო მარაუნის წინადადება და განაცხადა, რომ გამგეობას დიდი ხანია სურვილი აქვს—შემუშავდეს საერთო პოლიტიკური ხაზი.

## „ნუმანსი“-ს დაკარგვა

**პარიზი,** 24 ივნისი. როგორც მადრიდიდან იუწყებიან, არავითარი ცნობა არ არის აეროპლან „ნუმანსის“ შესახებ, რომელიც 21 ივნისს გაფრინდა აზორის კუნძულებისაკენ ნიუ-იორკში გადასაფრენად.

ესპანეთის გემისაგან მიღებულია რადიო, რომელშიაც ნათქვამია, რომ ინგლისის გემმა აზორის კუნძულებიდან 120 მილის დაშორებით აღმოაჩინა აეროპლანის ნამსხვრევები. ეკიპაჟი არა ჩანს. ფიქრობენ, რომ ეს არის „ნუმანსი“-ს ნამსხვრევები. (სდს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა საკავშირო ყრილობის შედეგები

**მოსკოვი,** 25 ივნისი. 22 ივნისს დამთავრდა საბჭოთა-სავაჭრო დაწესებულებების მუშაკთა მეორე საკავშირო ყრილობა. ყრილობამ აირჩია კავშირის ც.კ.-ი 82 წევრისა და 38 კანდიდატის შემადგენლობით. კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია კირკიჟი, მუშა, საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის ცაკის მდივნის მოადგილე.

ყრილობამ აღნიშნა, რომ კავშირის ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა მუშაკებმა მერყეობა გამოიჩინეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების მთავარი საკითხების გადაჭრაში; ამან გამოიწვია კავშირის მუშაობის ჩამორჩენა იმ ამოცანებისაგან, რომლებიც პარტიამ წამოაყენა. ყრილობამ გადაჭრით დაგმო ამ ამხანაგების პოზიცია და მოითხოვა ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტისაგან, რომ მან კავშირის ხელმძღვანელობაში გამოიჩინოს მკაფიო კლასობრივი პოლიტიკა. ყრილობამ მოიწონა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სახელმწიფო აპარატის წმენდის შესახებ. მან წინადადება მისცა კავშირის ორგანოებს განსაზღვრონ ის თანამდებობანი, რომელთა დაჭერაც შეუძლიათ დაწინაურებულ მუშებს, ეცადონ, დაწინაურებულთათვის კურსების მოწყობას და უზრუნველყონ აპარატის მუშაკების მხრით მათდამი სათანადო ყურადღების გამოჩენა.

ყრილობამ წინადადება მისცა კავშირის ორგანოებს—პასუხისგებაში მისცენ ის მუშაკები, რომლებიც უდიერად ეპყრობიან მთხოვნელებს, ხოლო საჭირო შემთხვევებში სამუშაოდან მოხსნან, კავშირიდან გამორიცხონ და სამართალში მისცენ. (ადს).

# ფეიქარ მუშა-ქალების საკავშირო თათბირი

**მოსკოვი,** 25 ივნისი. დამთავრდა ფეიქარ მუშა-ქალების საკავშირო თათბირი, რომელმაც დიდი ყურადღება მიაქცია მუშა-ქალების დაწინაურებას საპასუხისმგებლო პროფესიონალურ მუშაობაზე. თათბირმა მიანდო კავშირის ცენტრალურ კომიტეტს, რომ მან შექმნას დაწინაურებული ფეიქარი ქალების რეზერვი, რათა სათანადო მომზადების შემდეგ გაგზავნილ იქნან ხელმძღვანელ პასუხსაგებ სამუშაოზე. კავშირმა ორი წლის განმავლობაში რეგულიარული დახმარება უნდა გაუწიოს მათ პრაქტიკულ მუშაობაში. დაწინაურებულ მუშა-ქალებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეუმცირდეთ წინანდელი ხელფასი. საჭიროა მათი უზრუნველყოფა ბინით, ხოლო ბავშვებისა—ბაგებით, მოედნებით და სხვ. (ადს).

# მშრომელ პოლონელთა კონფერენცია

**მოსკოვი,** 25 ივნისი. 22 ივნისს მოსკოვში მოხდა მშრომელ პოლონელთა კონფერენცია პოლონელთა სრულიად რუსეთის კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგატების ასარჩევად. კონფერენციამ მოისმინა ამხ. პრიბიშევსკის მოხსენება პოლონეთის გარეთ მცხოვრებ პოლონელთა ყრილობის შესახებ, რომელსაც იწვევენ ვარშავაში. ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელშიაც კონფერენცია აცხადებს, რომ მოსკოვის მშრომელი პოლონელები მთლიანად იზიარებენ საბჭოთა კავშირის მთელი პოლონელი მოსახლეობის აზრს ვარშავის ყრილობაზე დელეგატების გაგზავნის შესახებ.

პოლონელ მშრომელთა სახელით — ნათქვამია რეზოლიუციაში, — ჩვენი დელეგაცია ყველას გასაგონად განაცხადებს, რომ პოლონელი მშრომელი მასები თავიანთ ერთად-ერთ სამშობლოდ **სთვლიან საბჭოთა კავშირს, ამ ქვეყანას, სადაც სოციალიზმი შენდება. ამ თავის სამშობლოს ისინი დაიცავენ ყოველგვარ იმპერიალისტებისაგან.**

კონფერენციამ აირჩია 20 დელეგატი პოლონელთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე გასაგზავნად. დელეგატების შემადგენლობაში უმთავრესად შედიან მოსკოვის ფაბრიკების და ქარხნების მუშები, როგორც მამაკაცები, ისე ქალები.

# კაპიტალური დაბანდებანი ნავთის მრეწველობაში

**მოსკოვი,** 25 ივნისი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიამ ამხ. მიქოიანის თავმჯდომარეობით განიხილა ნავთის მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობის საკითხი 1929-30 წელს. გამოირკვა, რომ კაპიტალური მშენებლობა მთელს მრეწველობაში 30-ზე მეტი პროცენტით გაიზარდა, ნავთის მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის გეგმა კი სახ. მეურნ. უმაღლესმა საბჭომ, შარშანდელთან შედარებით, გადიდა მხოლოდ 20 მილიონი მანეთით, ე. ი. 10 პროცენტზე ნაკლებით. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა, აცნობოს სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს ვაჭრობის სახ. კომისარიატის აზრი ხოლო შრომისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე დასვას საკითხი ნავთის მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობის შესახებ მომავალი საოპერაციო წლისათვის. (ადს)

# განაჩენი ლაპშინას ქალის თვითმკვლელობის საქმეზე

**ტვერი,** 25 ივნისი. სასამართლომ გაარჩია მასწავლებელი ქალის ლაპშინას თვითმკვლელობის საქმე. მხარეთა კამათის დროს ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა, განათლების მუშაკთა კავშირის ც. კ.-ის წარმომადგენელმა ვოლჟინამ. მან სთქვა, რომ სოფლის კულაკური ნაწილის მხრით მასწავლებლისა და საზოგადოებრივი მოღვაწის ლაპშინას დევნა წარმოადგენს კლასობრივი ხაზის ნათელ გამოხატულებას.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა პროკურორმა გლაზკოვმა, მან ფარულ კონტრ-რევოლიუციონურ აქტად მიაჩნია ბრალდებულთა მთავარი ჯგუფის — დიაკვან ალექსანდროვსკისა და მისი ცოლის, ნიკოლსკაიას, კულაკ კაპუსტინისა და მედუქნე მრამორნოვას დანაშაული. პროკურორი მოითხოვს ნიკოლსკაიასათვის 8 წლის პატიმრობას, ალექსანდროვსკისათვის 8 წლის პატიმრობას და 5 წლის გადასახლებას. მისი ცოლისათვის, კულაკ კაპუსტინისათვის და მედუქნე ქალის მრამორნოვასათვის — 3 წლით თავისუფლების აღკვეთას. პროკურორის აზრით, პროკურორის ყოფილ თანაშემწეს ლიუბინს თავისუფლება უნდა აღკვეთოს 4 წლის ვადით, შემმოწმებელი გაზეთის „კიმრსკაია ჟიზნ“-ის ყოფილ რედაქტორს კოზლოვს — 2 წლით, კალიაზინის განათლების მუშაკთა კავშირის ადგილკომის წევრებს ბეკერს და უსპენსკის —სამ-სამი წლით, მაზრის სახ. განათლების განყოფილების ყოფილ გამგეს — ერთი წლის იძულებითი მუშაობა. (ადს)

### განაჩენი

**ტვერი,** 25 ივნისი. მოსკოვის საგუბერნიო სასამართლოს სესიამ გამოიტანა განაჩენი სოფელ ნიკიტსკოეს სკოლის მასწავლებლის ლაპშინის ქალის საქმის გამო. როდესაც ლაპშინა, უპარტიო აქტივისტი, სოფელ ნიკიტსკოეში ჩავიდა, სკოლას განაგებდა მედავითნის ქალიშვილი ნიკოლსკაია, რომელიც მტრულად შეხვდა ლაპშინას. ლაპშინას სკოლიდან გასაძევებლად, ნიკოლსკაიამ გაავრცელა ჭორები. ამ დროს სოფელ ნიკიტსკოეში ჩავიდა გაზეთ „კიმრსკაია ჟიზნ“ რედაქტორი კოზლოვი, კიმრსკის პროკურორის ლიუბინის თანხლებით. ეს შემთხვევა გამოიყენეს ლაპშინის მტრებმა. პროკურორმა ლაპშინას წინააღმდეგ გაზეთში მოათავსა წერილი. რადგან ლაპშინამ არ იცოდა წერილის ავტორის ვინაობა, საჩივარი გადასცა იმავე პროკურორს და მოითხოვა წერილის ავტორის პასუხისგებაში მიცემა. საჩივარი უკანვე დაუბრუნეს. მან მიმართა სახალხო სასამართლოს, საიდანაც განცხადება კვლავ ლიუბინს ჩაუვარდა ხელში. ლაპშინა 2 თვე ელოდა სასამართლოს დანიშვნას, ბოლოს იმედი დაჰკარგა, გამოაცხადა შიმშილობა და 12 დღის შემდეგ გარდაიცვალა.

სამართალში მიცემული იყო 12 კაცი. ნიკოლსკაიას მიესაჯა საპყრობილე 7 წლით, დიაკონს ალექსანდროვსკის—3 წლით, მის ცოლს—ორით, კულაკ კაპუსტინს და მრამორნოვას თითოს ერთნახევარი წლით. ყოფილ პროკურორს ლიუბინს—საპყრობილე 2 წლით, განათლების მუშაკთა ადგილკომის თავმჯდომარეს ბეკკერს და განათლების სამაზრო განყოფილების ინსპექტორს უშაკოვს—ორ-ორი წლით, ხაზინადარს უსპენსკის—ორ ნახევარი წლით, ადგილკომის მდივანს გუსაკოვს და რედაქტორს კოზლოვს—თითოს წელიწადნახევრით, განათლების სამაზრო განყოფილების გამგეს—ერთი წლით. (ადს).

# წერილი პარიზიდან

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

### ბურჟუაზიული და სოციალ-ბურჟუაზიული პარტიების კრიზისი სარეპარაციო პრობლემასთან დაკავშირებით.—რენოდელის გამარჯვება ნანსის ყრილობაზე.—გაფიცვების ახალი ტალღა.—კაპიტალისტური ყოფა-ცხოვრება

უკვე რამდენიმე წელიწადია სხვადასხვა პოლიტიკურ - ბურჟუაზიულ და სოციალ-ბურჟუაზიულ პარტიებში მწიფდება კრიზისი იმ საკითხის გამო, თუ რა ვადებში და რამდენი სარეპარაციო გადასახადი წაგლიჯონ დამარცხებული ქვეყნების მუშათა კლასს და რა საშუალებით დააღწიონ თავი ამერიკელი კრედიტორების მომაბეზრებელ მოთხოვნებს. ნაციონალისტები და სოციალისტები შეთანხმებულნი არიან იმაში, რომ იმპერიალისტურ ომში დამარცხებული გერმანიის მუშამ და გლეხმა უნდა გადაიხადონ იმპერიალისტური ომის ხარჯები. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ნაციონალისტები მოლაპარაკების საწორზე გულახდილად სდებენ თავიანთ მძიმე მახვილს და დამარცხებულთ ეუბნებიან: „მიეცი გადასახადი გამარჯვებულებს“, ხოლო სოციალ-ბურჟუა, კეთილშობილი ბლიუმი „ზნეობრივ გამართლებას“ ეძებს იმისათვის, რომ ეს ფული მიიღოს გერმანელი მუშებისა და გლეხებისაგან. მერე განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ სოციალ-ბურჟუა მზად არის ამერიკელ ძიას გადაუხადოს ვალი, რათა მიიღოს კრედიტი ამერიკის კაპიტალისაგან, ხოლო გონება-ჩლუნგი ნაციონალისტი ზუბრები ყოველ გზა-ჯვარედინზე გაჰკივიან: „ჩვენ არაფერი არ გვმართებს ამერიკელებისა, რადგან ფრანგებმა ცივილიზაცია, სამართალი და თავისუფლება იხსნეს გერმანელი ბარბაროსების შემოსევისაგან“-ო.

ეს საკითხი დავას და უთანხმოებას იწვევს პარლამენტის სამ მთავარ პარტიაში: რადიკალებში, ნაციონალისტებში და სოციალისტებში. განსაკუთრებით გამწვავდა კრიზისი ნაციონალისტებს შორის, რომლებიც თავიანთ ამომრჩევლებს დაჰპირდნენ გერმანიის ოქროს მთებს და აგრეთვე იმას, რომ არ გადაიხდიდნენ ამერიკის ვალს. ეხლა, ექსპერტთა გადაწყვეტილების შემდეგ ნაციონალისტი შეილოკები სცნობენ, რომ 150 მილიარდი ქაღალდის ფრანკი მხოლოდ საფრანგეთისთვის (წინად გადახდილ თანხასთან ერთად) არ არის საკმაო. ამასთან ისინი ფიქრობენ, რომ იუნგის პროექტი (რომელსაც ხელი მოაწერეს) რეპარაციების შესახებ საფრანგეთს არ აძლევს იმის სრულ გარანტიას, რომ გერმანელები შეასრულებენ პროექტში აღნიშნულ ვალდებულებებს. ნაციონალისტები მოითხოვენ, რომ ამერიკის ვალის გადახდა ხელშეკრულებით დაუკავშირდეს გერმანიის მიერ თავის ვალდებულებათა შესრულებას. ამერიკელები პროტესტს აცხადებენ ასეთი დაკავშირების წინააღმდეგ და მოითხოვენ ვალის სრულად გადახდას.

რადგან ნაციონალისტები პუანკარეს კაბინეტის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენენ, ამიტომ მათი უარი ექსპერტთა პროექტის დამტკიცებაზე (რატიფიკაციაზე) საფრთხეს უმზადებს პუანკარეს სამინისტროს არსებობას . და აი, მმართველმა წრეებმა მოიგონეს ასეთი გამოსავალი. მძიმე მდგომარეობაში რომ არ ჩააყენონ მთავრობის ერთგული მსახურნი, ექსპერტების მიერ ხელმოწერილი იუნგის პროექტი დამტკიცებულ უნდა იქნას არა პარლამენტის კენჭის ყრით, არამედ მთავრობის დეკრეტით პარლამენტის ნება-სურვილის გარეშე.

რადიკალებს და სოციალისტებს, რომლებიც ემხრობიან ექსპერტთა პროექტს, პუანკარეს მძიმე მდგომარეობა და მისი უთანხმოება ნაციონალისტებთან, სურთ გამოიყენონ იმისათვის, რომ მთავრობა ჩამოაგდონ და კვლავ მოექცენ ხელისუფლების სათავეში. ამ თვის 25-ს მოხდება „უკანასკნელი გადამჭრელი ბრძოლა“ სამინისტრო ძალა-უფლებას მოწყურებულ პარტიებსა და მათ ბელადებს შორის. დებატების დროს გამოსული კომუნისტები მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ ხაზი გაესვათ ყველა ბურჟუაზიული და სოციალ-ბურჟუაზიული პარტიების თვალთმაქცობისათვის და იმისათვის, რომ ბურჟუაზიული რეჟიმი და მისი პარლამენტი სავსებით ემორჩილება საფრანგეთის და მსოფლიო ბანკირებს.

⁂

სოციალ-ბურჟუაზიული ყრილობა, რომელიც ამ დღეებში შეიკრიბა ნანსიში ბლიუმის, რენოდელის და პოლ ფორის მეთაურობით, რასაკვირველია, არ ფიქრობდა ებრძოლა კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ. ეს ყრილობა თითქმის სავსებით ერთი მხრით მოუნდა ბრძოლას კომუნისტების წინააღმდეგ და შინაგან უთანხმოებებს რენოდელსა და ბლიუმ-ფორს შორის. რენოდელი ბურჟუაზიულ მთავრობაში დაუყონებლივი მონაწილეობის მომხრეა, ხოლო ბლიუმი და პოლ ფორი, ფიქრობენ, რომ ჯერ ნაადრევია სოციალიზმის ნიღაბის ჩამოხსნა და საჭიროა დაცდა, რადგან საფრანგეთში „სოციალისტების“ მონაწილეობა ბურჟუაზიულ ხელისუფლებაში აუცილებლად ჰგულისხმობს მუშათა კლასთან კავშირის სრულ გაწყვეტას.

რენოდელს ამ შემთხვევაში სურდა თავისი მიზნისათვის მიეღწია არაპირდაპირი გზით, პარტიული სტატუტების გადასინჯვით. მის მთავარ აზრს შეადგენდა ძალა-უფლების გადასვლა პარტიის ცეკადან საპარლამენტო ჯგუფის ხელში, რომლის უდიდესი უმრავლესობა ემხრობა დაუყონებლივ მონაწილეობას კაპიტალისტურ მთავრობაში. რენოდელმა გაიმარჯვა, მაგრამ მხოლოდ ნახევრად. ცეკას ძალა-უფლება შესუსტდა, მაგრამ სავსებით არ მოსპობილა.

სამაგიეროდ რენოდელმა სრული გამარჯვება მოიპოვა პარტიული დისციპლინის საკითხში. მეფის ყოფილი მოადგილე ინდო-ჩინეთში, არქი-ოპორტიუნისტი და არქი-გაიძვერა ვარენი, რომელსაც საფრანგეთის კოლონიაში მეფის მოადგილედ ყოფნის დროს სახელი გაუტყდა ბურჟუაზიის თვალშიაც კი და რომელიც სოციალ-ბურჟუაზიული პარტიიდანაც კი გამორიცხეს, ზოგიერთ ფორმალობათა შესრულების შემდეგ, კვლავ იქნება აღდგენილი იმავე პარტიის წევრის უფლებებში. მეორე შემთხვევა კიდევ უფრო დამახასიათებელია. ცნობილია, რომ რენოდელი დასთანხმდა გამოვიდეს სავიაციო ბიუჯეტის მომხსენებლად პარტიის ნება-სურვილის გარეშე. მომავალში საკმაო იქნება საპარლამენტო ჯგუფის თანხმობა ნახევრად სამთავრობო თანამდებობის მისაღებად. ამგვარად, მზადება კაპიტალისტურ ხელისუფლებაში სოციალისტების მონაწილეობისათვის სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და ალბად მალე განხორციელდება სამთა სოციალ-ბურჟუაზიული კავშირი—გერმან მიულერის, მაკდონალდის და ბლიუმის, რომლებიც ერთად იმუშავებენ იმისათვის, რომ დაიხსნან კაპიტალისტური „ცივილიზაცია“.

⁂

საფრანგეთის მუშათა მასები ალბად არ იზიარებენ რეფორმისტების ილიუზიებს, რადგან გაფიცვების ტალღა პროლეტარიატის სულ ახალ და ახალ ფენებს ედება. უკანასკნელ დროს კლასობრივი ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა ადმინისტრატიული პროლეტარიატი პარიზის ფოსტალიონების სახით. მთავრობამ ამ გაფიცვას უპასუხა რეპრესიებით, მაგრამ ახალი გაფიცვის ზეგავლენით იგი იძულებული შეიქნა უკან დაეხია. უნდა აღინიშნოს შემდეგი ეპიზოდი. რადიკალებმა გადაჭრით დაუსვეს სოციალისტებს კითხვა: „რას იზამთ ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს, როცა მოსამსახურენი გამოაცხადებენ გაფიცვას“-ო. ეს კითხვა უპასუხოდ დარჩა. ხოლო ბლიუმმა თავის წერილებში განმარტა რომ, პირველი, ასეთი გაფიცვა არ შეძლება მოხდეს, მეორე, თუ ასეთი გაფიცვა მოხდა, იგი ჩახშობილ იქნება ყველა საშუალებით. სასიამოვნო პერსპექტივებია...

კაპიტალისტური ყოფა-ცხოვრებისათვის მეტად დამახასიათებელია ქალ. ლიმოჟში მომხდარი მასიური ბუნტი, რის შესახებაც იუწყებოდნენ დეპეშები. მასები აღშფოთებულნი იყვნენ სასამართლოს კლასობრივი ხასიათით, სასამართლო ასამართლებდა კაპიტალისტს—გარყვნილს, კაცის მკვლელს, ადგილობრივი ბურჟუაზიის საყვარელ პიროვნებას. სასამართლო ისეთ მიკერძოებას იჩენდა, რომ ბრმებისათვისაც აშკარა იყო, რომ ბურჟუაზიული სასამართლო ცდილობდა გადაერჩინა თავისი კაცი. რასაკვირველია, ხალხში აღმოჩნდნენ ისეთი შეუგნებელი ელემენტებიც, რომლებიც მზად იყვნენ ლინჩის წესით მოეხდინათ გასამართლება. მაგრამ ეს ელემენტები არ აძლევდნენ ტონს. მასა კი პროლეტარულ აღშფოთებას გამოსთქვამდა ბურჟუაზიული სასამართლოს ასეთი მიკერძოების წინააღმდეგ.

**ხ. რაპოპორტი.**

პარიზი, 16 ივნისი.

# სომხეთის მწერლები ბაქოში

**ბაქო,** 25 ივნისი. კვირას, 23 ივნისს, სომხეთის მწერლებმა ბაქოში მეტად დიდი შთაბეჭდილება მიიღეს. დილიდან მწერლები ავტომობილებით გაემგზავრნენ ილიჩის ნავთსადგურში და გაეცნენ როგორც ნავთსადგურს, ისე იქ წარმოებულ მუშაობას.

შემდეგ დელეგაციამ დაათვალიერა ლენინის სახელობის ფაბრიკა და ზეთის ქარხანა.

24 ივნისს დელეგაციამ დაათვალიერა პურის ქარხანა, ვოროვსკის სახელობის ახალშენი, ძერჟინსკის სახელობის ქარხანა და ცეცხლის თაყვანისმცემელთა ტაძარი.

დღის დასასრულს დელეგაციამ მუშებთან ერთად ბუნიატ-ზადეს სახელობის თეატრში ჩაატარა კულტურული დაკავშირების საღამო.

26 ივნისს სომხეთის მწერალთა დელეგაცია მიემგზავრება ერევანში. (ადს).

# პ ა რ ტ ი ა შ ი

**„გამწმენდმა კომისიებმა და შესამოწმებელმა უჯრედებმა გადაჭრით უნდა ალაგმონ ყველა ის, ვინც შეეცდება წმენდის პირადი ანგარიშის გასწორების მიზნით გამოყენებას“ (საქ. კ. პ. (ბ) ც. საკ. კომისიის ინსტრუქციიდან)**

## წმენდის ხელის შემშლელთა წინააღმდეგ

როგორც პარტიული, ისე უპარტიო მასები დაინტერესებულნი არიან პარტიის წმენდით. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის, რომ უჯრედების წმენდას მეტად დიდი ხალხი ესწრება. დამსწრენი მონაწილეობას ღებულობენ კამათში, აძლევენ შეკითხვებს გასაწმენდ ამხანაგებს, არკვევენ მათ წარსულს, ეხლანდელ მუშაობას და ამით ეხმარებიან გამწმენდ კომისიას პარტიის წევრის სწორად შეფასების საქმეში.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ წმენდა ყველგან უნაკლოდ არ მიმდინარეობს, დეფექტები მდგომარეობს იმაში, რომ ზოგან აშკარად ვამჩნევთ კერძო ინტერესებით გამოსვლას და ამ ნიადაგზე ამა თუ იმ გასაწმენდ ამხანაგისადმი დაუმსახურებელ ბრალდებების წაყენებას. კერძო ინტერესებით გამოსვლას ადგილი აქვს პარტიულ ამხანაგების მხრივაც. მაგალითად; ამას წინად სახკინმრეწვის უჯრედის გაწმენდას გულმოდგინეთ ესწრებოდა სხვა უჯრედიდან მოსული კომუნისტი ამხ. შრუგაევი; ის ბრალდებებით გამოვიდა სახკინმრეწვის უჯრედის წევრ გ—ს წინააღმდეგ. შრუგაევი დიდის კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ კრებაზე მისმა „შემთხვევით“ დასწრებამ შესაძლებელი გახადა გ—ს ბოროტმოქმედებების გამომჟღავნება. როგორც გამოირკვა სხვა დამსწრე ამხანაგების სიტყვებიდან, შრუგაევის ბრალდებები პირად ინტერესებზე იყო აგებული და სინამდვილეს არ შეეფერებოდა.

მეორე თუ მესამე დღეს იმავე შრუგაევს ვხედავთ მუშკოოპის უჯრედის წმენდაზე. აქაც შრუგაევი აცხადებს, რომ იგი კრებაზე შემთხვევით მოხვდა და გამოდის ამხ. ა—ის წინააღმდეგ „საშინელი“ ბრალდებებით. აღსანიშნავია, რომ იგი ამ ბრალდებებს 1917-18 წლიდან იწყებს. ჩვენ გადაჭრით ვერ ვიტყვით, თუ რამდენად საფუძვლიანია შრუგაევის მიერ ამხანაგისადმი წაყენებული ბრალდებები, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: შრუგაევს ყველაზე უფრო თავისი „მე“ აწუხებს. ეს აშკარად მტკიცდება თვითეული მისი სიტყვიდან. ამას გარდა პარტიის წევრს 1917 წლიდან (როგორღაც თავის თავს შრუგაევი ასაღებს) არ ეპატიება, რომ პარტიულ ამხანაგებს ისეთი ბოროტმოქმედებანი, რომლებიც მან წმენდის დროს „გამოამჟღავნა“, არ აცნობა დღემდე სათანადო ორგანოებს.

გარდა ამისა გამწმენდ კრებებზე მრავლად დაინახავთ ყოფილ ადამიანებსაც. ყოფილი მიკიტანი, ყასაბი, სამსახურიდან დათხოვნილი არა საბჭოთა ელემენტი, და ვინ იცის კიდევ ვინ არ ესწრება წმენდას. აღსანიშნავია, რომ ეს ვაჟბატონები დიდ „აქტიობასაც“ იჩენენ. ისინი ცდილობენ როგორმე გააშავონ პარტიული ამხანაგები. მაგალითად, ა. წ. 22 ივნისს, მუშკოოპის უჯრედში სწმენდდენ პარტიის წევრს ა—ს, რომლის წინააღმდეგ აუარებელი ხალხი გამოვიდა. გამოირკვა, რომ უპეტესი ნაწილი ამ პირებისა ა—ს მიერ სამსახურიდან ბოროტმოქმედების გამო მოხსნილი ყასბები ყოფილან. ეს ტიპები ყოველმხრივ ცდილობდნენ ამხ. ა—ს გაშავებას.

არის ისეთი ხალხიც, რომელიც წმენდას გართობად იყენებს. ამ რამოდენიმე დღის წინად აღმასკომის უჯრედში, წმენდის დროს, ერთ-ერთი ძველი მუშა, პარტიის წევრი, უამბობდა დამსწრეებს თავის რევოლიუციონურ თავგადასავალს. დამსწრეთა შორის კი სიცილ-ხარხარი გაისმოდა, ერთობოდნენ და „სეირს“ უყურებდნენ ვიღაც ტუჩებ შეღებილი „ქალბატონები“. რომელთა დაუშვებელი მოქმედება აღშფოთებას იწვევდა იქ მყოფ მუშებში.

ამ მაგალითებიდან ცხადია, რომ არამშრომელი და კომპარტიისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები ხელს უშლიან პარტიის წმენდის ჩატარების საქმეს. პარტიის წმენდაში მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ მხოლოდ უპარტიო მუშები, გლეხები და სხვა პატიოსანი მშრომელები. ყოფილი ადამიანების „დახმარებას“ კი კომუნისტური პარტია არ საჭიროებს. პარტიის წმენდის ნორმალურად ჩატარებისათვის საჭიროა მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ ანტისაბჭოთა ელემენტებს არ ჰქონდეთ წმენდაზე დასწრების საშუალება, მათი „მითითებები“ არ უნდა იქნას მხედველობაში მიღებული გამწმენდი კომისიების მიერ. გარდა ამისა პასუხი უნდა მოეთხოვოს პარტიის ისეთ წევრს, რომელიც წმენდას კერძო შურისძიებისათვის გამოიყენებს.

**ალ. ბ—ლი.**

თავისი საქციელით პარტიას აშორებდა პატიოსან და ერთგულ უპარტიო მუშებს“. პარტიიდან გამორიცხულნი არიან:

**კალანდაძე ალექსი** — ლოთობისა, ხულიგნობისა და ჩხუბის დროს ბეჭედის მითვისებისათვის;

**ლომთათიძე თედორე** — ლოთობისა, ხულიგნობისა, ოპოზიციისათვის მხარის დაჭერისა და პარტმოვალეობათა შეუსრულებლობისათვის;

**გურგენიძე სევერიან** — მექრთამეობისა და თაღლითობისათვის;

**ლორია ისაკი და ცინცაძე თედორე**—ტვირთის მოპარვისათვის;

**დოლიძე ონიფანტე,** როგორც ავანტიურისტი, რომელიც მალავდა თავის წარსულს;

**თათარაძე არჩილ,** როგორც პარტიისაგან მოწყვეტილი;

**უჯმაჯურიძე პავლე**—შრომის დისციპლინის ჩაშლისა და კლასობრივად უცხო ელემენტებთან კავშირისათვის;

**მიქავა აკაკი, კობიძე გრიგოლ, ჩიჯოგიძე ნიკიფორე, კობიძე გერმან** — გარიცხულნი არიან როგორც მალული ტროცკისტები, რომლებიც აქტიურად ეწეოდნენ არალეგალურ მუშაობას;

**კოროშინიძე რაფიელი** გამორიცხულია იმისათვის, რომ ხელი შეუწყო გაქცევაში დაპატიმრებულ ნათესავს;

**გუდაძე ილია** — კანდიდატი გამორიცხულია როგორც ზედმეტი ბარგი.

**მებურიშვილი** გამორიცხულია ლოთობისათვის და წმენდაზე გამოუცხადებლობისათვის.

პარტიიდან გამორიცხულ იქნა უჯრედის წევრთა 20 პროცენტი, სასტიკი საყვედური გამოეცხადა 15 პროცენტს, მათ შორის ერთი მოხსნილ იქნა თანამდებობიდან.

**ხატი.**

## პ ი რ ვ ე ლ ი დ ღ ე ე ბ ი

(ქუთაისი)

ქუთაისში დამთავრდა გამწმენდ კომისიების წევრებისა და მდივნების შემოწმება.

წმენდის ჩასატარებლად მოწვეული იყო 4 ჯგუფური კრება უპარტიო მუშა-მოსამსახურეების თანდასწრებით. ოთხივე კრებას სულ 4.400 კაცი დაესწრო. მათგან უპარტიო — 1450. შემოწმება ჩაატარა კომისიამ ამხ. მასხულიის, კორნელი ქაცარავას და კუკულავას შემადგენლობით. შემოწმებაში გატარდა 25.

ალაგ-ალაგ იყო არა საბჭოთა ელემენტების შემოტევის ცდა შურის ძიების ნიადაგზე, მაგრამ მათ შავ განზრახვას ადრევე ითვალისწინებდა კრება და პროტესტით ხვდებოდა მას.

კრებებს ქონდა მეტად აქტიური და სერიოზული ხასიათი. უპარტიო მასა იძლეოდა მთელ რიგ შეკითხვებს, რომლითაც ააშკარავებდა შესამოწმებელ კომუნისტის, როგორც წარსულ მოღვაწეობას, ისე მის თანამედროვე მუშაობას, რევოლიუციონურ ბოლშევიკურ სიმტკიცეს.

დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი ძველი ბოლშევიკის ამხ. **ილია მაჭავარიანის** ავტობიოგრაფია. ამხ. ილია მართალია პარტიაში ირიცხებოდა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ის ბოლო დროს ოპოზიციონერთა ბანაკს ეკუთვნოდა.

როდესაც ამხ. ილიამ დაასრულა თავისი რევოლიუციონური წარსულის მოყოლა, მას მისცეს შეკითხვები:

— როგორ მოხვდით ტროცკისტების ბანაკში?

—თანაუგრძნობთ თუ არა ტროცკისტებს ამ ჟამად?

ამ კითხვებზე ამხ. მაჭავარიანი უპასუხებს, რომ იგი აქტიურ მუშაობას ყოფ. ოპოზიციონერებში არ ეწეოდა, მხოლოდ იდეურად თანაუგრძნობდა მას. უკანასკნელ ხანებში სოციალისტურ აღმშენებლობის ტემპის სწრაფი განვითარებით დარწმუნდა, რომ პარტიის გენერალური ხაზი სავსებით სწორია, ხოლო ყოფ. ოპოზიცია საბოლოოდ გადაბარდა კონტრ-რევოლიუციის ბანაკში. „უეჭველია ის ოპოზიციონერი, — ამბობს ამხ. მაჭავარიანი, — რომელიც ამას ვერ ამჩნევს, ვერ ხედავს და არ ეხმარება პარტიას გენერალური ხაზის გატარებაში“.

ამხ. მაჭავარიანის ასეთმა გულწრფელმა განცხადებამ აღფრთოვანება გამოიწვია როგორც პარტიულ, ისე უპარტიო მუშებში.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გამწმენდ კომისიასა და გასაწმენდ პირებს შორის არის ამხანაგური დამოკიდებულება.

ამით დამთავრდა შემოწმების პირველი ეტაპი. შემდეგ იწყება უკვე საბჭოთა უჯრედების, სოფლის და საწარმოო უჯრედების შემოწმება. შედგენილია წმენდის კალენდარული გეგმა.

**ს. მასხი.**

## მოაშორეთ პარტიას ზედმეტი ბარგი

(თბილისის საქონლის სადგურის უჯრედი)

ამიერ-კავკასიის რკინის გზის საქონლის სადგურის უჯრედის სხდომაზე 24 ივნისს მოსმენილ იქნა შემმოწმებელი კომისიის გადაწყვეტილებანი წმენდის შედეგების შესახებ. კრებას დაესწრო მრავალი უპარტიო მუშა და მოსამსახურე.

როგორც უპარტიო მუშები, ისე კომკავშირელები და პარტიის წევრები ესალმებოდნენ კომისიის გადაწყვეტილებებს. მუშებს შორის გაისმოდა ხმები: „როგორც იქნა თავიდან მოვიშორეთ ისინი, ვინც სახელს უტეხდა პარტიას, ვინც ხრწნიდა პარტიის რიგებს, ეწეოდა მას უკან, მოვიშორეთ თავიდან ისინი, ვინც

## აზერბეიჯანის ცეკასა და ც. საკ. კომისიის პლენუმი

**ბაქო,** 25 ივნისი. აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა მოისმინა ამხ. ფარაჯ-ზადეს მოხსენება სოფლის მეურნეობის მაშინიზაციის შესახებ და ამხ. იუსუფ კასუმოვის მოხსენება კოლექტიური მეურნეობის მშენებლობაზე. გამოიყო კომისიები მოხსენებებზე პრაქტიკული წინადადებების დასამუშავებლად.

25 ივნისს პლენუმმა მოისმინა ცეკას მდივნის — ამხ. ყარაევის მოხსენება აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) მორიგ ამოცანებზე.

ამხ. კასიმოვმა კოლექტიურ მეურნეობის მშენებლობის შესახებ სთქვა:

„1928 წლის შემოდგომიდან კოლექტიურ მეურნეობების რიცხვი 289-დან 449-მდე ავიდა, რაც 55,3 პროცენტს უდრის. საგრძნობლად გაიზარდა კოლმეურნეობათა სათესი მოედანი; წინასწარი მასალების მიხედვით, მიმდინარე წლის სათესი მოედანი უდრის 16.375 ჰას 9.321 ჰას ნაცვლად. განსაკუთრებით გაიზარდა ტეხნიკურ კულტურათა სათესი მოედანი. შარშანდელი 4147 ჰას ნაცვლად 1929 წელს დათესილია 12.090 ჰექტარი. ამჟამად თვითეული კოლექტიური მეურნეობის სათესი მოედანი, წინასწარი მასალის მიხედვით, საშუალოდ უდრის 68,6 ჰექტარს წარსული წლის 32 ჰექტარის ნაცვლად. ამის შესაფერად გაიზარდა კოლექტიურ მეურნეობათა ტეხნიკური და ფინანსიური ბაზაც. კოლექტიურ მეურნეობათა ხვედრითი წონა და სასაქონლო პროდუქცია სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ სუსტია. ნაკლოვანებათა რიცხვს ეკუთვნის: ორგანიზაციულ - ტეხნიკური ხელმძღვანელობის ჩამორჩენა საკოლმეურნეო მოძრაობის ზრდასთან შედარებით. არსებული კოლექტიური მეურნეობები არ წარმოადგენენ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებს და ხშირად მხოლოდ 15-20 გლეხურ მეურნეობას აერთიანებენ, სუსტად ხდება შრომის პროცესთა გასაზოგადოებრივება, სრულებით მოუგვარებელია შრომის ორგანიზაციის და შემოსავლის განაწილების საკითხი და სხვ. (ადს)

# პარტიის შემოწმებისა და წმენდის საკითხები

II

### ბიოგრაფიები და „ზღაპრები“.—ურთიერთ დაზღვევის პოლიტიკა ანუ „იცხოვრე და სხვაც აცხოვრე“.—„გამოცდების“ გარშემო

წინა წერილში *) მე იმაზე მქონდა ლაპარაკი, რომ პარტიის შემადგენლობის შემმოწმებელი და გამწმენდი კომისიების დიდი უმრავლესობა შეუდგა მუშაობას სათანადოთ მოუმზადებელი, საჭირო მასალებით (რაიკომებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან) „დაუტვირთავი“. რადგან ასეთ არახელსაყრელ პირობებში დაიწყო შემოწმება პირველი უჯრედების, ცხადია, ეს ნაკლი ნაწილობრივ მუშაობის პროცესში მაინც უნდა გამოგვესწორებია, ასე ვსთქვათ უნდა „შევიარაღებულიყავით“ „ბრძოლის“ პროცესშივე. ეს ასეც ხდება. ყოველ შემთხვევაში ერთი ცხადია: შემდეგ უჯრედს კომისიები შეუდგნენ ან უდგებიან უფრო მეტი გამოცდილებით და მეტი მასალით „დაზურგული“. თუმცა ამ მხრივ ჯერ კიდევ ვერ არის საქმე დაყენებული მთლად სასურველ ნიადაგზე, მაგრამ ეს ნაკლი ყველას მიერ შენიშნულია, ის შეიქნა „ყბად ასაღები“ და უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ, რამდენადაც საზოგადოთ ეს შესაძლებელი იქნება ობიექტიურად, მას გამოვასწორებთ.

შემდეგი ნაკლი კომისიების მუშაობისა შესამჩნევი ხდება თვით უჯრედის კრებებზე, სადაც მიმდინარეობს, უპარტიოთა თანადასწრებით, წევრთა და კანდიდატთა ინდივიდუალური შემოწმება. ამ რიგის ნაკლოვანებათაგან მე მინდა, პირველ ყოვლისა, შევჩერდე ამხანაგების ბიოგრაფიაზე.

საქმე იმაშია, რომ, როდესაც ამ ერთი თვის წინად სპეციალური კომისია შეუდგა ხელმძღვანელი ამხანაგების შემოწმებას, იქიდანვე დასაწყისი მიეცა ერთ პრაქტიკას, რომლის ნაკლი უფრო შესამჩნევი ხდებოდა თანდათან რაც უფრო გადაედიოდით პარტიულ მასის წმენდაზე. ხელმძღვანელ ამხანაგების შემოწმების დროს პარტიის წევრებისა და უპარტიოთა ფართო კრებების წინაშე ჩაიარა პარტიის ძველი გვარდიის მონაწილეებმა, ამხანაგებმა ხშირად ძალიან მდიდარი და, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, **დიდი აღმზრდელობითი ხასიათის** მატარებელი ბიოგრაფიებით. ძველი რევოლიუციონერები ნაჭერ-ნაჭერ აღადგენდნენ დაინტერესებული აუდიტორიის წინაშე პარტიის სახელოვან ისტორიას. ცოცხალი ეპიზოდები წარსული რევოლიუციონური ბრძოლებიდან კინო ლენტასავით იშლებოდა სმენად გადაქცეულ მასიურ კრებების წინაშე. მაგრამ ეს ყოველთვის უნაკლოდ არ ტარდებოდა. იყო ხოლმე გამონაკლისი გადამეტებისა და „პროპორციების“ დარღვევის. მიუხედავად ამისა, საერთოდ და მთლიანად ძველი რევოლიუციონერების წარსული ცხოვრების გაცნობის ეს წესი გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. და აი სწორედ ეს პრაქტიკა მექანიკურად იქნა გადატანილი პარტიის რიგის წევრებზეც, მასიურ წევრებზე და თითქმის ყველა (გამონაკლისი თითზე ჩამოსათვლელია) შეუდგა თავთავიანთი ბიოგრაფიების მოყოლას, ხშირად არა საჭირო დაწვრილებით. საქმე იქნამდე მივიდა, რომ ასეთი ბიოგრაფიების მოყოლის დროს ზოგჯერ ალუნუსხავი არ რჩება თვით რესტორანების სახელწოდება, დღე და ის პირები, სადაც, როდის და ვისთანაც ბიოგრაფიის მომყოლები ერთ ლუკმას გადაყლაპავდნენ არალეგალური მუშაობის ხანაში. და ეს მოყოლა ხდება ისეთი გატაცებით, რომ თავმჯდომარეს, მით უმეტეს, თუ ის არ არის შეჩვეული კრების ხელმძღვანელობას, უჭირს შეაჩეროს ამხანაგი და იხსნას კრება ასეთი გამოუსადეგარი წვრილმანებიდან, რომელიც უამრავ დროს აკარგვინებს კომისიებს, ანელებს მათი მუშაობის ტემპს. ზოგჯერ ასეთ წვრილადსულ, გადაჭარბებულ „სიუხვეს“ ის მიზეზი აქვს, რომ ყველას არ შეუძლია კარგად წარმოთქვას თავისი სიტყვა, არა აქვს გამოცდილება, რომ ამ სიტყვაში წინ წამოაყენოს ის, რაც მართლა ღირსშესანიშნავია და უკანა რიგზე დააყენოს ან, რაც კიდევ უკეთესია, სრულიად განდევნოს უმნიშვნელო წვრილმანები თავისი წარსული ცხოვრებიდან. ზოგჯერ კი ისიც ხდება, რომ ამ „სიუხვეს“ სარჩულად აქვს ამხანაგის მიერ თავისი რევოლიუციონური მუშაობის მნიშვნელობის გაზვიადება იმ მიზნით, რომ მოაჩვენოს კომისიას და „ყველას“, თუ როგორი „ყოფილა“ ის ძველად და რა დამსახურებულ პირთან გვაქვს საქმე. ამ დაუსრულებელმა ლაპარაკმა „ყოველისფერზე“ რაც შეეხება და არ შეეხება ბიოგრაფიას და საქმეს— ყოველივე ამან უნდა ამოავსოს ის სიცარიელე, რომელიც არის შექმნილი რევოლიუციონური წარსულის უქონლობით.

ამხანაგებმა უნდა შეითვისონ ის აზრი, რომ არავითარი მნიშვნელობა ასეთ ბიოგრაფიებს არა აქვთ. საქმე იმაში კი არის, თუ ვისთან ერთად სად წახვედი სამუშევარის საძებნად ან როდის, რომელ თვეში და რიცხვში მოხდა თქვენი წასვლა ქალაქში ან დაბრუნება სოფელში. უმთავრესია რევოლიუციონური და პარტიული მუშაობა წარსულში და კიდევ უფრო შენი აქტივობა დღეს: როგორ და რამდენად ენერგიულად ატარებ პარტიის დირექტივებს. ყოველი მოვლენა წარსული საზოგადოებრივ- პოლიტიკურ ცხოვრებიდან მოსახსენებელია იმდენად, და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს გააშუქებს ამ უმთავრეს საგანს და ამნაირად მასალას მისცემს კომისიას და კრებას, იქონიოს უტყუარი მსჯელობა შენზე და გაუადვილდეს შენი სწორი შეფასება. ეს არის ხომ მიზანი!

ამასთან ერთად არ შეიძლია არ აღვნიშნო ერთი დიდი შეცდომა, რომელიც ახასიათებდა ამ მხრივ შემმოწმებელ კომისიების მუშაობას დასაწყისში და რომელიც ნაწილობრივ დღესაც გრძელდება. ვლაპარაკობ იმაზე, რომ ამ საკითხში,—ისე როგორც ზოგიერთ სხვაშიც—ჩვენ ხშირად შეუგნებლად გვერდს ვუხვევთ ინსტრუქციას, ფაქტიურად ვარღვევთ მას. ამ საკითხის შესახებ გარკვევით არის ნათქვამი ინსტრუქციის მეოთხე თავში („ორგანიზაციულ-ტეხნიკური მუშაობა შემოწმებისა და წმენდის გატარების დროს“). ამ თავის მეოცდახუთე მუხლში ასე სწერია:

> „ცალკე კომუნისტების შემოწმება უჯრედების კრებებზე ხდება **შემმოწმებელ კომისიების მიერ** ბიოგრაფიული ცნობების გამოქვეყნების გზით, რომლებიც (ცნობები) ახასიათებს თვითეულ შესამოწმებელ ამხანაგს“... და სხვ.

ცხადია, შემმოწმებელი კომისიები და **არა თვით შესამოწმებელი ამხანაგები** აძლევენ ბიოგრაფიულ ხასიათის ცნობებს კრებას. ამ გარემოებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას რაც ზემოთ ვილაპარაკეთ. საქმე იმაშია, რომ თუ ბიოგრაფიას აქვეყნებს კომისია, მას შეუძლია ისე შეარჩიოს მასალა, რომ რაც უმთავრესია, ან მნიშვნელოვანი ის გააცნოს კრებას, ყოველ შემთხვევაში არ გადააპიჯოს ამ წვრილობით ბიოგრაფიას, რომელიც კომისიას ექნება წარდგენილი. აქ მიღწეული იქნება დროის ეკონომია და ფაქტიურად კრებასაც ექნება ის მასალა, რომელიც მისთვის მართლა წარმოადგენს არსებით ინტერესს და შეიცავს ზოგჯერ უბრალო „ზღაპარს“. კრების მონაწილეთ ეძლევა ამნაირად საშუალება შეაფასონ ეს ცნობები, დაამატონ მათ ახალი ან და, სრულიად სხვა ფაქტების გამოქვეყნებით, დაეხმარონ კომისიას, გააშუქონ ყოველ მხრივ ამხანაგის წარსული და დღევანდელი მუშაობა. **ასეთი დახმარების გარეშე კომისია ვერ შეასრულებს** თავის მოვალეობას, რადგან არა თუ რამოდენიმე დღე ან დაახლოვებით ერთი კვირა, რომლის განმავლობაში ის იხილავს უჯრედის შემადგენლობას, არამედ მარტო, საკუთარი ძალით, ის ერთი თვეც ვერ შესძლებს ისეთი სისწორით და სისრულით გაეცნოს საქმის ვითარებას, რომ შეადგინოს თავისი საბოლოო აზრი ამხანაგების შესახებ. და ეს იმიტომ, რომ კომისიის წევრები საერთოდ **ახალი ხალხია** ამა თუ იმ უჯრედისთვის. ამნაირად **ადგილობრივი** ამხანაგების დახმარებას, უჯრედის წევრების, კანდიდატების და დაწესებულების უპარტიო მუშების თუ მოსამსახურეების დახმარებას **უდიდესი მნიშვნელობა** აქვს კომისიების მუშაობისა და მისი წარმატებით გათავებისათვის.

**მაგრამ აქვს კი ასეთ დახმარებას ყოველთვის ადგილი?** ვერ ვიტყვით რომ აქვს.

რაშია აქ საქმე? რა უშლის ამას ხელს? ხელს უშლის, ჩვენის აზრით, პასუხისმგებლობის არა სრული შეგნება იმ საქმისათვის, რომელიც დაავალა პარტიამ თავისი წევრების მასას წმენდასთან დაკავშირებით. სხვანაირად არ შეიძლება შეაფასო ის დამოკიდებულება კომისიების მუშაობისადმი, რომელიც შემჩნეული იყო პირველ ხანებში,— და დღესაც გრძელდება კიდევ ზოგიერთ უჯრედებში.

პარტიის რიგების შემოწმების დაწყებას ხშირად ინსტინქტიური შიშით მოელოდნენ ამხანაგები. მათი წარმოდგენით, რომელიც უეჭველად აშენებულია პარტიის მიზნების **ყალბ გაგებაზე და წმენდის მიზნების გადამახინჯებაზე,** საკონტროლო ორგანოები და შემმოწმებელი კომისიები გაივლიდნენ პარტუჯრედების სხეულზე, როგორც რაღაც „დამსჯელი რაზმები“, რომლებიც არავის არ დაინდობენ, და მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორმე მეტი „ხალხი“ მოაქციონ პარტიის გარეთ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი შეხედულება წმენდაზე არის **სიყალბე თავიდან ბოლომდე.** თუმცა ამ სიყალბის გავრცელება შეადგენს ჩვენდამი მტრულად განწყობილი ელემენტების ინტერესს და მას არავითარი საერთო არა აქვს სინამდვილესთან, მაგრამ ეფექტი, პრაქტიკული შედეგი ასეთი ყალბი შეხედულებისა ამ საკითხზე უკვე შესამჩნევი, „ხელით შესახები“ ხდება ზოგიერთ უჯრედებში. ეს შედეგი იმაში გამოიხატება, რომ ინდივიდუალური შემოწმების დროს, ძალიან ხშირად, დამსწრე ამხანაგებს აწ უპარტიოებს არ გამოაქვთ დღის სინათლეზე ამ ამხანაგების ნაკლოვანებანი, არ უთითებენ კომისიას მათი მუშაობის უარყოფით მხარეებზე ან და იმ შემთხვევაში, როდესაც მაინც დაიწყებენ ამაზე ლაპარაკს, მიუთითებენ მარტო **უმნიშვნელო** ფაქტებზე, ხოლო ჩრდილში კი სტოვებენ ისეთ „საგმირო“ საქმეებს, რომლებიც უნდა გამომჟღავნდნენ. ზოგჯერ ამ სიჩუმეს, სხვის ნაკლოვანებებზე ხელის განძხარ დაფარვას ურთიერთ დახმარების, ასე ვთქვათ, ურთიერთ დაზღვევის ხასიათი აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ მე გავჩუმდები შენ დანაშაულზე, ხოლო შენც უნდა „დამიფასო“ ეს პატივისცემა, წყალი ჩაიგუბო პირში, როდესაც ჯერი ჩემზე მივა და კრინტი არ დასძრა ჩემ საგმირო საქმეებზე. თუ „ფორმისთვის“, კომისიის დასანახავად, მაინც შევეხებით ერთმანეთს,— გამოვამჟღავნებთ მხოლოდ ისეთი რამ, რაც სრულიად უმნიშვნელო ან მეორე ხარისხოვან საქმეს შეადგენს. ასეთი ამხანაგები მოქმედობენ „პრინციპის“ მიხედვით: „იცხოვრე და სხვაც აცხოვრე“, ე. ი. „მეც სუ—შენც სუ“ (არის ასეთი გამოთქმა ჩვენში). აი სწორედ ეს ურთიერთ დაზღვევის პოლიტიკა, კომისიების წინაშე ასეთი საქციელის ჩადენა, წარმოადგენს დიდ **ბოროტებასა და დანაშაულს პარტიის მიმართ.** ხოლო— უნდა ვსთქვათ ეს—საქმისადმი ასეთ დამოკიდებულებას ჰქონდა დღემდე და აქვს დღესაც აქა-იქ ადგილი ამხანაგებში. სხვა საკითხია, რამდენად აღწევენ „მიზანს“ ასეთი ამხანაგები. მე მგონია, მაგალითად, რომ კომისიები დროზე უღებენ ალღოს შექმნილ „მდგომარეობას“ და მიმართავენ სათანადო ზომებს, რომ ეს „მუნჯური მეთოდი“ დაირღვეს და საქმეს მიეცეს პარტიისათვის სასურველი მსვლელობა.

აი ეს ნაკლიც უეჭველად უნდა იქნეს გამოსწორებული რაც შეიძლება მალე და კიდევაც გამოსწორდება, თუ პარტიული ამხანაგები იგრძნობენ მეტ პასუხისმგებლობას პარტიისა და პროლეტარული დიქტატურის მიმართ, თუ შემმოწმებელი კომისიები სათანადოთ მიუდგებიან უჯრედის წევრებს.

ხოლო ამ ნაკლის თავიდან აცილება აბსოლიუტურად საჭიროა. პარტიის რიგების შემოწმება და წმენდა თავის უმთავრეს მიზნად ისახავს პარტიიდან არაკომუნისტური ელემენტების ჩამოცილებას, მათ განდევნას ორგანიზაციიდან. პარტიის წმენდის შედეგი უნდა იყოს ამნაირად მისი რიგების კიდევ უფრო გაფოლადება, განმტკიცება, მისი ბრძოლის უნარიანობის გაზრდა, მისი პოლიტიკურ -მორალური დონის ამაღლება. ყოველივე ეს საჭიროა იმ უდიდესი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებსაც შეუდგა ლენინის პარტია —შტაბი პროლეტარული დიქტატურის. ეს ამოცანები არ უნდა გაუშვან მხედველობის რკალიდან ამხანაგებმა, პარტიის წევრებმა და იმ უპარტიოებმა, რომლებიც ეხმარებიან პარტიას მის გიგანტიურ მუშაობაში. პარტიის უდიდესი ამოცანების სიძნელემ, თვით ამ ამოცანების სიდიადემ უნდა გაზარდოს თვითეულ უჯრედში, ამ უჯრედის თვითეულ წევრში ის პასუხისმგებლობა, რომელიც ევალება ყველას პარტიის რიგების შემოწმებისა და წმენდის დროს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან მათ, რომ ის ამხანაგები, რომლებსაც დავალებული აქვთ პარტიის მიერ წმენდის ჩატარება, შეიყვანონ შეცდომაში შეგნებულად თუ შეუგნებლად; არ უნდა დაუშვან, რომ კომისიის წევრები მოტყუებულნი დარჩნენ უჯრედის წევრების ურთიერთ დაზღვევის „პოლიტიკის“ გამო, რომ საბოლოო ანგარიშით პარტიის (ამ შემთხვევაში მისი ამა თუ იმ უჯრედის) რიგები დარჩნენ იმ მდგომარეობაში, რომელშიც იყვნენ წმენდამდი. ეს იქნება დამარცხება იმ უდიდესი კამპანიის, რომელსაც ჩვენი პარტია ატარებს დღეს. ამას ვერ დაუშვებენ ლენინის პარტიის წევრები; ისინი უნდა დაეხმარონ აქტიურად, მაქსიმალურად კომისიას. და ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ კიდევაც შეასრულებენ ამ დიდ მოვალეობას.

შემდეგი საკითხი, რომელზეც ჩვენ გვინდა მივაქციოთ ამხანაგების ყურადღება წმენდასთან დაკავშირებით შეეხება ეგრედწოდებულ „გამოცდებს“. უნდა ითქვას თავიდანვე, რომ ამ საკითხის ირგვლივ დაგროვდა საკმაო გაუგებრობა, რომელიც დროზე უნდა გაიფანტოს.

მე ზევით გაკვრით მოვიხსენიე იმის შესახებ, რომ პარტიის წევრები ზოგან ინსტინქტიური შიშით მოელოდნენ შემოწმებას და წმენდას. ერთი მოტივთაგანი ამ შიშის იყო—და ჯერ კიდევ არის ზოგან—ის, რომ უჯრედის წევრების შემოწმება გარდაიქცევა ამხანაგების **გამოცდათ** მათ პოლიტცოდნის დარგში. ეს გამოცდა აღელვებდა და აღელვებს კიდევ ამხანაგებს, ეშინიათ „ეკზამენის“. თითქმის ყოველ კითხვაში პოლიტიკური, ეკონომიური თუ სხვა დარგიდან შესამოწმებელი ამხანაგები ხედავდნენ გამოცდას. ეს იწვევდა მათი მხრით ხან ჩუმ უკმაყოფილებას, ხან კი, როგორც ამას ადგილი ქონდა იუსტიციის სახკომატის უჯრედის შემოწმების დროს, აშკარა პროტესტს ამა თუ იმ წევრის. ზოგჯერ წევრების მხრივ. ჩვენ მაგალითად ვიცით, რომ ხსენებულ უჯრედზე საკამათოთ გახდა ეს საკითხი და კომისიის წევრი იძულებული შეიქნა საკმაო ვრცელი ახსნა-განმარტებით გამოსულიყო მის შესახებ.

რაღა შორს წავიდეთ, თვით ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, პარტცხოვრების განყოფილებაში, მოთავსებულია ამხ. ან—ის წერილი, რომელიც **შეიძლება** იქნეს ყალბად გაგებული, რომელსაც **შეუძლია** კვლავ მისცეს ადგილი გაუგებრობას.

გადავფურცლოთ ჯერ ინსტრუქცია და ვნახოთ რა სწერია იქ ამ საკითხის შესახებ.

„შემოწმებამ საბოლოო ანგარიშით, ხელი უნდა შეუწყოს კომუნისტების **პოლიტცოდნის დონის ამაღლებას.** მაგრამ შემმოწმებელმა კომისიებმა პირადი შემოწმების დროს **არ უნდა გადააქციონ** ის პოლიტცოდნის **გამოცდათ; განსაკუთრებით დაუშვებელია,** რომ შესამოწმებელ ამხანაგს დაუსვათ განძრახ დახლართული საკითხები. (запутанные каверзные вопросы)“.

ეს თავისთავად სწორი და ინსტრუქციაში სამართლიანად შეტანილი დებულება ზოგიერთებმა ისე გაიგეს, რომ **არავითარი** კითხვა არ უნდა დაუყენოთ ამხანაგებს იმის შესახებ, თუ **რას აკეთებს დღეს პარტია** და რა ამოცანებს ისახავს თავისი გიგანტიური ბრძოლის გაშლილ ფრონტზე*).

ამ საკითხების გამორკვევა კომისიებს იმისათვის კი არ ესაჭიროებათ, რომ „გამოცდა მოუწყონ“ ამხანაგებს, „ჩაჭრან“ ისინი (ეს მართლაც იქნებოდა გამრუდება, როგორც შემოწმების მიზნების, ისე დამახინჯება ინსტრუქციისაც). არა. ეს საკითხები ხანდახან,— სადაც და როდესაც ეს საჭიროა —უნდა დაუყენოთ შესამოწმებელ ამხანაგს, ან ამ საკითხების შესახებ საუბრის სახით უნდა გამოველაპარაკოთ მას იმიტომ, რომ გავიგოთ, რამდენად შეთვისებული აქვს ამხანაგს პარტიის ხაზი, პარტიის გადაწყვეტილებანი ამა თუ იმ მორიგ საჭირბოროტო საკითხში, რომლის გადაჭრას ცდილობს პარტია.

პარტია დღეს გიგანტიურ ბრძოლას აწარმოებს, ის გადასულია შეტევაზე ძველი ეკონომიური წყობილების ნაშთების წინააღმდეგ ქალაქად და სოფლად. ეს შეტევა ხდება უდიდეს შინაური და გარეშე სიძნელეთა პირობებში, ძალთა უდიდესი მობილიზაციისა, დაჭიმვის პირობებში და აი ჩვენ ვკითხულობთ, უნდა იცოდეს თუ არა პარტიამ, მისი რიგების შემოწმების შედეგად, თუ რა ძალებით უხდება მას ბრძოლა, როგორია ის არმია, რომელსაც უხელმძღვანელებს მიმდინარე დიდ ბრძოლებში პარტიის (ცენტრალური) კომიტეტი; უნდა გაიგოს თუ არა პარტიამ სად არის ამ მხრივ სუსტი ადგილი. გვგონია, რომ ჩვენი რიგების შემოწმებამ ესეც უნდა გამოარკვიოს. ეს კიდევ ცოტაა. საჭიროა, რომ „შემოწმებამ საბოლოო ანგარიშით ხელი შეუწყოს კომუნისტების პოლიტცოდნის დონის ამაღლებას“. ჩვენ ამას ვერ მივაღწევთ, თუ შემოწმების დროს გვერდი აუხვიეთ პარტიის მორიგი ამოცანების გარკვევას და იმის გაგებას (საუბარის ან კითხვის დაყენების წესით), თუ როგორ შეითვისა ამხანაგმა ესა თუ ის გადაწყვეტილება და დირექტივები.

ზოგიერთებს და მათ შორის ალბათ ამხ. ან—საც ჰგონია, რომ თუ წმენდის დროს შესამოწმებელ ამხანაგს შეეკითხენ, რა მიზანს ისახავს სოციალისტური შეჯიბრება ან **„რა მოვლენებს აქვს ადგილი სოფლად“**—ეს ნიშნავს „გამოცდას“. ეჭვს გარეშეა, ასე ზოგადათ საკითხის დაყენებას, როგორც ეს ხაზგასმულ სიტყვებშია **სოფლის** შესახებ, უნდა ვერიდოთ, მაგრამ თავისთავად პარტია **უნდა იყოს დარწმუნებული იმაში,** რომ ყოველმა მისმა წევრმა იცის თუ რა ხდება ეხლა სოფლად და რას ვაკეთებთ იქ. სხვა საქმეა, შეიძლება თუ არა გამორიცხო პარტიიდან ის წევრი, განსაკუთრებით თუ ის მუშაა, რომელმაც არ იცის ანბანი ჩვენი პარტიის პოლიტიკისა დღეს, არ იცნობს, როგორც საჭიროა, მის ნაბიჯებს. გვგონია, რომ მარტო ამიტომ მისი გამორიცხვა პარტიიდან არ უნდა მოხდეს. ეს უცოდინარობა დაგვანახვებს მხოლოდ პარტუჯრედის მუშაობის სისუსტეს თავის წევრთა შორის და ეს იქნება საკმაო კომისიისათვის, რომ წინადადება მისცეს, როგორც უჯრედს, გააძლიეროს თავისი პოლიტგანმანათლებელი მუშაობა თავის წევრებს შორის, ისე ამხანაგს, რომ მან უახლოეს დროში მოახდინოს თავისი პოლიტუცოდინარობის ლიკვიდაცია. ეს იმიტომ, რომ ამხანაგი, რომელიც ვერ ერკვევა პარტიის მიზნებში, მის გადაწყვეტილებებში, დირექტივებში და მორიგ ამოცანებში ან ნაბიჯებში არ შეიძლება იყოს კარგი ჯარისკაცი ჩვენი დიდი არმიის, ის არ შეიძლება იყოს „შეგნებული გამომხატველი შეუგნებელი პროცესის“, არ შეიძლება იყოს მოწინავე ელემენტი კლასის, ე. ი. წევრი **პარტიის.**

იმ ამხანაგებს, რომლებსაც ისე ესმის ეს საკითხი, როგორც ან—ს, ჩვენის აზრით გაგებული არა აქვს სათანადოთ არც პარტიის შემოწმების და წმენდის მიზანი და არც ინსტრუქციის ის მუხლი, რომელზეც ჩვენ ზემოდ გვქონდა ლაპარაკი.

**კომისიის წევრი.**

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 142.

*) ამნაირად გაგებული, ამხ. ან—ის წერილი არ გამოხატავს რედაქციის აზრს.

რედ.

# რა აფერხებს წარმოების რაციონალიზაციას

## უგეგმო და უსისტემო მუშაობას ზოგიერთ საწარმოში ბოლო არ ეღება

## სათბობი მასალა რკინის გზებზე უთავბოლოთ იხარჯება

### გაცდენილი სამუშაო დრო და შრომის დისციპლინა ს. მ. უ. ს. წარმოებებში

სამუშაო დღეთა გაცდენის შემცირების მიზნით ს.მ.უ. საბჭომ თავის წარმოებებში და ფაბრიკა-ქარხნებში ჩაატარა შესაფერი მუშაობა. აღნიშნულ მუშაობას ტექნიკურად ატარებდა ს.მ.უ.ს. საგეგმო - საწარმოო განყოფილება. მიმდინარე წლის რვა თვის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო მრეწველობაში გაცდენილი ყოფილა 44.525 სამუშაო კაც-დღე, მაშინ, როდესაც გასული წლის ამავე პერიოდში გაცდენილ სამუშაო დღეთა რიცხვი უდრიდა 46.497 კაც-დღეს.

ს.მ.უს.-ში მიღებული ცნობებით, მიმდინარე წლის განმავლობაში სახელმწიფო მრეწველობაში ჩაბმული არის 24 პროცენტით მეტი მუშა-ხელი, ვიდრე ეს გასულ წელს იყო. თუ ამ გარემოებას მხედველობაში მივიღებთ, გამოდის, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში საგრძნობლად შემცირებულა გაცდენილ სამუშაო დღეთა რიცხვი. საშუალოდ თვითეულ მუშაზე მიმდინარე წელს მოდის 8,44 გაცდენილი სამუშაო კაც-დღე. გასულ წელს კი წარმოებაში ჩაბმულ თვითეულ მუშაზე მოდიოდა 4,86 კაც-დღე. გაცდენილ სამუშაო დღეთა რიცხვს შარშანდელთან შედარებით წელს მოუკლია 29 პროცენტით.

განსაკუთრებული მუშაობა იყო ჩატარებული ს.მ.უ.ს ქვემდებარე წარმოებებში შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად. ამ ჟამად უკვე გამორკვეულია, რომ გასულ წელთან შედარებით შრომის დისციპლინა საგრძნობლად შესუსტებულა მთელ რიგ წარმოებებში. კერძოთ შრომის დისციპლინის შესუსტებას ადგილი ჰქონია ბორჯომის სატკეჩე ქარხანაში, ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში, აბრეშუმის მრეწველობაში და სამთამადნო მრეწველობაში.

შრომის დისციპლინის შესუსტება ზემოთ დასახელებულ წარმოებებში აიხსნება იმ გარემოებით, რომ მუშა-ხელის დიდი უმრავლესობა მუშაობს სეზონურათ და ისინი მტკიცედ არ არიან დაკავშირებული წარმოებასთან.

### უსისტემო მუშაობა

(სტალინის სახ. შემკეთებელი ქარხანა)

დღეს ფაბრიკა-ქარხნებში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს სამუშაო პირობებისა და წარმოების გასაუმჯობესებლად. სოციალისტურმა შეჯიბრებამ ამ მხრივ უკვე დიდი სარგებლობა მოუტანა ჩვენს წარმოებას, მაგრამ ზოგიერთ საწარმოში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად ჯერ კიდევ არ გადადგმულა სათანადო ნაბიჯი. ასეა მაგალითად სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში. აქ თითქმის ყველა საამქროებ შორის შეჯიბრება გამოცხადებული. მუშები ეჯიბრებიან ერთიმეორეს პროდუქციის გამომუშავებაში, მისი ხარისხის აწევაში, თვითღირებულების ვარდნაში და სხვ. მაგრამ საამქროებში მუშაობის პირობების გასაუმჯობესებლად არავინ ზომებს არ ღებულობს.

სამჭედლო-საამქროში შეკვეთების მიღება და საქმის განაწილება მუშებზე არ ხდება რაციონალურად. მუშები საქმეს ღებულობენ საამქროს გამგის თანაშემწისაგან, ან მასტიორისაგან. მაგრამ ამ საქმის შესასრულებლად მუშას არ ეძლევა არც ნედლი მასალა და არც სამუშაო ხელსაწყო-იარაღი. იგი თითონ დადის საამქროში და ეძებს ისეთ რკინას, რომელიც გამოდგება მის მიერ აღებულ შეკვეთისათვის. ამ მასალის ძებნაში ტყუილ-უბრალოდ იკარგება აუარებელი სამუშაო საათები, მაგრამ ამით არ მთავრდება საქმე. ნედლი მასალის პოვნის შემდეგ მუშა ეძებს დამხმარე ძალას—შავ მუშას. ამაშიაც საკმაოდ დიდი დრო იკარგება, სამუშაო ხელსაწყო იარაღიც ნაკლებია საამქროში, და რაც არის, ისიც არ არის დახარისხებული და სისტემაში მოყვანილი. ყალიბები არეულია ერთი-მეორეში, რის გამო მუშა იძულებულია მთელი საათები დაჰკარგოს მის ძებნაში.

ამგვარად სამჭედლო საამქროს თვითეული მჭედელი სრულიად უნაყოფოდ ჰკარგავს ათეულ წუთებს და საათებს, რომლებიც საერთოდ დიდ დროს შეადგენ. ამის შესახებ ბევრი, ილაპარაკეს მუშებმა, საქარხნო გაზეთშიაც კი იყო მოთავსებული წერილი, მაგრამ ნაკლის გამოსწორებას საშველი მაინც არ დადგა. მუშაობა კვლავ მოუწესრიგებელი და უსისტემოა.

რას აკეთებს საწარმოო თათბირი, ნუ თუ არ შეიძლება მუშაობის ისე მოწესრიგება, რომ სამუშაო დრო არ იკარგებოდეს უნაყოფოდ.

გიორგი ნატროშვილი.

### სათბობ მასალის უყაირათო ხარჯვა

სათბობი მასალის ხარჯვა რკინის გზებზე სათანადო ნორმის მიხედვით სწარმოებს. მაგრამ რამდენიმე ორთქლმავალი წლობით უნორმოთ მუშაობენ და მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ორთქლმავლებზე მომუშავე მემანქანეები სწვავენ სათბობ მასალას განუსაზღვრელ რაოდენობით, რკინის გზებზე არსებულ წესდების მიხედვით მაინც ღებულობენ პრემიას სათბობის ეკონომიისათვის.

ლენინაკანის უბანში ხუთი ორთქლმავალი მთელი 1928 წლის განმავლობაში მუშაობდა უნორმოთ და ორთქლმავალთა გუნდებმა, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთ სურვილის და სინდისის ქვეშ უნორმოთ ხარჯეს სათბობი ცხრა თვის განმავლობაში, წესდების მიხედვით მათ გააკეთეს 87 ტონა ეკონომია. ეს ციფრი რასაკვირველია ფიქტიურია, რადგან აღნიშნულ ორთქლმავლებს სინამდვილეში არავითარი ეკონომია არ გაუკეთებია, პირიქით, მათ მეტიც დახარჯეს და მიიღეს ფულადი ჯილდო 1.000 მანეთი და 15 კაპ. აქ ორგვარ დანაშაულთან გვაქვს საქმე: პირველი, რომ ორთქლმავლები მუშაობენ უნორმოთ და სათბობ მასალის განუსაზღვრელ რაოდენობას წვავენ და მეორე ის, რომ ასეთ განუსაზღვრელ და უანგარიშო ხარჯვისათვის ორთქლმავალთა გუნდებს ეძლევათ პრემიები. როგორც პირველი, ისე მეორე შემთხვევაშიც, დანაშაული წევის განყოფილებას მიუძღვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ტენდერების გარეცხვის დროს, ნავთის ბაკები არ ცარიელდებიან მაზუთისაგან ორი სანტიმეტრის სიმაღლეზე. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ რკინის გზებზე ხუთასზე მეტი ორთქლმავალი მუშაობს და მათი ტენდერებს გარეცხვა წელიწადში რამდენიმეჯერ ხდება. ადვილი წარმოსადგენია თუ რამდენი ეკონომია შეიძლება მივიღოთ ბაკების სრული გაცალიერებით მათი გარეცხვის დროს. ეს ეკონომია ას ტონებში გამოიხატება.

საჭიროა ამ გარემოებასაც ჩაუფიქრდეს წევის განყოფილება.

ჩ—ძე.

### ბოროტმოქმედები სასტიკად უნდა დაისაჯონ

ა.-კ. რკინის გზებზე უკვე მოთავდა სასავოთო მატარებლებზე კაზანცევის სისტემის ავტომუხრუჭების მოწყობა. ნაწილობრივ საბარგო მატარებლებზედაც მოეწყო ვესტინგაუზის ავტომუხრუჭები. მნიშვნელობა და სარგებლიანობა ავტომუხრუჭების საბჭოთა კავშირისათვის განუზომელია ყოველ მხრივ, რაც უკვე ცხადჰყო ჩვენ გზებზე ამ მუხრუჭების ოთხი წლის მუშაობამ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრს ვერ შეუგნია ავტომუხრუჭების რეფორმის ეკონომიური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. უკანასკნელ ხანებში ძალზე გახშირდა ავტომუხრუჭების. შემაერთებელი სახელურების პარვა და ბოროტგანზრახვით მათი დაჭრა-გაფუჭება. მიუხედავათ მთელი რიგი მიღებული ზომებისა, სანუგეშო შედეგებს მაინც ვერ მივაღწიეთ. თუ ასე გაგრძელდა ამ სახელურების დაჭრა-გაფუჭება, შეიძლება საშიშროების ქვეშ დადგეს ავტომუხრუჭების მოწყობის საქმე და შეფერხდეს ავტომუხრუჭების რეფორმის გატარება. თითო სახელური ღირს 12 მან. უკანასკნელ თვის განმავლობაში მარტო სად. ნავთლუღში დასჭრეს და დაიპარეს 8000 მან. სახელურები (250 ცალი).

ავტომუხრუჭების ქონების დაცვა ამ ჟამათ დიდი მნიშვნელობის საკითხია. საჭიროა ამ საკითხის დასმა მთელი სიგრძე სიგანით საზოგადოებრივ და პარტიულ ორგანიზაციების წინაშე; დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს ახსნა-განმარტებითი კამპანია ადგილებზე. ყოველმა რკინის გზელმა, მუშაა ის თუ მოსამსახურე, უნდა გამოიჩინოს მეტი სიფხიზლე, რათა საჩქაროდ აღმოიფხვრას — ნებითი თუ უნებლიეთ ბოროტმოქმედება ამ დიდი საქმის გატარების წინაალმდეგ. ამავე დროს სასტიკი ზომები უნდა იქნას მიღებული იმათ წინააღმდეგ, ვინც შემჩნეული იქნება აღნიშნულ ბოროტების ჩადენაში. კმარა მარტო ოქმის შედგენა და დამნაშავის განთავისუფლება, როგორც ამას დღეს აქვს ადგილი. საჭიროა ბოროტმოქმედის მთელი სისასტიკით დასჯა. სახელმწიფოს შეგნებულათ ზარალის მიმყენებელი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.

ავტომუხრუჭების ნაწილების დაჭრა-დაზიანება უმთავრესად ხდება სად. ბაქოში, ბალაჯარაში, ნავთლუღში და ბათომში; დაზიანებას ადგილი აქვს კიდევ განჯაში, აქსტაფაში და ხანაინშიც.

რკინის გზის მცველებმა, თავის მხრივ უნდა გამოიჩინონ მეტი პასუხისმგებლობა და უზრუნველჰყონ ავტომუხრუჭებით მატარებლის ნორმალური მუშაობა. ამ მხრით საჭიროა, სხვადასხვა უბნის მცველებმა გამართონ შეჯიბრება საერთო სახელმწიფო ქონების დაცვაში და კერძოდ ავტომუხრუჭების ნაწილების დაცვაში, რომელსაც ამ ჟამად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ვ. გოგიშვილი.

### უთავბოლო მუშაობის შედეგები

(ზუგდიდის ხე-ტყის სახერხი ქარხანა)

ამას წინედ ადგილობრივ განყოფილმა სპეციალურმა კომისიამ მოახდინა სატივოზე და ქარხნის ეზოში დაწყობილ მორების და დახერხილი მასალის შემოწმება. შემოწმებამ ნათელჰყო შემდეგი: ამჟამად სატივოზე და ქარხნის ეზოში მწყობი მორები უნუგეშო მდგომარეობაშია. შეიძლება ითქვას, რომ მორები დასახერხავად გამოუსადეგარია. 6.000 ცალი მორიდან, რომლებიც ამჟამად მოიპოვება სატივოზე, პირველი და მეორე ხარისხის მორი სრულებით არ გამოირჩევა, ხოლო მესამე ხარისხის კი არ აღემატება 25 პროცენტს. დანარჩენი 75 პროც. სრულიად უვარგისია. ასეთი მორების სატივოდან მიღება და დახერხვა მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, ქარხანა ამუშავებდა სწორედ ასეთ უვარგის მორებს, რის გამო ამჟამად ქარხანაში აწყვია დაახლოებით 45.000 კ. მ. სრულიად უვარგისი დახერხილი მასალა, რომელიც არამც თუ არ გაიყიდება, არამედ ზედმეტ ხარჯსაც გამოიწვევს. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევა, რომ უვარგისობის გამო, საჭირო ხდება მორის შემოკლება თითო არშინით თავსა და ბოლოში. ხშირია ისეთი შემთხვევაც, რომ ჩარჩოში მორის გაშვების შემდეგ არც ერთი ფიცარი არ გამოდის, მთელი მორი ცვივდება ნაგვად და მის გადასაყრელად საგრძნობი დრო და ხარჯი იკარგება. ასეთი ხარისხის მორების, სვანეთის რაიონ, ანგარიშობს 53 კაპ. ამოტანით კი ქარხანას უჯდება 60 კაპ., ხოლო დახერხილი მასალა კი 85 კაპ. მეტი.

ყველაფერი ეს არის შედეგი ნედლეულის უვარგისობისა. კომისიის აზრით, სვანეთის რაიონიდან მიღებული მორები ნანგარიშევი უნდა იქნეს არა 53 კაპ., არამედ 30 კაპ., შემდეგისათვის კი საჭიროა მორების ხარისხობით მიღება და შესაფერისი ფასების დაწესება; გარდა ამისა, საჭიროა მორების დანომრვის შემოღება, რადგანაც მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დანაკლისისა და დანაკარგის ზუსტად გამოკვლევა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მდგომარეობაც, რომ სვანეთის რაიონი იმავე ფასებში, როგორც ოზურგეთის ქარხანას, საუკეთესო ხარისხის მორებს აწვდის „ზაკგოსტორგი“-ს ქარხანასაც. მომავალში ეს აღარ უნდა განმეორდეს.

ხსენებულ მიზეზების გამო ქარხანა დაღუპვის გზაზე დგას. ეხლა უკვე ზაფხულის პერიოდია, მაგრამ მდგომარეობა მაინც უნუგეშოდ ჩაითვლება, რადგან სატივოზე 120.000 კუბ. ფუტ. რაოდენობით უვარგისი მორები აწყვია. ძველი მორები ქარხანაში ეხლა არ დაიხერხება, რადგან—ქარხანა ცოცხალი ფასად მკვდარ მასალას ღებულობდა. უაზროა იმ მორების მიღებაც, რომლებიც სატივოზე აწყვია. ყოველივე ამას ტრესტი არავითარ ყურადღებას არ აქცევს. თითქოს ეს მას არ ეხებოდეს.

ჯ.

კოლოფების ფაბრიკა. კარდონის საჭრელი დაზგა

# ზაჰესის მუშაობის ორი წლის თავი

დღეს სრულდება ორი წელიწადი, რაც ამუშავდა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგური. 1927 წლის 26 ივნისს მოხდა ზაჰესის საზეიმო გახსნა და მას შემდეგ დღემდე სადგური შეუწყვეტლივ აწვდის ენერგიას ქალაქს, ფაბრიკა - ქარხნებს და წარმოებებს.

ამუშავების პირველ წელიწადს სადგურის მუშაობაში ადგილი ჰქონდა დაბრკოლებებს, რაც გამოწვეული იყო არა სადგურის მოწყობილობათა მიზეზით, არამედ უმთავრესად სადგურზე მომუშავე ტექნიკური პერსონალის გამოუცდელობით. ამჟამად ტექნიკური პერსონალი გაიწვრთნა პრაქტიკულად და უფრო ადვილად სწარმოებს სადგურის მუშაობის მართვა-მოწესრიგება.

ზაჰესის ექსპლოატაციის მეორე წლის განმავლობაში სადგურის მუშაობა არ ყოფილა შეჩერებული არც ერთი საათით. ვერც წყალდიდობამ, ვერც დიდმა თოვლმა და ვერც ბუნების სხვა მოვლენებმა ვერ შეაჩერეს სადგურის მუშაობა.

### რამდენადაა დატვირთული ზაჰესი

ზაჰესის სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ა. მუსხელიშვილმა ზაჰესის დატვირთვისა და სადგურიდან გაშვებული ელექტრო-ენერგიის რაოდენობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს გადასცა:

— ამუშავების პირველი წლის განმავლობაში, ე. ი. 1927 წ. ბოლომდე ზაჰესი იძლეოდა დღე-ღამეში საშუალოდ 15.000 კილოუატ-საათ ენერგიას. 1928 წელს კი დღე-ღამეში გამოშვებული ელექტრო-ენერგიის რაოდენობამ მიაღწია 60.000 კილ.-საათს, ხოლო წელს ზაჰესი საშუალოდ იძლევა 90.000 კილოუატ-საათ ენერგიას. 1927—28 წლის განმავლობაში ზაჰესს მოუცია სულ 20 მილიონი კილოუატ-საათი ენერგია. წელს კი სადგურიდან გაშვებული ენერგიის რაოდენობა გადააჭარბებს 30 მილიონ კილოუატ-საათს.

ზაჰესის ამუშავებისთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმ გარემოებას, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით ყოფილიყო გადაყვანილი ზაჰესის ენერგიაზე თბილისის წარმოებები და ფაბრიკა-ქარხნები, რითაც გაიზრდება სადგურის დატვირთვა დღის განმავლობაში და იაფი ენერგიის გამოყენებით სარგებლობას ნახავდა მრეწველობა. 1927 წლის მიწურულში სახკომსაბჭოს ინიციატივით ს. მ. უ. საბჭოსთან დაარსდა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ხელმძღვანელობა გაეწია და დაეჩქარებია ფაბრიკა-ქარხნების გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე.

კომისიის მიერ მიღებული ღონისძიებებით 1928 წლის განმავლობაში მოხერხდა თბილისის წარმოებების დიდი ნაწილის გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე. ზაჰესის ენერგიაზე გასულ წელს ნაწილობრივათ გადაყვანილი იყო თბილისის ტრამვაი. ამჟამად სწარმოებს მუშაობა, რომ თბილისის ტრამვაიმ მთლიანად ზაჰესის ენერგიით იმუშაოს. აღნიშნული მუშაობა დამთავრდება დაახლოებით ერთ თვეში. გადაწყვეტილია აგრეთვე მოხდეს თბილისის წყალსადენის სრული ელექტროფიკაცია.

ამჟამად ზაჰესში დღის განმავლობაში მუშაობს ერთი ან ორი ტურბინა, ხოლო საღამოობით სადგურს სრული დატვირთვა აქვს სამი ტურბინისათვის. საღამოს ზაჰესის მაქსიმალური დატვირთვა უდრის 8.000 კილოუატს. გასულ წელს კი მაქსიმალური დატვირთვა აღწევდა 6.500 კილოუატს.

# ნორვეგიის მუშათა დელეგაციის გამგზავრება

გუშინ თბილისიდან ხარკოვში გაემგზავრა ნორვეგიის სამთამადნო მუშათა დელეგაცია. დელეგაციამ თბილისში ინახულა საქ. პროფსაბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები და სამთამადნო მუშათა პროფესიონალური კავშირი. საქართველოს პროფმუშაკებთან საუბრის დროს დელეგაციის წევრებმა სრული ცნობები მიიღეს საქართველოს სამთამადნო მრეწველობაში ჩაბმული მუშების უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

დელეგაციის წევრებს უმთავრესად აინტერესებდათ შემდეგი საკითხები: პროფკავშირების სტრუქტურა, მუშების დაზღვევის წესები, რა ხასიათის მუშაობას ეწევა პროფკავშირი თავის წევრებს შორის და სხვ.

წასვლის წინ დელეგაციამ დაათვალიერა თბილისის ზოგიერთი ღირსშესანიშნავი ადგილები და გაეცნო ქალაქში წარმოებულ ახალ აღმშენებლობას.

სადგურზე დელეგაცია გააცილეს სამთამადნო მუშათა პროფკავშირის წარმომადგენლებმა.

# ა.-კ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზ-ბის რწმუნებულთა მე-9 ყრილობა

### მესამე სხდომა

ყრილობამ მესამე სხდომაზე, 24 ივნისს, საღამოთი მოისმინა სარევიზიო კომისიის დასკვნა გამგეობის წარსული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა ამხ. ალიევმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში საზოგადოების საკუთარი თანხები გაიზარდა 31,61 პროცენტით, წევრთა რაოდენობა 33.966 კაციდან 41.461 კაცამდე (ე. ი. 22 პროცენტით) და საპაიო თანხა 233.244 მანეთიდან 387.377 მანეთამდე (ანუ 36 პროც.). საზოგადოების ხარჯები 1926—27 წელს უდრიდა ბრუნვის 12,46 პროცენტს. საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ხარჯები შემცირებულია 11,22 პროცენტამდე — ანუ 1,24 პროცენტით. 1926—27 წელში საზოგადოების ბრუნვა უდრიდა 12.031.200 მანეთს, საანგარიშო პერიოდში კი 18.075.800 მანეთს ე. ი. ბრუნვა გადიდებულია 50,24 პროცენტით. სარევიზიო კომისია გამგეობის მუშაობას სცნობს დამაკმაყოფილებლად.

კამათში გამოსული რწმუნებულები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ ბაქოს კვანძის მუშები თუმცა ისევე მუშაობენ, როგორც დანარჩენ ხაზებზე, მაგრამ მაინც მიკუთვნებული არიან ინდუსტრიალურ კატეგორიის მუშებზე და როგორც პური, აგრეთვე სხვა საქონელი ეძლევათ გადიდებული ნორმებით, რაც დანარჩენი ხაზების მუშებში იწვევს უკმაყოფილებას. რწმუნებულები საჭიროდ სცნობენ რომ ეს საკითხი მოგვარებულ იქნას. ან მთელი რკინის გზის მუშებს მიეცეს გადიდებული ნორმა, ან ბაქოს მუშებიც გათანაბრებული იქნენ დანარჩენ ხაზების მუშებთან. (აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ასეთ მოთხოვნილებას აყენებენ თვითონ ბაქოს კვანძის მუშები). რწმუნებულებს არანორმალურ მოვლენად მიაჩნიათ აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მუშათა კოოპერატივებს საქონელი ეძლევათ პროპორციონალურად მეტი რაოდენობით, ვიდრე სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებას.

# ბრძოლა მიწის კოდექსის დარღვევასთან

მიწის ნაციონალიზაციის საფუძველთა ფარულ და აშკარა დარღვევასთან (მიწის ყიდვა-გაყიდვა, გაჩუქება, დაგირავება, თვითნებობით სხვა მიწაზე გადაცვლა და სხვ.) ბრძოლის საქმისათვის, გარდა ამგვარი დარღვევის ფაქტების გამოაშკარავებისა და დამნაშავეთა წინაამდეგ სისხლის სამართლის დევნის აღძვრისა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა, მეტადრე სათემო საბჭოთა, მონაწილეობას სასამართლო პროცესში.

ადგილებზე ამგვარი მონაწილეობის მნიშვნელობა არ არის ჯეროვნად შეფასებული; რამდენადაც მიწის კოდექსის დარღვევის საქმე განხილულ იქნება ადგილობრივ ორგანოს წარმომადგენლის დაუსწრებლად, იმდენად უფრო შესაძლებელია ეს საქმე გადაწყდეს არა ისე, როგორც ამას მოითხოვს მიწის კანონების დარღვევასთან ბრძოლის ინტერესები.

გარდა ამისა, აღნიშნულ საქმეთა განხილვაში სათემო საბჭოს მონაწილეობის საჭიროებას ადასტურებს კიდევ ერთი გარემოება, სახელდობრ: ეს საქმეები უშუალოდ ეხებიან სათემო საბჭოს, როგორც ისეთ ორგანოს, რომელიც ზედამხედველობას უწევს მიწათსარგებლობას და რომლის განკარგულებაში უნდა გადავიდეს უკანონოდ გასხვისებული მიწის საფასური, და სწორედ ეს გარემოება აძლევს მას მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში როგორც ბრალმდებელმა ერთის მხრით და როგორც სამოქალაქო მოსარჩელემ მეორე მხრით.

სათემო საბჭოს მონაწილეობა ერთგვარი გარანტია იქნება იმისა, რომ სასამართლო იმ საკითხს გარდა, რაც ჩადენილი დანაშაულის სისხლის სამართლის შედეგს შეეხება, განიხილავს აგრეთვე სხვა, მიწის კოდექსის 25 მუხლით გათვალისწინებულ დამატებითი შედეგების საკითხებსაც და თავის განაჩენში ამ შედეგებს (მიწის ჩამორთმევა და უკანონოდ მიღებულის გადახდევინება) მჭიდროდ დაუკავშირებს ბრალდებულებისათვის სოციალური დაცვის ღონისძიების გადაწყვეტას.

ზემოაღნიშნულის მიხედვით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა სცნო რა, რომ სათემო საბჭოთა მონაწილეობა ბრალმდებლად და სამოქალაქო მოსარჩელედ ისეთი სისხლის სამართლის საქმის განხილვაში, რაც მიწის უკანონო გარიგების დადებას შეეხება, აუცილებლად საჭიროა და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს,—წინადადება მისცა ყველა სათემო საბჭოს მიიღოს მონაწილეობა, თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, სასამართლოების მიერ აღნიშნულ საქმეთა განხილვაში ერთის მხრით როგორც ბრალმდებელმა ხოლო, მეორე მხრივ, როგორც სამოქალაქო მოსარჩელემ მიწის ჩამორთმევისა და უკანონოდ მიღებულის გადახდევინების მოთხოვნით. ამასთან ერთად წინადადება ეძლევა სახალხო სასამართლოებს—ყველა აღნიშნული საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად დაიბარონ ხოლმე უწყებების გაგზავნით სათემო საბჭოები.

# მზადება შემოდგომის თესვისათვის

ა.-კ. სახკომსაბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა მომავალი შემოდგომის თესვის კამპანიის საკითხი. სხდომაზე გამოირკვა, რომ გასული წლის შემოდგომაზე ნათესების სივრცე გაიზარდა 4,8 პროცენტით და ვინაიდან მოსალოდნელია, რომ ნათესების სივრცე გაფართოვდეს ტექნიკურ კულტურათა ნათესების შემცირების ხარჯზე, სახკომსაბჭომ დააწესა ნათესების გაფართოების საზღვრითი ნორმა.

ამ დადგენილების თანახმად, მომავალ შემოდგომის თესვის დროს ნათესების სივრცე გასულ შემოდგომის ნათესებთან შედარებით გაფართოებული უნდა იქნეს 5,8 პროცენტით.

ამასთანავე, ვინაიდან ა.-კ. სოფლებში ამჟამად საკმაოდ გავრცელებულია როგორც მანქანა-იარაღები, ისე აგრო - ტექნიკური ღონისძიებები — მოსავლიანობა გადიდებული უნდა იქნეს 5 პროცენტით.

სათესლე მასალად ამიერ-კავკასიაში გამოსადეგია მხოლოდ ადგილობრივი ხორბლეული. ადგილობრივი ხორბლეულის სათესლედ შენახვის მიზნად, სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო 1.630.000 ფუთი სამომხმარებლო ხორბლეულის შემოზიდვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან, რომ ეს ხორბალი გადაცვლილი იქნას ადგილობრივ და სათესლეთ გამოსადეგ ხორბალზე.

საბჭოთა და კოლმეურნეობებისათვის შემოზიდული იქნება 25.000 ფუთი ხარისხოვანი სათესლე მასალა.

შემოდგომის თესვის დროს კონტრაქტაცია ჩატარდება 50.000 ჰექტარ ნათესზე. აქედან 18.500 ჰექტარი დაითესება მწკრივში, დანარჩენი 31.500 ჰექტარი — ჩვეულებრივად.

შემოდგომის თესვის კამპანიაზე დაიხარჯება 14.405.000 მანეთი.

რესპუბლიკანურ თესვის კომისიებს წინადადება მიეცათ ორი კვირის განმავლობაში წარუდგინონ ა.-კ. სახკომსაბჭოს შემოდგომის თესვის კამპანიის გეგმა.

# 7 საათის სამუშაო დღე

ს.მ.უ.ს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება 1929-30 საბიუჯეტო წლის განმავლობაში 7 საათის სამუშაო დღეზე რამოდენიმე ფაბრიკა-ქარხნისა და წარმოების გადაყვანის შესახებ. მომავალი საბიუჯეტო წლიდან 7 საათის სამუშაო დღე შემოღებული იქნება შემდეგ წარმოებებში:

ტყავ ტრესტის პირველი ტყავის ქარხანაში, თბილისის აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკაში, მცხეთის სახერხ ქარხანაში, თბილისის მაუდის ფაბრიკაში, ქუთაისის ბარიტის ქარხანაში და ბორჯომის სატკეჩე ქარხანაში.

ყველა აღნიშნულ ქარხნებში მუშაობს 2.000 მუშაზე მეტი. სულ 1928-29 წლის განმავლობაში შემცირებული სამუშაო დღე განხორციელებული იქნება ს.მ.უ.ს ყველა წარმოების 27,6 პროც.

# ლაშქრობა მოსავლის გასადიდებლად

### ლაშქრობის შედეგები

მოსავლის გასადიდებლად დაწყებულ ლაშქრობაში ამიერ-კავკ. კომკავშირმა რეალურ შედეგებს მიაღწია. ამ.-კავკ. ყველა მაზრებში კომკავშირის კომიტეტებთან მოწყობილი იყო ლაშქრობის კომიტეტები, რომლებიც იღებდნენ ზომებს ახალგაზრდობის ჩასაბმელად ლაშქრობაში. ბორჩალოს მაზრაში მოწვეული იყო უპარტიო ახალგაზრდობის სათემო კონფერენციები, რომლებზედაც განხილული იქნა ლაშქრობის ამოცანები.

კომკავშირელების აგრონომიული ცოდნის ასამაღლებლად მთელ რიგ მაზრებში მოწყობილი იყო აგრონომიული კურსები, რომლებზედაც მეცადინეობდა 2.000 კომკავშირელი. კომკავშირელების ინიციატივამ გამოხმაურება ჰპოვა მოზრდილ გლეხებშიაც, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კომკავშირის საინიციატივო ჯგუფებში. ლაშქრობის დროს კომკავშირელებმა ჩაატარეს საჩვენებელი მუშაობა სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად. აღდამის მაზრაში კომკავშირელებმა აიღეს 60 ჰექტარი მიწა ბამბის დასათესად, გორის მაზრის 8 სოფელში იმავე მიზნით აღებულია საფონდო მიწა.

კომკავშირელების მიერ ჩატარებული იქნა მუშაობა აგრეთვე გლეხთა მეურნეობების კოლექტივიზაციისათვის. წინასწარი ცნობებით, ახლად მოწყობილია 8 კოლექტიური მეურნეობა, 3 კომუნა და რამოდენიმე სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა.

დიდი მუშაობა ჩაატარეს კომკავშირის მუშათა ბრიგადებმა, რომლებიც მიემგზავრებოდნენ ადგილებზე. 22 ბრიგადა მოწყობილი იყო თბილისში, 4 ქუთაისში, 3 გორში და სხ. ბრიგადებმა შეაკეთეს 800 სხვადასხვა სასოფლო-სამ. იარაღი, გზადგზა კომკავშირელები აგიტაციას ეწეოდნენ თესლის მოწამვლის სასარგებლოდ. მათი დახმარებით მოწამლული იქნა 350 ტონა სათესლე მასალა.

ქალაქებში ჩატარებული იქნა ფულის შეგროვება სოფლის სასარგებლოდ; შეგროვილი იქნა სულ 4.000 მანეთამდე. კომკავშირმა დიდი მუშაობა ჩაატარა აგრეთვე არხების გასაწმენდათ და წყალდიდობასთან საბრძოლველად. ამ მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 7.000 ახალგაზრდა, აქედან 4.295 უპარტიო.

კომკავშირის ინიციატივით მოხდა მაზრების საკრედიტო ორგანიზაციების გამოკვლევა, რამაც გამოაშკარავა დეფექტები თესვის კამპანიის ჩატარებაში; მიღებულ ზომებით დეფექტები გამოსწორებული იქნა.

# რა ხდება ადგილებზე

### აგარაკი ბახმარო სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფილია

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მოაგარაკეების უზრუნველსაყოფად გამალებით ემზადებიან კოოპერატიული ორგანიზაციები. ბახმაროზე უკვე გაიგზავნა 3.000 ფუთი პურის ფქვილი, კიდევ გაიგზავნება 2.000 ფუთი, რაც უზრუნველყოფს 10.000 სულ მოაგარაკეს თვე-ნახევრის განმავლობაში. წელს ბახმაროზე დამატებით გაიხსნება მეორე კოოპერატიული სასადილო. მოაგარაკეთა უზრუნველსაყოფად ხორცით და რძის პროდუქტებით დადებულია ხელშეკრულება საზოგადოება „მწყემსთან“. სხვა პირველ მოთხოვნილებათა საგნები (შაქარი, ბრინჯი და სხვ.) მომარაგებული აქვს კოოპერაციას.

ქ. უ—ძე.

### მზადება შემოდგომის თესვისათვის

**ქუთაისი**, 24 ივნისი. ქუთაისის საადგილმამულო განყოფილებამ შეიმუშავა ქუთაისის მაზრაში შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარების გეგმა. შემოდგომაზე მაზრაში დაითესება 7.500 ჰექტარი მარცვლეული. ჩვეულებრივად მაზრაში შემოდგომაზე ითესებოდა 60 ჰექტარი.

აღნიშნული 7.500 ჰექტარის დასათესად საჭიროა 614 ტონა თესლი. აქედან 10 პროცენტი აქვთ გლეხებს და კოლექტიურ მეურნეობებს. ხოლო დანარჩენი შემოტანილ უნდა იქნას.

საქონლის საკვები ბალახის დასათესად 20 ჰექტარზე საჭირო იქნება 6 ტონა თესლი. ინვენტარის შესაძენად საჭიროა 13.520 მანეთის კრედიტი.

ქუთაისის სამაზრო საადგილ - მამულო განყოფილებამ საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წინაშე აღძრა შუამდგომლობა 60.000 მან. კრედიტის გახსნის შესახებ მუშა საქონლის შესაძენად. მიწის გასანოყიერებლად საჭირო იქნება 16 ტონა ფოსფორი და აზოტი. შემოდგომის ნათესის კონტრაქტაცია გავრცელდება 1.000 ჰექტარზე. (ადს).

### პარტიის წმენდა ქუთაისში

**ქუთაისი**, 24 ივნისი. 24 ივნისს ქუთაისში დაიწყო საბჭოთა უჯრედების წმენდა და შემოწმება. შემმოწმებელი კომისიის წმენდა დამთავრდა. წმენდა პირველ რიგში მოხდა რაიონჰესის, ფოსტის, საავადმყოფოს და სხვ. უჯრედებში. (ადს).

### ავანსები მეთამბაქოებს

**სოხუმი**, 25 ივნისი. მიმდინარე წელს აფხაზეთის მეთამბაქოებისათვის გადადებული იყო 710.000 მანეთი. აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მიიღო კრედიტის პირველი ნაწილი — 250.000 მანეთი. აქედან 100 ათასი მანეთი ძალიან დაგვიანებით (ივნისის პირველ რიცხვებში) დაურიგდათ თამბაქოს მეურნეობებს მუშა-საქონლის შესაძენად. დანარჩენი 150.000 მანეთი მხოლოდ ამ დღეებში გადაგზავნა მეთამბაქოეთა რაიონულმა კოოპერატივმა ადგილებზე. ეს თანხა დაურიგდება მეთამბაქოებს თამბაქოს შესანახ ფარდულების შესაკეთებლად.

აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირის ინსტრუქციის თანახმად, კრედიტის გაცემამდე ხდება იმის გამორკვევა, თუ რამდენად სჭირდება სესხი ამა თუ იმ მეურნეობას, რის შემდეგაც, ადგილობრივი სოფლის აქტივის გადაწყვეტილების მიხედვით, სესხი ეძლევა სათანადო მეურნეობებს. (ადს).

### ჰაეროპლანის ავარია

**სოხუმი**, 25 ივნისი. სოხუმის შუქურთან, ნაპირიდან 20 მეტრის მანძილზე, ავარია განიცადა სამგზავრო ჰაეროპლანმა К-4 №219, რომელიც სოხუმიდან გაფრინდა დღეს, დილის 5 ს. 30 წუთზე ქუთაისის მიმართულებით.

მფრინავმა პავლოვმა ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

„სოხუმის ჰაეროდრომზე დავტვირთეთ აეროპლანი (ხუთი მგზავრი, მფრინავი, ბორტ მექანიკოსი, ბარგი და ფოსტა) და ავფრინდით ჰაერში ქუთაისში გასამგზავრებლად. როდესაც ავედით მცირე მანძილზე, მოტორი გაჩერდა. ამ დროს ჩვენ ზღვაზე ვიყავით და რადგან ნაპირი მარჯვნივ იყო, დავუწყე აეროპლანს მარჯვნივ მიბრუნება (მივფრინავდით კი მარცხნივ, ათონისაკენ). ვიდრე ნაპირთან მივიდოდით, აეროპლანი ზღვაში ჩავარდა და იწყო დაძირვა. როცა წყლის ზედაპირზე ამოვედი, დავინახე სამი მგზავრი, რომელნიც ნაპირისკენ მიცურავდენ. ორი დანარჩენი მგზავრი ბორტ-მექანიკოსმა კაბინიდან გამოათრია. ამ დროს მან თითი მოიტეხა.

ეს ორი მგზავრი ნაპირზე გარდაიცვალა. ერთი დაღუპულთაგანი, გაბრიშვილი, ახლად დანიშნული იყო „ზაკგოსტორგ“-ის სოხუმის კანტორის მმართველის მოადგილედ. მეორე იყო მოსკოველი—გვარი გამოურკვეველია. დანარჩენი მგზავრები და ჰაეროპლანი და ჰაეროპლანის პერსონალი მსუბუქად დაშავდნენ. გადარჩენილთა შორის არის გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი მირონოვი, რომელიც მოფრინავდა მოსკოვიდან.

დიდის გაჭირვებით მოვახერხეთ ჰაეროპლანის გამოთრევა ნაპირზე. ჰაეროპლანი ძალიან დაზიანდა: პროპელერი დაიმსხვრა, მოსტყდა აგრეთვე მარჯვენა ფრთა. მოტორის გაჩერების მიზეზი გაურკვეველია.

სოჩიდან სოხუმამდე მოტორი კარგად მუშაობდა.

ავარიის მიზეზის გამოსარკვევად დაინიშნა კომისია. (ადს).

### მეთამბაქოეთა ყრილობის შედეგები

**გაგრა**, 24 ივნისი. დამთავრდა მეთამბაქოეთა სადელეგატო ყრილობა. ყრილობამ განიხილა მეთამბაქოეთა რაიონული კოოპერატივის გამგეობის ანგარიში და მიიღო ამხანაგობის ახალი წესდება.

მეთამბაქოეთა რაიონული კოოპერატივი აერთიანებს 5 თემს. 1926 წლიდან თემების წევრთა რიცხვი 714 კაციდან 916 კაცამდე გაიზარდა. თემებში შედის 60 პროცენტი ღარიბი და 40 საშუალო გლეხი. 1928 წელს დამზადებულ იქნა 452 ტონა თამბაქო, ღირებული 487.084 მანეთად. კონტრაქტაციის წესით ხელშეკრულება დადებულ იქნა 677 მეურნეობასთან (717 ჰექტარი).

მეთამბაქოეთა რაიონულმა კოოპერატივმა განვლილ პერიოდში მეთამბაქოებს დაურიგა 33.708 მანეთის სხვადასხვა საქონელი. ღარიბ მეურნეობათათვის დახმარების გასაწევად არსებობს განსაკუთრებული ფონდი. 1928 წ. განმავლობაში ღარიბ მეურნეობათა კოოპერატიულად შეკავშირების საქმეს მოხმარდა 4.379 მანეთი, მიმდინარე წელს — 4.385 მან. ყრილობამ აღნიშნა საკრედიტო დისციპლინის განმტკიცება და ღარიბ მეურნეობებისათვის დახმარების გაწევის საქმის მოწესრიგება.

ყრილობამ ახალი გამგეობა აირჩია. (ადს).

# კონკურსი საუკეთესოთ მომუშავე რემედასის უჯრედებზე

რემედასის უჯრედების მუშაობის გაცხოველების მიზნით, რემედასის თბილისის კომიტეტმა დაადგინა თბილისსა და მის მაზრაში ჩაატაროს შეჯიბრება რემედასის უჯრედებსა, თემკომებსა და რაიკომებს შორის.

შეჯიბრება მიზნად ისახავს რემედასის რიგების გაორკეცებას როგორც ქალაქად, ისე სოფლად, რემედასის წევრთა შორის მასიურ მუშაობის გაძლიერებას, მოსახლეობაში ინტერნაციონალურ იდეების გავრცელებას და ბურჟუაზიულ ქვეყნებში არსებულ ციხეებში მოთავსებულ პოლიტპატიმრებთან მჭიდრო კავშირის დამყარებას.

აგრეთვე მიღებული იქნება ზომები რემედასელების სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩასაბმელად შემდეგი ლოზუნგების ქვეშ: „არც ერთი რემედასელი უსაქმოდ“, „არც ერთი რემედასელი—ბიუროკრატი“, „ხელი შეუწყოთ შრომის ნაყოფიერების გაძლიერებას“, „სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში რემედასელები უნდა იდგნენ მოწინავე რიგებში“ და სხ.

უჯრედებმა უნდა ეცადონ ფართო ნიადაგზე დააყენონ რემედასის ლიტერატურის გავრცელება მასებში.

ეს შეჯიბრება არის პირველი და ამიტომ რემედასის ყველა წევრებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მის წარმატებით ჩასატარებლად.

შეჯიბრების ჩასატარებლად რემედასის თბილისის კომიტეტთან დაარსებული იქნება სპეციალური კომისია. ასეთივე კომისიები უნდა დაარსდეს რაიკომებთან და თემკომებთან რაიონებისა და თემებში შეჯიბრების საქმისათვის ადგილობრივ ხელმძღვანელობის გასაწევად.

რემედასის თბილისის კომიტეტმა გადასწყვიტა შეჯიბრებაში გამოიწვიოს რემედასის ბაქოს ორგანიზაცია, რომელსაც უკვე გაეგზავნა ცნობა გამოწვევის შესახებ და გამოწვევის პირობები წერილობით.

**ს. პ. კ. ს. საქალაქო პლენუმი**
მოწვეული ა. წ. 26 ივნისისათვის
**გადადებულია სხვა დროისთვის**
მოწვევის დრო დამატებით იქნება გამოცხადებული.
ს.პ.კ.ს. პრეზიდიუმი.

ხუთშაბათს, 27 ივნისს, საღამოს 6 ნახ. საათზე განათლების მუშაკთა სახლში მოწვეულია
**სოფელში მიმავალ პედაგოგების საერთო კრება**
ქ. თბილისის პროფაქტივთან ერთად.

# სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის ფორმები*)

### ხელშეკრულებათა შესრულების უზრუნველყოფა

არ არის საკმარისი მარტო ხელშეკრულების დადება და აქ განსაზღვრულ პასუხისმგებლობის დათქმა. ცხადია, მარტო ამით არ შემცირდება ნაწარმოების თვითღირებულება, არ აიწევა შრომის ნაყოფიერება და არ შესრულდება საწარმოო გეგმა. მარტო ზეიმი, მარტო ენტუზიაზმი, მარტო გამოწვევა და ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა დიდ შედეგებს ვერ მოიტანს, თუ სხვა მხრივად არ იქნა უზრუნველყოფილი აღებულ ვალდებულებათა შესრულება. ცხადია თვით შეჯიბრების დროს თვითეული მუშა აწევს ნაყოფიერებას, გაცდენებიც შემცირდება, ყველა უფრო ენერგიულად იმუშავებს, მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი ხელშეკრულების შესრულებისათვის. ამას გარდა კიდევ საჭიროა შეჯიბრების პერიოდში გატარდეს წარმოებაში სხვადასხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები. ამისათვის საწარმოო თათბირებზე უნდა დამუშავებულ იქნას მთელი რიგი საწარმოო საკითხები, რომელთა მოწესრიგება ხელს შეუწყობს აღებულ ვალდებულებათა შესრულებას, მაგალითად, თვითღირებულების შემცირება, მანქანი საქონლის მოსპობა, დაზგების შეჩერების მიზეზები, ნარჩენების გამოყენება და სხვ. აქ შეუძლებელია ყველა იმ საკითხის ჩამოთვლა, რომლებიც უნდა დაისვას საწარმოო თათბირზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად. თვითეულ საწარმოში სპეციფიურ პირობების მიხედვით შეიძლება სხვადასხვა საკითხები იქნეს გამონახული. რთული საკითხების შესწავლა უნდა ხდებოდეს დროებითი საკონტროლო კომისიების საშუალებით. ამ საკითხების საწარმოო თათბირებზე დამუშავების შემდეგ მიღებული დადგენილებები უნდა გადაეცეს ადმინისტრაციას შესასრულებლად.

ამას გარდა უნდა გაძლიერდეს ყურადღება მუშათა წინადადებების მიმართ. არცერთი საქმიანი მითითება არ უნდა დარჩეს ცხოვრებაში გაუტარებელი. უნდა გადაშინჯულ იქნას საწარმოო თათბირების ის ძველი დადგენილებები, რომლებიც ცხოვრებაში არ არის გატარებული.

უნდა გაძლიერდეს ყურადღება გამომგონებლებისადმი არა მარტო მუშების მიერ შემოტანილ გამოგონებათა დროზე განხილვით, დაჯილდოვებით და გატარებით; უნდა იქნას გამოცხადებული კონკურსი სხვადასხვა გაუმჯობესების დარგში და გამომგონებლებს წინდაწინ უნდა მიეცეთ დავალება ისეთ საკითხებზე, რომელთა მოგვარება საწარმოს შემფერხებელ მიზეზებს მოსპობს და მუშაობას გააუმჯობესებს.

ხელშეკრულების ვალდებულებათა შესრულებისათვის, ცეხურ და საწარმოო თათბირების მუშაობის გაცხოველებასთან ერთად, უნდა გაძლიერდეს ადმინისტრატიულ-ტექნიკურ პერსონალის მუშაობა. მან უნდა მიიღოს ზომები, რომ თავის მხრივ ხელი შეუწყოს წარმოების ნორმალურ მსვლელობას, მიიღოს თავის დროზე ზომები სხვადასხვა ხელის შემშლელ მიზეზების წინააღმდეგ, გაატაროს სხვადასხვა ღონისძიებანი, ყურადღებით მოეპყრას მუშების ყველა წინადადებას. ამასთან ყველა ბევრად თუ ცოტად ღირსშესანიშნავი ღონისძიება, რომელიც ადმინისტრაციის ხაზით ტარდება, ადმინისტრაციამ წინასწარ (გატარებამდე) უნდა განიხილოს მუშებთან ერთად საწარმოო თათბირებზე.

სამეურნეო ხელშეკრულებათა შესრულებისათვის უნდა გაძლიერდეს მასიური ეკონომიური მუშაობა და სხვადასხვა კონკრეტულ საწარმოო საკითხების შესწავლის საშუალებით უნდა იქნეს მიღებული მთელი რიგი ღონისძიებები. უამისოდ შეჯიბრება არ იქნება ნაყოფიერი და ზეიმით დადებული ხელშეკრულებანი დარჩებიან უბრალო ქაღალდად.

ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებათა შესრულების საქმეში საწარმოო თათბირების საშუალებით სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების გარდა ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს **დამკვრელ ბრიგადების და საინიციატივო ჯგუფების მოწყობას.** ისინი ეწყობიან მუშების ინიციატივით თავისუფალ სურვილის წესით მუშების განსაზღვრულ ჯგუფებისაგან. ბრიგადას აძლევენ ცალკე სამუშაოს. შეიძლება დამკვრელი ვიწრო ბრიგადის მაგივრად მოეწყოს მთლიანად დამკვრელი ცვლა (მუშების ერთი ცვლიდან მეორეში გადაჯგუფებით). დამკვრელი ბრიგადების, ცვლების და ჯგუფების მთავარი დანიშნულება იმაში გამოიხატება, რომ ისინი იყვნენ საუკეთესო მუშაობის მაგალითი. დამკვრელი ბრიგადა შრომის ნაყოფიერებას მაღლა სწევს და ამით მაგალითს უჩვენებს სხვებს; ბრიგადები პირველნი უნდა იქნენ შრომის დისციპლინის სიმტკიცის, მანქიანი საქონლის ნაკლებად გამოშვების და მაღალ ხარისხიანი ნაწარმოების გაკეთების მხრივ. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ბრიგადები გამოვიდნენ ინიციატორებად გამომუშავების ნორმების აწევის საკითხში და თავის მაგალითით დაამტკიცონ, რომ ნორმების აწევა შესაძლებელია. ბრიგადები უნდა იჩენდნენ ინიციატივას წარმოების მუშაობის ახალ მეთოდების შემოღებაში.

დამკვრელ და სანიმუშო ბრიგადებს უნდა დახმარება გაუწიონ როგორც საქარხნო კომიტეტმა, ისე ადმინისტრატიულ ტექნიკურმა პერსონალმა და პარტიულმა უჯრედმა: (პარტიის წევრები უნდა გამოდიოდენ სანიმუშო ბრიგადების მოწყობის ინიციატორებად). შესაძლებელია, რომ მუშების ცალკე ჯგუფები (ახალი ფენებიდან) კარგად არ შეხვდენ დამკვრელ ბრიგადებს. ბრიგადებისადმი ასეთი განწყობილების წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული ზომები სათანადო განმარტებების საშუალებით და მუშათა კრებებზე მხილებით.

კედლის გაზეთებში და საერთოდ პრესაში ფართოდ უნდა იქნას გაშუქებული სანიმუშო ბრიგადების მუშაობა, მათი მიღწევების და მოქმედების კონკრეტულად ჩვენებით.

### შეჯიბრების შედეგების განსაზღვრულ ვადებში შემოწმება

სოციალისტური შეჯიბრება არ არის დროებითი კამპანია. ის იწარმოებს მთელ გარდამავალ ხანაში კიდევ რამდენიმე ათეული წელი.

შეჯიბრება უნდა გადაიქცეს ჩვენი მუშაობის სისტემად და ყოველდღიურ სერიოზულ მუშაობად. თუ კაპიტალიზმის დროს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა იყო და არის კონკურენცია, საბჭოთა რესპუბლიკებში მას სცვლის სოციალისტური შეჯიბრება.

თუმცა შეჯიბრება ერთდროული კამპანია არ არის, მაგრამ საჭიროა მაინც განსაზღვრული პერიოდების და ვადების დაწესება. განსაზღვრულ ვადაში შეჯიბრება თავდება, რის შემდეგ ის ან ახლდება ახალი ვადით ან ისევ ძველ საწარმოებს შორის, ან შესაძლებელია და სასურველიც სხვა საწარმოებთან ახალი შეჯიბრების მოწყობა. შეჯიბრების განახლების დროს უნდა ხდებოდეს ხელშეკრულებათა ახალი დადება და ახალ ვალდებულებათა დათქმა.

საწარმოებს შორის შეჯიბრების ვადები შეიძლება იქნეს კვარტალური (სამი თვე) ან ნახევარი წლით და ან კიდევ მთელი წლით. რაც უფრო ნაკლები ხანგრძლივობის იქნება შეჯიბრების პერიოდი, მით უკეთესია, ვინაიდან ის უფრო მეტ ინტერესს გამოიწვევს. ვადების ხანგრძლივობა დამოკიდებულია ადგილობრივად არსებულ პირობებზე. თუ მოსახერხებელია, უნდა იქნეს დადებული ხელშეკრულება სამი თვით, შეიძლება დაიდვას ექვსი თვით ან ერთი წლითაც, მაგრამ პერიოდულად სამ თვეში ერთხელ უნდა ხდებოდეს მიღებულ შედეგების მხარეთა შორის გაცნობა; საბოლოო დასკვნა კი მოხდება ექვსი თვის ან ერთი წლის შემდეგ.

შეჯიბრების ვადები უნდა დაუკავშირდეს სამეურნეო პერიოდებს. მაგალითად: თუ სამი თვით იდება ხელშეკრულება, ის უნდა შეუფარდდეს სამეურნეო კვარტალს, თუ ერთი წლით უთუოდ უნდა იქნეს აღებული დრო ოქტომბრიდან-ოქტომბრამდე. ეს, ერთი მხრივ, საჭიროა იმიტომ, რომ შეჯიბრის სხვა ვალდებულებათა შორის ხდება წლიური გეგმის შესრულების დათქმა, მეორე მხრივ—ეს აადვილებს შეჯიბრების შედეგების აღრიცხვას, ვინაიდან სამეურნეო ორგანიზაციები მუშაობის ანგარიშს აწარმოებენ კვარტალურად და სამეურნეო წლის მიხედვით.

შიგნით საწარმოში საამქროებსა, ცვლებსა და ცალკე მუშებს შორის შეჯიბრების ვადები უფრო ნაკლები ხანგრძლივობით უნდა დაწესდეს, ვიდრე საწარმოებს შორის. შეიძლება ეს ვადები იქნეს ორკვირეული, ერთთვიური და კვარტალური. პირველ ხანებში, როცა შეჯიბრება ახალი გამოცხადებულია, სასურველია მოკლე ვადა (ორი კვირა ან ერთი თვე), ხოლო როცა შეჯიბრება ფეხს მოიკიდებს და შეიძლება შედეგების აღნუსხვა და იმის გამორკვევა, თუ ვის დარჩება ამ ხნის განმავლობაში პირველობა, უფრო გრძელი ვადები უნდა შემოვიღოთ (თვეში ან სამ თვეში ერთხელ).

შეჯიბრების შედეგები უსათუოდ უნდა იქნეს დასმული და გარჩეული საწარმოო თათბირებზე. ამას აქვს თავისი მნიშვნელობა, ვინაიდან ერთი საწარმოს, საამქროს, ან ცვლის და ცალკე მუშების სხვებზე გამარჯვების გამოცხადება გამოიწვევს იმას, რომ დამარცხებულები ეცდებიან თავი გაიმართლონ. ამასთან დაკავშირებით გამომჟღავნდება საწარმოს მთელი რიგი დეფექტები და ხელის შემშლელი მიზეზები. საწარმოო თათბირი ყველა აღძრულ საკითხს განიხილავს, მიიღებს სათანადო დადგენილებას და გადასცემს ადმინისტრაციას შესასრულებლად. ამრიგად, საწარმოო თათბირებზე შეჯიბრების შედეგების გარჩევით შესაძლებელი ხდება წარმოების დეფექტების გამომჟღავნება და გამოსწორება.

საერთოდ შეჯიბრების შედეგების გამოაშკარავება ძლიერ გავლენას მოახდენს მომავალში შეჯიბრების ნაყოფიერად მსვლელობაზე. თუ მუშებმა არ იციან, თუ რა შედეგი მოჰყვა მათ თავდადებულ და ენერგიულ მუშაობას, თუ ეს გარკვევით, განსაზღვრულ ციფრებში არ იქნა გამოხატული და ფართოდ გაშუქებული, ისე შეჯიბრება დაკარგავს ინტერესს და ის დაწყებისთანავე ჩაკვდება. არსებითად შეჯიბრება არაფერს არ წარმოადგენს, თუ არ იქნა გამორკვეული—ვინ ვის სჯობნის. ასეთ უშედეგო შეჯიბრებას ყოველგვარი აზრი ეკარგება. ამიტომ **მთავარი შეჯიბრებაში არის იმის გამორკვევა, თუ რომელმა აჯობა და რით აჯობა.** სადაც ეს არ ხდება, იქ არც შეჯიბრება არსებობს.

შეჯიბრების შედეგები, საწარმოო თათბირებზე გარჩევის გარდა, ფართოდ უნდა შუქდებოდეს როგორც ადგილობრივ კედლის გაზეთში, ისე პრესაში. ამ საკითხის გაშუქების დროს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმის აწერას, თუ რა შედეგები არის მიღებული, რა საშუალებით და რა ზომებით. ასეთი წესით შედეგების გაშუქება ხელს შეუწყობს სხვადასხვა საწარმოებშორის გამოცდილების გაზიარებას.

### დაჯილდოების და წახალისების ფორმები

სოციალისტური შეჯიბრების ჩატარების დროს უნდა გამოყენებული იქნას წახალისების სხვადასხვა ფორმები. შეიძლება ეს წახალისება მატერიალური დაჯილდოებითაც ხდებოდეს და მორალური წაქეზების სახითაც. საკავშირო კომპარტიის ცეკას მაისის დადგენილებაში ნათქვამია, რომ უნდა შემოღებული იქნას წამახალისებელი ზომები საუკეთესო საწარმოებსა, საამქროებსა და ცალკე მუშებისათვის; სამეურნეო ორგანოებმა უნდა შექმნან განსაკუთრებული დასაჯილდოებელი ფონდები.

საზოგადოებრივი წახალისების ერთ ფორმად უნდა ჩაითვალოს **გარდამავალი ჯილდო.** შიგნით საწარმოში ცვლებისა, საამქროებისა და მუშათა ცალკე ჯგუფების შეჯიბრების დროს წესდება გარდამავალი ჯილდოთ—რაიმე ემბლემა; მაგალითად: შრომის დროშა, ლენინის სურათი და ან ამ საწარმოს ხასიათის გამომხატველი რაიმე ნიშანი. სხვადასხვა საწარმოებში შეიძლება სხვადასხვა ფორმის გარდამავალი ჯილდო დაწესდეს, თვით ამ ჯილდოს ფორმას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. შეიძლება ის უბრალო და მარტივიც იყოს. მნიშვნელობა იმას აქვს, რომ ის გამოცხადებულია გარდამავალ ჯილდოდ და მიეცემა საუკეთესო საწარმოს, ცვლას და საამქროს. მაგალითად, ერთ საწარმოში გარდამავალ ჯილდოდ ცვლებს შორის შეჯიბრების დროს აიღეს ძველი დამტვრეული ცოცხი. მიუხედავად იმისა, რომ ის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა, მაინც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცვლებს შორის გამწვავებული ბრძოლა სწარმოებდა, რომ ის ერთმანეთისათვის წაერთმიათ, როგორც პირველობის პირობითი ნიშანი.

გარდამავალი ჯილდო განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში გადადის ერთის ხელიდან მეორეს ხელში. წესდება განსაზღვრული პერიოდი—ერთი ან ორი კვირა, ან ერთი თვე. (შეიძლება მეტი დროც), რომლის შემდეგ ირკვევა, თუ რომელმა აჯობა, გამარჯვებულს გადაეცემა გარდამავალი ჯილდო, მაგრამ ახალი ვადის გასვლის შემდეგ, თუ მეორემ გაიმარჯვა, ჯილდო პირველს ჩამოერთმევა და გადავა ახლად გამარჯვებულის ხელში. თუ რა ხნის განმავლობაში უნდა ხდებოდეს ჯილდოს გადასვლა, ეს უნდა დაწესდეს ადგილობრივად ყოველ საწარმოში არსებულ პირობების მიხედვით. ზოგან შეიძლება ეს ვადა ორკვირეული იქნეს, ზოგან ერთთვიური ან სამთვიური. შეჯიბრების პირველ ხანებში სასურველია მოკლე ვადების დაწესება, რომ გარდამავალმა ჯილდომ ინტერესი გამოიწვიოს, შემდეგში კი შეიძლება უფრო ხანგრძლივი პერიოდის დაწესება.

გარდამავალი ჯილდოს მოწყობა შესაძლებელია არა მარტო შიგნით საწარმოში, არამედ სხვადასხვა ერთნაირ ხასიათის საწარმოებს შორისაც. მაგრამ ამ შემთხვევაში ჯილდოს გადასვლის პერიოდი უფრო ხანგრძლივი უნდა იყოს, (კვარტალური, ნახევარი წლიური და მთელი წლითაც). სამთო მრეწველობაში (შავი ქვა, ქვანახშირი) გარდამავალი ჯილდო შეიძლება მოეწყოს არა მარტო ცვლებს შორის, არამედ ცალკე მაღაროებსა და შიგნით მაღაროებში ცალკე ჯგუფებს შორისაც.

გარდამავალ ჯილდოს გარდა, რომელსაც მორალური ხასიათი აქვს, სოციალისტური შეჯიბრების დროს უნდა ტარდებოდეს ნამდვილი მატერიალური დაჯილდოებაც. ამისათვის ყველა სამეურნეო ორგანიზაციაში, როგორც ტრესტებთან, ისე საწარმოებთან, იქმნება განსაკუთრებული ფონდები საწარმოების სახსრებიდან. ამ ფონდში უნდა გადაირიცხოს იმ ეკონომიის განსაზღვრული პროცენტი, რომელიც სოციალისტური შეჯიბრების შედეგად შეიძლება იქნეს მიღებული. ამ ფონდების შექმნა სავალდებულოა. ამის შესახებ არსებობს მთავრობის დადგენილებაც და აგრეთვე საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილებაც. (გამოქვეყნებული იყო „კომუნისტი“-ს 11 მაისის №-ში).

ჯილდო შეიძლება მიეცეს მთელ საწარმოს, ცალკე ცვლას, საამქროს ბრიგადას და აგრეთვე ცალკე მუშებსაც განსაზღვრული საწარმოო მიღწევებისათვის. (საწარმოო დავალებათა გეგმაზე გადამეტებული შესრულება, თვითღირებულების გეგმაზე ზევით შემცირება, შრომის ნაყოფიერების აწევა, ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესება, მუშების საწარმოო თათბირებში აქტიურად ჩაბმა და სხვ.), ტრესტთან არსებულ ფონდიდან უნდა დაჯილდოვდეს ამ ტრესტში შემავალი ის საწარმონი, რომელთაც შეჯიბრებაში გაიმარჯვეს. საწარმოებთან არსებული ფონდიდან კი დაჯილდოვდება საუკეთესო ცვლა, საამქრო, ბრიგადა და ცალკე მუშები.

დაჯილდოება უნდა იყოს ნატურალური; მაგ., საწარმოო ექსკურსიაზე გაგზავნა მსხვილ საწარმოო ცენტრში, სათანადოდ დაყენებულ ამავე ხასიათის საწარმოში, საზღვარგარედ და სხვ. შეიძლება ჯილდოდ შემოღებულ იქნეს დასასვენებელ სახლებში და სანატორიუმებში გაგზავნა. როცა ჯილდო კოლექტიური არის, ის შეიძლება მოხმარდეს საწარმოს კლუბის ან რადიოს მოწყობას, თეატრში ადგილების ყიდვას, ტექნიკურ ლიტერატურის გამოწერას, საწარმოო და ტექნიკურ წრეების მოწყობას, ბავშთა ბაგების მოწყობას (იქ, სადაც უმეტეს ნაწილად ქალები მუშაობენ) და სხვ. საერთოდ წინასწარ ჯილდოს ფორმების განსაზღვრა შეუძლებელია. თვითეულ საწარმოში შეიძლება თავისებური ხასიათის ჯილდო დაწესდეს. ჯილდოს მიკუთვნება და გაცემა უნდა ხდებოდეს მუშათა კრებებზე და არა აპარატული წესით. ჯილდოს მიკუთვნების დროს მუშათა კრებაზე უნდა იქნეს დაწვრილებით აღნიშნული, თუ რა მიღწევებისათვის ხდება დაჯილდოება.

მიღწევების საზომად უნდა იქნას აღებული შეჯიბრებიდან მიღებული პრაქტიკული შედეგები. უდა შემოწმდეს, თუ რამდენად მიღებული შედეგები საფუძვლიანი არიან და შემთხვევით ხასიათს ხომ არ ატარებენ. როცა საწარმოში რაიმე გარეშე ობიექტური პირობების გამო მიღწევებს აქვს ადგილი, (მაგ., თვითღირებულების მეტი შემცირება იმის გამო, რომ მასალა გაიაფდა), ცხადია, ეს შემთხვევა არ შეიძლება ჩაითვალოს შეჯიბრების მიღწევად: მხოლოდ ის არის შეჯიბრების მიღწევა, რაც თვით შიგნით საწარმოში შეჯიბრების დროს გაკეთდა (მუშების, ადმინისტრატიულ-ტექნიკურ პერსონალის და საწარმოო თათბირების მუშაობით). რა თქმა უნდა, არც ის შეიძლება ჩაითვალოს მიღწევად, როცა ხარისხის გაუარესებით ხდება თვითღირებულების შემცირება და შრომის ნაყოფიერების გადიდება. ეს, პირიქით, უარყოფით შედეგად უნდა იქნეს ცნობილი.

მიღწევების ერთ-ერთ საზომად უდა იქნას აღებული აგრეთვე მუშების საწარმოო აქტივობის ზრდა (საწარმოო თათბირების გაძლიერებული მუშაობა, წარმოებისათვის სასარგებლო საკითხების დამუშავება, მუშების საქმიან წინადადებათა რიცხვის ზრდა, მათი ცხოვრებაში გატარება, გამოგონებათა ზრდა და სხვა). თუ ამას ადგილი არ ჰქონდა, ისე არ შეიძლება ითქვას, რომ ამ საწარმოში სოციალისტურმა შეჯიბრებამ მიღწევები მოგვცა, მაშინაც კი, როდესაც არის წარმოებითი მიღწევები.

### ადმინისტრატიულ - ტექნიკური პერსონალი და სოციალისტური შეჯიბრება

სოციალისტურ შეჯიბრებას უშუალოდ ხელმძღვანელობენ და მას ატარებენ პროფკავშირები, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სამეურნეო ორგანიზაციები და ადმინისტრატიულ - ტექნიკური პერსონალი განზე უნდა იდგენ. პირიქით, ისინი უნდა იჩენდნენ დიდ აქტივობას და ენერგიულად უნდა ეხმარებოდენ პროფესიონალურ კავშირებს ამ საქმის ფართოდ გაშლაში. თუ სოციალისტური შეჯიბრება საწარმოში ცუდად არის დაყენებული და მუშების აქტივობა არ არის გამოყენებული სათანადოდ, ამაში პასუხს აგებს არა მარტო კავშირი, არამედ წარმოების მართველობაც და ტრესტის მუშაკებიც.

მუშების აქტივობის ზრდასთან ერთად უთუოდ უნდა გაიზარდოს სამეურნეო მუშაკების აქტივობაც, უამისოდ სოციალისტური შეჯიბრება ნაყოფს არ მოიტანს. შეჯიბრება ცხადდება არა მარტო სხვადასხვა წარმოებათა მუშებს შორის,არამედ მთლიანად საწარმოებს შორის. სამეურნეო მუშაკები შეჯიბრების მთავარი მამოძრავებელნი უნდა იყვნენ. მათ უნდა დახმარება გაუწიონ პროფკავშირებს შეჯიბრების საქმიანად მოწყობაში, კერძოდ, კონკრეტულ ხასიათის ხელშეკრულებათა შედგენის, შესაჯიბრებელ საკითხების ჩამოყალიბების, გარდამავალი ჯილდოების მოწყობის და დასაჯილდოვებელ ფონდების გამოყოფის საქმეში. შეჯიბრებასთან დაკავშირებით ყოველგვარი ხარჯის გაწევა (დელეგაციების გაგზავნა) ადმინისტრაციამ თავის თავზე უნდა აიღოს. აღნუსხვის წარმოება და პერიოდულად მიღებულ შედეგების საწარმოო თათბირებზე გამოტანაც ადმინისტრაციის მოვალეობას შეადგენს.

ამის გარდა, სამეურნეო ორგანოების ხაზით უნდა იქნეს მიღებული გადამჭრელი ზომები წარმოების ნორმალურ მსვლელობისათვის (შეფერხების მიზეზების თავიდან აცილება, ნედლი და დამხმარე მასალების სათანადო რაოდენობით და თავის დროზე მიწოდება, მოწყობილების და დაზგების სათანადოდ და თავის დროზე შეკეთება, სხვადასხვა რაციონალური ღონისძიებების გატარება და სხვა). უამისოდ სოციალისტურ შეჯიბრების წარმატებით მსვლელობაზე ზედმეტია ლაპარაკი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ინჟინერ - ტექნიკურ პერსონალის სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობას. მან ყოველმხრივად უნდა დაახმაროს თავისი ცოდნა და გამოცდილება შეჯიბრების საუკეთესოთ დაყენებას; ინჟინერები წინასწარ უნდა იმუშავებდენ შეჯიბრების ტექნიკურ და ეკონომიურ მაჩვენებლებს, მუშებთან ერთად უნდა ისახავდენ ღონისძიებებს ხელშეკრულებათა შესრულებისათვის და წარმოების ყველა სუსტ მხარეების გამოსწორებისათვის, ხელს უნდა უწყობდნენ დამკვრელ და სანიმუშო ბრიგადების მუშაობას.

### შეჯიბრების მასიურად ჩატარება

სოციალისტური შეჯიბრება თავის შინაარსით არის მასიური მოძრაობა. ის დაიწყო მასების ინიციატივით და უნდა მიმდინარეობდეს მხოლოდ და მხოლოდ ისეთ ფორმებში, რომ მუშების აქტივობა მაქსიმალურად გაიშალოს. „ამ შეჯიბრების საფუძველზე ყოველმხრივად უნდა განვითარდეს მასების შემოქმედებითი ინიციატივა, მუშათა უფრო ჩამორჩენილი ფენების ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში და ორგანიზაციული ძალების უფართოესი კადრების დაწინაურება პროლეტარიატის რიგებიდან“ (საკავშირო ცეკას დადგენილებიდან).

შეჯიბრების არა მასიურად ჩატარება ყოველგვარ მნიშვნელობას დაუკარგავს მას და არავითარ შედეგს არ მოიტანს. საწარმოთა ურთი ერთი გამოწვევა, ხელშეკრულებათა დადება და სხვა, უთუოდ უნდა ხდებოდეს მუშების უმრავლესობის მონაწილეობით და არავითარ შემთხვევაში მათი შეცვლა ვიწრო კომისიებით (სამეული, ხუთეული და სხვა) არ უნდა იქნას დაშვებული. შეჯიბრებას საწარმოში უშუალოდ ხელმძღვანელობს საწარმოო კომისია (უნდა ხელმძღვანელობდეს და არა სცვლიდეს). ის უნდა იყოს მუშების ინიციატივის ორგანიზატორი, მან ისე უნდა ჩამოაყალიბოს ეს მუშაობა, რომ ფართოთ ჩაბას ამ საქმეში მუშების უმრავლესობა.

სოციალისტური შეჯიბრების მასიურობად არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის, რომ კრებებს (სადაც ირჩევა შეჯიბრების საკითხები) დაესწრება მუშა-მოსამსახურეთა მეტი პროცენტი. ამას გარდა, საჭიროა თვითეულ მუშის მიერ შეჯიბრებისადმი სრულიად შეგნებით მიდგომა, სამაგალითო მუშაობა და აქტივობის გამოჩენა საწარმოო თათბირებზე საქმიან წინადადებათა შეტანით და სხვა. სოციალისტური შეჯიბრების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოო თათბირების მუშაობას. უნდა გაძლიერდეს მათი მოწვევა (როგორც საერთოსი, ისე საამქროების), რათა ამით ხელი შეეწყოს კოლექტიური მუშაობით წარმოების გაუმჯობესებას და შეჯიბრების დროს ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებათა შესრულებას.

ყველა ზევით აღნიშნული არ შეიძლება ჩაითვალოს სოციალისტური შეჯიბრების ამომწურველ ფორმებად. თვითეულ საწარმო-დაწესებულებაში საქმისადმი კონკრეტული მიდგომით და არსებულ სპეციფიურ პირობების მიხედვით შეიძლება გამონახულ იქნას შეჯიბრების სხვადასხვა ფორმები. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ინიციატივის გამოჩენა და არა ცირკულიარებით გატარება. საკავშირო ცეკას დადგენილებაში ხაზგასმით არის ნათქვამი: „გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყოველგვარ ცდას, რომ ბიუროკრატიულად განსაზღვრონ ან ზევიდან დაწესებულ ჩარჩოებში მოაქციონ შეჯიბრების სხვადასხვა ფორმები, რომელთაც მასიური გამოცდილება წამოაყენებს“.

ს. გოდაბრელიძე.

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი“ № 143.

# ქრონიკა

### აზერბეიჯანის მწერალთა მისალმება

განათლების სახალხო კომისარმა ამხ. დ. კანდელაკმა აზერბეიჯანიდან მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა: „აზერბეიჯანის მწერლები, თქვენი სახით მხურვალეთ ესალმებიან მოძმე საქართველოს მშრომელებს და უსურვებენ მათ ბრწყინვალე გამარჯვებას კულტურულ რევოლიუციის ფრონტზე.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

მონდობილობით ხალილ იბრაგიმ".

### სტანდარტიზაციის ბიურო

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით 1 ივლისიდან ა.-კ. უმაღლეს ეკონომსაბჭოსთან დაარსდება სტანდარტიზაციის ბიურო, ხოლო ა.-წ. 1 ოქტომბრიდან ასეთივე ბიუროები უნდა დაარსდეს საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის უმაღლეს ეკონომსაბჭოებთან.

### წითელი პედაგოგები

განათლების კომისარიატმა თელავიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: „თელავის პედტექნიკუმის კურსდამთავრებულნი—წითელი პედაგოგები, აღუთქვამს საბჭოთა ხელისუფლებას, რომ ისინი მტკიცედ გაატარებენ მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებს ახალი ყოფა-ცხოვრების შენებისა და ახალი ადამიანის აღზრდის საქმეში".

ასეთივე შინაარსის დეპეშა მიღებულია ოზურგეთის პედაგოგიურ ტექნიკუმის კურსდამთავრებულებისაგან.

### რაცბიუროების დაარსება

ყველა მსხვილ სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებთან, რაციონალიზაციის სწორად ჩატარების მიზნით, დაარსებულია რაცბიუროები. რაცბიუროების მუშაობისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან დაარსდა რაცბიუროების წარმომადგენელთა საბჭო.

### ხორცის საკონვენციო ბიურო

ვაჭრობის სახ. კომისარიატის სამმართველოსთან დაარსდა ხორცის საკონვენციო ბიურო ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, „მიასოპროდუქტი"-ს, „მწყემსი"-ს, „სოფლის კავშირი"-ს და „ზაკსოიუზ"-ის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

### ალმშენებელთა მოსამზადებელი კურსები

შრომის ბირჟა 22 ივნისიდან შეუდგა ალმშენებელთა კურსებისათვის მესამე წყებას მსმენელთა შეკრებას. შეკრებას აწარმოებს ცალკე კომისია, რომელიც იმყოფება ბირჟას წითელ კუთხეში ყოველდღე დილის 8—12 საათამდე. კურსებზე ჩაწერა გაგრძელდება 1 ივლისამდე.

კურსებზე მიიღებიან უმუშევრები 18—40 წლამდე. მსურველებმა უნდა იცოდნენ წერა-კითხვა და ოთხმოქმედებიანი ანგარიში.

კურსანტებს მიეცემათ ტრამვაის ბილეთები, სადილი და 20 მანეთი სტიპენდია.

კურსების დამთავრების შემდეგ კურსანტები გაიგზავნებიან პრაქტიკულ სამუშაოზე.

### თბილისის ალმასკომში

◆ **საღამოობით მუშაობა.** ალმასკომის რაცბიურო ამჟამად ადგენს გეგმას, რომლის მიხედვით ალმასკომის ისეთი განყოფილებები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ მასებთან, გადაყვანილი იქნებიან საღამოს მუშაობის სისტემაზე.

◆ **მაზრაში სასკოლო მშენებლობის** გასაძლიერებლად დამატებით გადაიდო 20.000 მანეთი.

### სხვადასხვა

◆ **ცოფთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით** ჯანსახკომმა ახალციხეში გახსნა პასტერის ქვე-სადგური.

◆ **დღეს, საღამოს, 8 საათზე** სახ. უნივერსიტეტის გეოგრაფიულ კაბინეტში შესდგება მთასვლა-მოგზაურობის გან-ბის წევრთა დებულის სხდომა, რომელზედაც პროფ. მ. პოლიევქტოვი წაიკითხავს მოხსენებას: **რუსეთის ჩრდილოეთი.**

## ვის ეკუთვნის ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი

საქ. ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების საფუძველზე კომუნალურ განყოფილებამ შეიმუშავა დებულების პროექტი, რომლის მიხედვით ქვევით ჩამოთვლილ პროფესიის მქონე მოქალაქეთ უფლება ეძლევათ იქონიონ ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი:

1) ამიერ-კავკასიის და საქართველოს სახალხო კომისარიატების ხელმძღვანელებს, მათ მოადგილეებს და კომისარიატების კოლეგიის წევრებს.

2) დამოუკიდებელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს (გამგეები, დირექტორები, გამგეობის თავმჯდომარეები, სამმართველოს უფროსები) და მათ მოადგილეებს.

3) საოლქო და რესპუბლიკანურ მნიშვნელობის დაწესებულებების, თბილისის ალმასკომის და მუშკოოპის განყოფილებათა და ქვე-განყოფილებათა გამგეებს და მათ მოადგილეებს.

4) საოლქო და რესპუბლიკანურ პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებს, თბილისის კომიტეტის და რაიკომების ხელმძღვანელებს და აღნიშნულ ორგანიზაციების განყოფილებათა გამგეებს.

5) საოლქო და რესპუბლიკანურ დაწესებულებების ინსპექტორებს, უფროს და პასუხისმგებელ ინსტრუქტორებს და რევიზორებს.

6) კონსულტანტებს, რეფერენტებს, ეკონომისტებს, იურისკონსულტებს, სამეცნიერო დარგის მუშაკებს, ინჟენერებს, სწავლულ მდივნებს.

7) ცენტრალურ დაწესებულებების, ბანკების, წარმოებების და ტრესტების უფროს ბუხჰალტერებს.

8) სასწავლო, სამეცნიერო, სამხატვრო და სამუზეუმო დაწესებულებათა გამგეებს; უმაღლეს სასწავლებლების სასწავლო ნაწილების გამგეებს; რექტორებს, პრორექტორს, დეკანს და ასისტენტს; სამეცნიერო დარგის მუშაკებს, რედაქტორებს, მათ თანაშემწეებს, უმაღლეს სასწავლებლების ლექტორებს და მასწავლებლებს.

9) უფროს სანიტარულ ექიმებს, პრაქტიკის მქონე მედიცინის და კბილის ექიმებს.

10) სასამართლოების თავმჯდომარეებს, მათ მოადგილეებს, სასამართლოების კოლეგიის წევრებს, სახალხო მოსამართლეებს, პროკურორებს, მათ თანაშემწეებს, სახალხო გამომძიებლებს, დამცველთა კოლეგიის წევრებს.

11) ისეთ სულით-ავადმყოფებს, რომელთაც სჭირდებათ სპეციალური მოვლა, ღია ფორმის ტუბერკულიოზით დაავადებულებს, გადამდებ სტადიაში მყოფ სიფილისიანებს და ისეთ ქრონიკულ სენით დაავადებულებს, რომელთაც ესაჭიროებათ სპეციალური მოვლა.

ამ უკანასკნელთათვის ზედმეტ ფართობის აუცილებელ საჭიროების შესახებ, ცნობები და დასკვნა წარმოდგენილი უნდა იქნას ჯანმრთელობის განყოფილების საექიმო ორგანოების მიერ.

ზევით ჩამოთვლილ კატეგორიის პირებმა თავიანთ თანამდებობის შესახებ მოწმობები უნდა წარადგინონ სათანადო დაწესებულებებიდან.

არა სწორი ცნობების წარმომდგენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

პროექტი დასამტკიცებლად წარედგინა თბ. ალმასკომის პრეზიდიუმს.

## რკინის გზებზე

### ამხ. მირონოვის ჩამოსვლა

დღეს თბილისში მოელიან გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრს და რკ. გზათა ცენტრალურ სამმართველოს თავმჯდომარეს ამხ. მირონოვს. ამხ. მირონოვი ამ ჟამად იმყოფება სოჭაში. თბილისში იგი დაჰყოფს 3-4 დღეს.

### მადლობის გამოცხადება

ა.-კ. რკ. გზელთა გამგეობამ ბრძანებით გამოუცხადა მადლობა რკ. გზ. სამმართველოს ფინგანყოფილების გამგის მოადგილეს ამხ. ტიმოშენკოს და მის მოადგილეს ამხ. სეროვს. პირველი 25 წელია რაც ენერგიულად მოღვაწეობს რკ. გზაზე, ხოლო მეორე 40 წელია პირნათლადასრულებს თავის მოვალეობას ა.-კ. რკინის გზაზე.

### მედაარჩინა მატარებელი დამსხვრევას

მ. წ. 5 თებერვალს, გურჯაან - კარდანახის გადასარბენზე საბარგო მატარებელი № 92 დაჯახებით ემუქრებოდა ლიანდაგზე მიმავალ პატარა ვაგონს. ვაგონი დროზე შეამჩნია მემანქანემ ამხ. გრიგოლ სამხარაძემ, რომელიც მართავდა ორთქლმავალს. იმავე მემანქანემ გადაარჩინა ორთქლმავალი ლიანდაგიდან აცდენას. მ. წ. 11 მარტს გახეთქილი ლიანდაგის შემჩნევით. გზათა გამგეობამ გამოუცხადა მადლობა ამხ. სამხარაძეს მუყაითი მუშაობისათვის.

### დამატებითი შვებულებები

რკინის გზის ტექნიკუმების, პროფსკოლების და კვალიფიკაციის ასაწევ კურსებზე მოსწავლე რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეებს გამოცდების ჩასაბარებლად მიმდინარე წელში მიეცემათ დამატებითი ერთი კვირის შვებულებები.

### საყვედურების გამოცხადება

ამიერ - კავკასიის რკინის გზ. გამგეობამ ბრძანებით გამოუცხადა საყვედური 51 აგენტს, რომელთაც გამოიჩინეს უყურადღებობა სამსახურის ასრულების დროს. გარდა ამისა, სამსახურიდან მოიხსნენ გულგრილობის, ლოთობისა და დაუდევრობისათვის სათადარიგო აგენტი სამედბეკოვი, სად. ალაბაშლის უფროსის თანაშემწე — ალიევი ალი, სად. გურჯაანის უმცრ. მემუხრუჭე—ვავად ტალიბი, მემანქანე კურბანოვი მიხეილი და მეისრე — ისმაილოვი.

### მაგარი სასმელების წინააღმდეგ

აზერბეიჯანის რკ. გზის ხაზზე მთელ რიგ კრებებზე მუშა-მოსამსახურეები მოითხოვენ აიკრძალოს სადგურის ბუფეტებში და მის მიდამოებში მაგარი სასმელებით ვაჭრობა. ამის გამო, საგზაო კომიტეტმა აღძრა საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე მაგარი სასმელებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

### საცხოვრებელ ბინების კეთილმოწყობა

მიმდინარე წელში შრომის დაცვის ახალ სამუშაოთა საწარმოებლად გადადებულია ა.-კ. რკინის გზაზე 260.000 მანეთი. ხსენებული თანხა უკვე დანაწილდა უბნებს შორის. პირველ რიგში სწარმოებს საცხოვრებელ ბინების, ყაზარმების და ნახევარ-ყაზარმების მოწყობა.

### მატარებლის ქვეშ

— გუშინწინ სად. მცხეთაში დაძრულ მატარებელზე შეხტომის დროს ლიანდაგში ჩავარდა გლეხი პეტრე ასანიძე, რომელსაც მატარებელმა გადასჭრა ორივე ფეხი. დაჭრილი მოთავსებულია თბილისის რკ. გზ. საავადმყოფოში.

—იმავე დღეს სად. განჯაში შემომავალმა საბარგო მატარებელმა სასიკვდილოთ გადასჭრა უცნობი ქალი, რომელიც თვითმკვლელობის მიზნით იდგა ლიანდაგზე.

### სოც. შეჯიბრების რეალური შედეგი კახეთის რკ. გზის ხაზზე

სოციალისტურ შეჯიბრების გამოცხადებისთანავე რკ. გზის მთელ რიგ წარმოებებში მუშაობის ნაყოფიერება თვალსაჩინოდ იზრდება. სალიანდაგო დარგის ცნობით კახეთის გზაზე ეს ზრდა განსაკუთრებით თვალსაჩინოა. სოციალისტურ შეჯიბრებამდე ხაზზე დღეში იცვლებოდა საშუალოდ თითო კაცის მიერ 5 შპალი, ამ ჟამად კი იცვლება 9 შპალი. ყველგან მუშა-მოსამსახურენი ერთხმად ადგენენ სავსებით განახორციელონ დადებული ხელშეკრულებები.

# ხელოვნება

### თბ. მუშათა თეატრის განვლილი და მომავალი სეზონი

თბილისის საბჭოს განათლების სექციის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ხოხიაის მოხსენება მუშათა თეატრის გასულ და მომავალ სეზონის შესახებ.

მუშათა თეატრის განვლილი სეზონი ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. იმის ნაცვლად, რომ თეატრს შემოქმედება მუშა მაყურებელი, ის თავის შინაარსით იზიდავდა და აკმაყოფილებდა უმთავრესად ობივატელებს და საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო პირთა მოთხოვნილებას. ამრიგად თბილისის ალმასკომის თანხები იხარჯებოდა არა დანიშნულებისამებრ.

თეატრი დგამდა იდეოლოგიურად მიუღებელ წარმოდგენებს, იმ მიზნით, რომ მეტი შემოსავალი ქონოდა. მაშინდელ სეზონის ხელმძღვანელმა **პესიმისტმა** შეცდომაში შეიყვანა თბილისის ალმასკომი და გარდა იმისა, რომ თეატრს დაშორდა მუშა მაყურებელი, მატერიალურადაც დააზარალა ალმასკომი. სეზონის დაწყების დროს თეატრს არ ქონდა გარკვეული, თუ რა სახის მხატვრული მუშაობა უნდა ეწარმოებია სეზონის განმავლობაში. არ ქონდა შედგენილი რეპერტუარი შესაფერი შინაარსის პიესებით. თეატრს განხილულ წარმოდგენების გარდა, პირობის მიხედვით უნდა დაედგა 12 ახალი პიესა, მაგრამ დადგა 7 პიესა, ისიც უმთავრესად ჩვენთვის მიუღებელი.

შემოსავალი გათვალისწინებული იყო 70.000 მ. რაოდენობით, გასავალი — 110.000 მანეთი, დანაკლისი 40.000 მ. უნდა გაეღო ალმასკომს. ალმასკომის თვალის ასახვევად თეატრის ხელმძღვანელი პესიმისტი თითო წარმოდგენიდან შემოსავალს გვიჩვენებდა 550 მანეთის რაოდენობით, ნამდვილად კი შემოსავალი საშუალოდ არ აღემატებოდა 300-350 მან. გარდა ამისა დასი გაბერილი იყო უმეტესად უვარგისი ძალებით, არ იყო ყაირათიანობა და სხ. რის გამო სეზონის ბოლოს ალმასკომი იძულებული იყო დამატებით გაეღო 33.000 მანეთი.

ამრიგად გასულ სეზონში მუშათა თეატრზე თბილისის ალმასკომმა დახარჯა 70.000 მანეთზე მეტი.

იდეოლოგიურად გამართლებულ წარმოდგენებს ცოტა მაყურებელი ესწრებოდა, რაც იმით აიხსნება, რომ თეატრი არავითარ ზომებს არ იღებდა მუშურ მაყურებლების ორგანიზაციისათვის.

მომავალ სეზონში ასეთი შეცდომების თავიდან ასაცილებლად, ჩვენ სეზონის დამთავრებისთანავე, ე. ი. ამა წლის 16 აპრილიდან შეუდექით ზრუნვას მომავალი სეზონისათვის.

მოვახდინეთ არსებული დასის და მისი ხელმძღვანელთა კადრის რეორგანიზაცია და დავიწყეთ ახალი დასის შედგენა. დასი უკვე შედგენილია. თეატრის მთავარ რეჟისორად მოწვეულია რეჟისორი **გრიპიჩი**, მხატვრად— **მილლერი.**

ყოველგვარი ზომები იქნა მიღებული დასის საუკეთესო ძალებისაგან შესადგენად. უკვე დამზადებულია 30 ახალი პიესა. აქედან ამორჩეული იქნება მხოლოდ 15.

შემოსავალი ნავარაუდევია 68.000 მანეთის რაოდენობით, გასავალი — 120.000 მ., ასე, რომ 42.000 მანეთი უნდა გაიღოს თბ. ალმასკომმა დოტაციის სახით.

განზრახული გვაქვს აგრეთვე მუშათა თეატრთან ქართული სექტორის ჩამოყალიბება, ამის შესახებ ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებდით **მარჯანიშვილთან,** მაგრამ მან ისეთი მოთხოვნილებები წამოაყენა, რომ ალმასკომს არ შეეძლო დათანხმებოდა მატერიალურ პირობების გამო. მიუხედავათ ამისა გამოყოფილია კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გამოირკვიოს ქართული სექტორის დაარსების შესაძლებლობა.

## ნ. ფიროსმანის სურათების გამოფენა

### თბილისში და მოსკოვში

განათლების სახ. კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ მმართველობასთან ჩამოყალიბდა კომიტეტი, რომელმაც უნდა მოაწყოს ნიკო ფიროსმანიშვილის სურათების გამოფენა თბილისში, მოსკოვში და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

კომიტეტში შედიან **შ. დუდუჩავა** (თავმჯდომარე), **ალავიძე, დ. კაკაბაძე, პ. იაშვილი, დ. შევარდნაძე, ბენიტო ბუაჩიძე, ტ. ტაბიძე** (მდივანი) და **კ. ზდანევიჩი** (კომიტეტის რწმუნებული მოსკოვში). კომიტეტი ამ თავითვე შეუდგება ნ. ფიროსმანის სურათების აღრიცხვას, რესტავრაციას და გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებულ სხვა წინასწარ სამუშაოებს.

გუშინ ნაციონალურ გალერეიაში შესდგა კომიტეტის პირველი სხდომა. კომიტეტმა გამოყო კომისია ამხ. ალავიძის, შევარდნაძის და კაკაბაძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა შეადგინოს გამოფენის მოწყობის ხარჯთაღრიცხვა. პირველად გამოფენა მოეწყობა თბილისში. გამოფენის მოწყობა განზრახულია აგვისტოში. შემოდგომაზე გამოფენა გადატანილი იქნება მოსკოვში. სულ გამოფენილი იქნება დაახლოვებით 150 სურათი.

კომიტეტმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას განათლების სახ. კომისარიატის წინაშე, რათა გამოცემული იქნეს დადგენილება, რომლის ძალით ყველა მოქალაქეები, რომელთაც აქვთ ფიროსმანის სურათები, რეგისტრაციაში უნდა გატარდნენ კომიტეტში.

გადაწყვეტილია გამოცემული იქნეს ნ. ფიროსმანიშვილის ფოტოგრაფიული სურათი, მის ფართოდ გასავრცელებლად მასებში.

მოსკოვში გამოფენის მოწყობისათვის საჭირო წინასწარ მუშაობას ჩაატარებს კომიტეტის რწმუნებული მხატ. კ. ზდანევიჩი.

ტ. ტაბიძეს დაევალა შეაგროვოს ყველა ის მასალები (წერილები და მონოგრაფები), რაც კი დაწერილია ფიროსმანზე ქართულ, რუსულ და უცხოეთის პრესაში.

# სასამართლო

### მხეცი ქმარი

წყალტუბოს თემში შეხვდნენ ერთმანეთს **სევერიან ვასილისძე ცეცხლაძე** და ახალგაზრდა, 17 წლის **ლიუბა იოსელიანი.**

ცეცხლაძე გადაეკიდა ქალს, არ აძლევდა მოსვენებას და წინააღმდეგ ქალის მშობლების სურვილისა დაითანხმა იგი ცოლად გაყოლაზე.

ცეცხლაძემ ქალი წაიყვანა გურიაში სოფ. ლიხაურში. იშვიათი კეთილ - ხასიათის, წყნარი და უწყინარი ქალი იყო ლიუბა.

გავიდა დრო. ცეცხლაძემ იცვალა ხასიათი. დაიწყო ოჯახში აყალ-მაყალი, მეზობლებს ხშირად უხდებოდათ ცეცხლაძის ოჯახში გამზავებლის როლში გამოსვლა. საკმარისი იყო ლობიოს მოხარშვა დაგვიანებულიყო, რომ ცეცხლაძე ბრძოლის გუნებაზე დგებოდა და უშვერი გინებით საცემად იწევდა ლიუბასაკენ, რომლის გულისთვის ერთ დროს მთელი წყალტუბოს თემი აკლებული ჰქონდა, სიკვდილით ემუქრებოდა ყველას, ვინც წინაღუდგებოდა მის „სიყვარულს".

ლიუბა ითმენდა დამცირებას, ფიზიკურ შეურაცყოფასაც იმ იმედით, რომ დროთა განმავლობაში ცეცხლაძე შეიცვლიდა ზნეს და კარგი ოჯახის კაცი გახდებოდა.

მაგრამ ამაოთ გამოდგა ეს იმედი. ცეცხლაძე კიდევ უფრო აუტანელი გახდა. ის სისტემატიურად ითვრება, სცემს, აწვალებს თავის ცოლს.

ლიუბამ გადასწყვიტა მიეტოვებია ცეცხლაძის ოჯახი და დაბრუნებულიყო თავის მშობლებთან.

მაგრამ შუაში ჩამოდგენ მეზობლები, რომლებმაც ხელწერილი დაადებინეს ცეცხლაძეს, რომ ის აღარ გაიმეორებდა მხეცურ საქციელს და ადამიანურად მოეპყრობოდა ქალს. ეს იყო ამა წლის აპრილში.

ამა წლის 22 მაისს კი იმავე მეზობლებმა ასეთი სურათი ნახეს ცეცხლაძის სახლში: ლიუბა უსულოდ ეგდო, თავი შუაზე ჰქონდა გაპობილი, ტანზე გადაფარებული ჰქონდა ზეწარი, იქვე მახლობლად ეგდო გასისხლიანებული ნაჯახი.

— გამაბრაზა და შემომაკვდა, — ასეთი იყო მხეცი ცეცხლაძის თავის მართლება.

ცეცხლაძე გაასამართლა ოზურგეთის სახალხო სასამართლომ.

**ბრალდებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ათი წლით სასტიკი იზოლიაციით.**

### ყაჩაღური თავდასხმისათვის

1928 წ. 21 ოქტომბერს თიანეთის თემში გლეხ ხადილაშვილის ოჯახს თავს დაესხნენ ადგილობრივი მცხოვრებნი: **ფილიპე ალბოთაშვილი, ალექსი გუბიანური, კოლა ღვინიაშვილი და ილო სვიმონიშვილი.**

ხადილაშვილის ოჯახში ყველას ეძინა.

— მგზავრები ვართ და ღამე გაგვათევინეთ, — დააკაკუნეს კარებზე ყაჩაღებმა. მოხუცმა ხადილაშვილმა კარები გააღო.

ყაჩაღები შეცვივდნენ სახლში მომართული რევოლვერებით, დააწვინეს ყველანი პირქვე და შეუდგენ ძარცვას. წაიღეს საკერავი მანქანა, ტანსაცმელები და სხვადასხვა ნივთები.

წამოსვლისას ყაჩაღებმა ხადილაშვილები ჩაჰკეტეს სახლში, რომ მათ არავისთვის ეცნობებიათ თავდასხმის შესახებ.

ნაძარცვი ნივთები ყაჩაღებმა მიაბარეს თავიანთ ამხანაგს კოლა ღვინიაშვილს. უკანასკნელმა ეს ნივთები ჩაფლა მიწაში. რამდენიმე დღის შემდეგ ბოროტმოქმედნი აღმოჩენილ იქნენ მილიციის მიერ.

მათი საქმე გაარჩია თბილისის მაზრა - ქალაქის სასამართლოს სესიამ ამხ. რ. კალაძის თავმჯდომარეობით.

**ფილიპე ალბათაშვილს და კოლა ღვინიაშვილს,** როგორც ინიციატორებს, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ხუთ-ხუთი წლით და სამ-სამი წლით სამოქალაქო უფლებების აყრა.

**ალექსი გუბიანურს და ილო სვიმონიშვილს** მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა სამ-სამი წლით.

### ყალთაბანდ ვაჭრების გასამართლება
(საჩვენებელი პროცესი)

თბილისის საგადასახადო საქმეთა სამმართველომ ამხ. კაჭახიძის თავმჯდომარეობით დაამთავრა ყალთაბანდ ვაჭრების იუსუფ ხაჯი გუსეინ ოღლის და ისმაილ ნაბიბეგოვის გასამართლება საჩვენებელი პროცესით.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, იუსუფ ხაჯი გუსეინოღლი მთელი წლის განმავლობაში ვაჭრობდა უპატენტოდ. მას შეთანხმება ჰქონდა ტყავეულობით მოვაჭრე ისმაილ ნაბიბეგოვთან, რომლის მაღაზიაში დაუბეგრავად კონტრაბანდათ ასაღებდა დიდძალ ტყავეულობას.

ნაბიბეგოვს შეცდომაში შეჰყავდა საგადასახადო ორგანო. ნაბიბეგოვის წლიური ბრუნვა 110.000 მანეთს აღემატებოდა, მაგრამ ამის მესამედიც არ იყო დაბეგრილი საშემოსავლო გადასახადით.

ყალთაბანდმა ვაჭრებმა სახელმწიფოს აზარალეს რამდენიმე ათასი მანეთი.

**ნაბიბეგოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, ხაჯი გუსეინ ოღლის—6 თვით.**

გურ.

# ფიზკულტურა და სპორტი

### აფხაზეთის გუნდის მოწვევა

საქ. პროფსაბჭოს ფიზკულტურის ცენტრ. ბიურომ თბილისში მოიწვია სოხუმის პროფკავშირების ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც საუკეთესო გუნდათ ითვლება აფხაზეთში. გუნდი თბილისში ჩაატარებს ერთ ან ორ შეჯიბრებას. აფხაზეთის გუნდს თბილისში მოელიან ამ კვირაში.

### პროფკავშირების გუნდის მიწვევა როსტოვში

ახლო ხანში როსტოვში იმართება ჩრდილოეთ კავკასიის ფიზკულტურის დღესასწაული, რომელზედაც მიწვეული არიან მეზობელი რესპუბლიკების ფიზკულტუროსნებიც. დღესასწაულზე განსაკუთრებული ადგილი ექნება დათმობილი ფეხბურთს. დღესასწაულზე მიწვეული არიან ლენინგრადის და მოსკოვის („ტრიოხგორნაია მანუფაქტურა") ფეხბურთელთა გუნდები.

საქართველოდან დღესასწაულზე მიწვეულია პროფკავშირების ნაკრები გუნდი, რომელსაც როსტოვში როსტოვის გუნდის გარდა შეჯიბრება ექნება ლენინგრადის და მოსკოვის გუნდებთან.

საქ. პროფსაბჭომ თანხმობა განაცხადა გაგზავნოს როსტოვში თავისი გუნდი. გუნდის შედგენა დაიწყება მას შემდეგ, როცა როსტოვიდან მიღებული იქნება დაწვრილებითი ცნობები დღესასწაულის შესახებ.

### ფიზკულტურის ინსტრუქტორთა კურსები

12 მაისს თბილისში გაიხსნა ფიზკულტურის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი ორთვიანი კურსები, რომელზედაც მეცადინეობს 50 კაცი, აქედან 22 კაცი მაზრებიდანაა, კურსები მოაწყო საქ. პროფსაბჭოს ფიზკულტურის ცენტრ. ბიურომ.

კურსებზე მეცადინეობა სწარმოებს დილის 7—12 და საღამოს 5—8 საათამდე. კურსების დამთავრების შემდეგ ინსტრუქტორები გაიგზავნებიან მაზრებში სამუშაოდ. კურსანტების სოციალური შემადგენლობა ასეთია: კომკავშირელები — 50 პროც., მუშები — 53 პროც., პროფკავშირის წევრები — 94 პროც.; კურსებზე მეცადინეობს აგრეთვე 5 წითელ არმიელი.

მეცადინეობა სწარმოებს ფიზკულტურის ყველა დარგებში. კურსი დაყოფილია სამ ციკლად — თეორიული, ტანვარჯიშულ და ჯომარდულ ნაწილებად. ამას გარდა კურსების პროგრამაში შეტანილია გასამხედროებული ვარჯიშები.

კურსების მსმენელი ქალები

23 ივნისს კურსანტებმა სოფ. დიღომში მოაწყვეს ექსკურსია, სადაც წაიღეს 60 მანეთის ლიტერატურა, გამართეს თამაშობანი, რომელშიც ჩააბეს ადგილობრივ ახალგაზრდობა, გაეცნენ გლეხების შრომას და სხვა.

მეცადინეობა კურსებზე დასრულდება 13 ივლისს.

### „დინამოდან" გამორიცხვა

თბილისის პროლეტარულ სასპორტო საზოგადოების „დინამო"-ს გამგეობამ საზოგადოების წევრობიდან და ფეხბურთელთა გუნდის შემადგენლობიდან სამუდამოდ გამორიცხა **ჟორდანია, პეჩენი და შულცი.**

მათი გამორიცხვის მიზეზია, ის რომ, აღნიშნულმა მოთამაშეებმა გაუფრთხილებლად მიატოვეს თავიანთი გუნდი და წავიდნენ უკრაინაში „საგასტროლოდ" და სხვა გუნდში მონაწილეობის მისაღებად.

## სათევზაო წყლების ექსპლოატაცია

იმპერიალისტურ ომამდე მეთევზეობას საქართველოში (შავ ზღვაზე, ზოგიერთ ტბებსა და მდინარეებზე) საკმაოდ განვითარებული სამრეწველო ხასიათი ჰქონდა და აქ დამზადებული თევზი იგზავნებოდა როგორც რუსეთის, აგრეთვე უცხოეთის ბაზარზე. ომის შემდეგ კი ეს საქმე სრულიად მიტოვებულია. ამ გარემოებას უკანასკნელ ხანებში ყურადღება მიაქცია საქართველოს უზენაესმა ორგანოებმა და ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებული საქართველოში შეუდგა მეთევზეობის ხელახლად ფეხზე დაყენებას. მას განზრახული აქვს მოაწყოს მეთევზეთა სპეციალური არტელები, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნებიან ყოველგვარ საჭირო მოწყობილობით. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს განზრახული აქვს მეთევზეობა მოაწყოს შავი ზღვის ნაპირებზე, პალეასტომის და თაფარავანის ტბებზე. ამასთანავე განზრახულია თევზის ხელოვნურად მოსაშენებელი აუზების მოწყობა, სადაც გაშენებული იქნება უმთავრესად მაღალ ხარისხოვანი ჯიშის თევზი. არტელების მიერ დამზადებული თევზის რეალიზაცია დაევალება რომელიმე სახელმწიფო სავაჭრო ან კოოპერატიულ ორგანიზაციას.

## სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატში

### სახ. უზრუნველყოფაზე მყოფ პირთა რაოდენობა

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატში წარმოდგენილი ამგარიშების მიხედვით, ამჟამად სახელმწიფოს უზრუნველყოფაზე არის აყვანილი: ბორჩალოს მაზრაში—52 კაცი; ქუთაისის მაზრაში—1.142, აფხაზეთში—347, ახალქალაქის მაზრაში—134, ოზურგეთის მაზრაში—292, სენაკის მაზრაში—56, გორის მაზრაში—155 და ფოთში—171. დანარჩენ მაზრებიდან კომისარიატს ცნობები არა აქვს მიღებული.

### პენსიის გადიდება

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა ცნობილ პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის ლუარსაბ ბოცვაძის ქვრივს და ობლებს მიმდინარე წლის 1 ივლისიდან გაუდიდა პენსია.

### დამატებითი თანხების გადადება

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა საბიუჯეტო წლის განმავლობაში სოც. უზრუნველყოფის საქმეზე მოსახმარათ სპეციალურ საშუალებებიდან დამატებითი ხარჯთაღრიცხვით გადასდო—232.000 მანეთი.

### ინვალიდების კოოპერატიული არტელები

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით ამჟამად საქართველოში სულ მოწყობილია 37 ინვალიდების კოოპერატიული არტელი.

## რადიო-გადაცემა

### ოთხშაბათი, 26 ივნისი.

დღეს თბილისის რადიო-გადამცემი ცენტრი გადასცემს შემდეგ პროგრამას:

საღამოს 6 საათიდან ოქტომბრელის საათი—ინსცენირობა უცხოეთის ქვეყნების პიონერთა ცხოვრებიდან, რუსულ ენაზე; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; საგლეხო კონცერტი; საუბარი სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხებზე, ქართულ ენაზე; რადიოგაზეთი, რუსულ ენაზე; დროს შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; კონცერტის გაგრძელება; უკანასკნელი ამბები; მორზეს ანბანი, ქართულ ენაზე.

## შემთხვევები

### მტკვარში დახრჩობა

მაუდის ფაბრიკის ახლო, ბანაობის დროს მტკვარში დაიხრჩო კონსტანტინე ნიკოლოზის ძე კოტენკო (მცხოვ. გაბაშვილის შესახ. № 3). გვამი ჯერ არ არის აღმოჩენილი.

### შეპყრობა

ჯიბგირობისათვის შეიპყრეს დავით არუთინის ძე მარქარიანცი.

### დახრჩობისაგან გადარჩენა

გერასიმე მიკიჩას ძე გასპაროვმა გუშინწინ მტკვარში დახრჩობას გადაარჩინა თამარა კარანიანცი, რომელიც თავის დახრჩობის მიზნით გადავარდა მდინარეში.

### ქურდობა

გაქურდეს ალ. სახარსკის ბინა (საზანოვის ქ. № 31), საიდანაც წაიღეს საოჯახო ნივთები.—ილია გრიშინის ბინიდან (ბარანოვის შესახ. № 3) მოიპარეს 236 მანეთის ნივთები.

## შრომის ბირჟაში

### მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 26 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

**კვალიფიციურ მუშათა სექციიდან:** ვლადიმერ იორდანოვი, ალექსანდრე ვასილიევა, ივანე კოტორიძე, ერვანდ არუთინოვი, იოსებ ცაბაძე, ფურცელაძე, ნიკოლოზ არაპკინი, ლავრენტი დუმბაძე, მოსე ლუბინი, მიხეილ მატინიანი, ლუკა ტაბატაძე, ევგენია ესაკოვა, არუთინ ტიპჩიანცი, დომინა ბაიაროვსკაია, ალექსანდრე სეროფოვი, ალექსანდრე დოროხოვი, თამარა წულუკიძე, ხორენ შახდინაროვი, გრიგოლ ოქრომჭედლიშვილი, სტეფანე სტეფანიანცი, რუბენ ნიკოგოსოვი, გრიგოლ ევლიარი, ევსევი გურევიჩი, მიხეილ ხუციშვილი, გეორგ გეორქოვი, არუთინ არუთინიანი, მაკარი იუნანიანცი, ფირან სხირტლაძე, ნოე კორსავა, მარიამ გაისიანცი, ზარელ აბაჯიანი, მარიამ კუკულევიჩი, ალექსანდრე სარქისოვი, ნიკოლოზ კუზმინი, იოსებ ვაზიკაშვილი, პეტრე ჯიოევი, ევგენი სხირტლაძე, თედორე ციხისელი, ალექსი გძელიშვილი, არსენ მოწონელიძე, ვასილ ტომაშევსკი, ოგანეს არუთინოვი, გრიგოლ კანკავა, ფილიპე ბესელია, ნესტორ ინჯგია, არმენაკ აბრამოვი, ოლღა ამირჯანოვა, ანნა პარტანიანი, ელისაბედ გერმანი.

**მედსექციიდან:** ელენე ვადაჭკორია პრეკელი, იაკობ აგაკასოვი, გარდა ამისა, სექციას ესაჭიროება ერთი ფარმაცევტი-მოანგარიშე ქართული ენის მცოდნე, ორი სანიტარი და ერთი მომვლელი ქალი.

**მშენებელ მუშათა სექციიდან:** ბაგრატ მერაბიშვილი, სამსონ ტატეოსიანი, ოგანეს მიქაელიანი, სერგო კარამოვი, არშაკ ამბარცუმოვი, ზურაბ მღებროვი, სიმონ ნიკოგოსოვი.

### ახალი განყოფილება

თბილისის შრომის ბირჟის უმუშევართა კოლექტივის სამმართველოსთან არსდება სარევიზიო - საკონტროლო განყოფილება.

აღნიშნული განყოფილება თვალყურს ადევნებს ცალკე კოლექტივების მუშაობას.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება

### სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

### სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე 19 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (კან. კრ. 1924 წ. № 1 მუხ. 7) წესისამებრ—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-19 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა. პროფესიონალურ კავშირთა ორგანიზაცია და მათი საკავშირთაშორისო შენაერთი, რომელსაც იურიდიული პირის უფლება აქვს, პასუხს აგებს ქონებრივად მისი სამეურნეო მოქმედებიდან გამომდინარე ვალდებულებისათვის საერთო საფუძველზე.

პროფესიონალური კავშირის ორგანიზაცია პასუხს აგებს ზემდგომი და ქვემდგომი ორგანიზაციის ვალდებულებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მან ეს პასუხისმგებლობა იკისრა".

**სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ: ვ. სტურუა.**

**საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: ფ. მახარაძე.**

**სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტ. მდივანი: ს. თოდრია.**

1929 მაისის 10.

თბილისი—სასახლე.

## დადგენილება

### სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

### საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 38 მუხლის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრებ. 1924 წ. № 1 მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 38 მუხლის ქართული რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

**მუხ. 38,** ქმედობაუნარიან პირს შეუძლიან დასდვას გარიგება მის მიერ ამორჩეული წარმომადგენლის მეშვეობითაც, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აკრძალულია კანონით.

**სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ: ვ. სტურუა.**

**საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: ფ. მახარაძე.**

**სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტ. მდივანი: ს. თოდრია.**

1929 წ. მაისის 10

თბილისი — სასახლე

## დადგენილება

### სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

### სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 271 მუხლის 1-ლი დანართისათვის „პ" და „ჟ" პუნქტების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (კან. კრ. 1924 წ. № 1 მუხ. 7) წესისამებრ—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 271 მუხლის 1-ლი დანართის 1-ლ მუხლს დაემატოს „პ" და „ჟ" პუნქტები შემდეგი შინაარსისა:

„პ) საავტორო უფლება, გარდა იმ შემოსავლისა, რასაც აღნიშნული უფლების განხორციელება იძლევა";

„ჟ) პროფესიონალური ორგანიზაციის კუთვნილი: სავაჟიცვო და კულტურულ-განმანათლებელი ფონდი, ფონდი კავშირის უმუშევარ წევრთათვის დახმარების მისაცემად და აგრეთვე შენობანი და გაწყობილობა, რაც საჭიროა ორგანიზაციის ნორმალური და დაუბრკოლებელი მუშაობისათვის".

**სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ: ვ. სტურუა.**

**საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: ფ. მახარაძე.**

**სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტ. მდივანი: ს. თოდრია.**

1929 წ. მაისის 10.

თბილისი—სასახლე.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება** წინადადებას აძლევს ამხანაგებს, რომელნიც იგზავნებიან უმაღლეს სასწავლებლებში „1000"-ის ანგარიშში, და მათ კანდიდატებს 1929—30 სასწავლო წლისათვის, გამოცხადდნენ ცეკას საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში დღეს, 26 ივნისს, შუადღის 12 საათზე დაუგვიანებლივ.

—:—

სახ. უნივერსიტეტის პარტ. ბიურო კოლექტივი წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ პარტ. და კომკავშირის წევრებს, დღეს, 26 ივნისს, სრულ 12 საათზე გამოცხადდნენ პარტ. ბიურო კოლექტივში: პარტიშვილი აგრაფაკი, კუპრაძე ნიკოლოზ, ჩიჩინავა ალექსანდრე, ჩიქოვანი დავით, ლომინაძე უენია, გიორგობიანი აკაკი, გოგიჩაიშვილი გიგა, გოგიშვილი გიორგი, გიგაური შალვა, გორგილაძე აკაკი, დავითაია მამია, ჯაფარიძე სანდრო, თავაძე მიშა, თევდორაძე რუბენ, მოსკალენკო ვასილ, ძემუროვი გარენიკ.

**ხუთშაბათს, 27 ივნისს, დილის 8 საათზე** საქ. კომპ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის შემომწმებელ კომისიების ყველა მდივანი უნდა გამოცხადეს თათბირზე საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის შენობაში, ოთახი № 7. (რუსთაველის აღოსპ. № 24, მესამე სართული).

—:—

**სახ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი** წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს, 26 ივნისს, დღის სრულ 12 საათზე, სახ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივში: ბადრიშვილი, კუპრაძე ნიკოლოზ, სიჭინავა ალექსანდრე, ჩიქოვანი დავითი, ლომინაძე უენია, მეალავა საჩინო, გიორგობიანი აკაკი, გოგიჩაიშვილი უენია, გოგიშვილი გიორგი, გიგაური შალვა, გორგილაძე აკაკი, დავითაია მამია, ჯაფარიძე სანდრო, ტაბიძე გრიგოლი, თევდორაძე რუბენ.

---

დამწუხრებული მშობლები დარიკო და კლიმენტი ჯულელები აუწყებენ საზოგადოებას, რომ საყვარელი შვილის

**ჭიკო ჯულელის**

ხსოვნის აღსანიშნავად 29 ივნისს გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სვირში. დეპ.

---

დამწუხრებულნი ქმარი სამსონ, შვილ ები ალექსანდრე, გიორგი და ნიკოლოზ ჭირაქაძეები, რძალი სოფიო, დები ოლინკა ჭუმბურიძე, მინადორა ქელბაქიანი და კატო პილაშვილი, მულები პელაგია ფორჩხიძე და ტერეზია სულავა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარი

**მარიამ დიმიტრის ასული ჭირაქაძის**

გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 6 საათზე. დაკრძალვა ხუთშაბათს, საღამოს 5 საათზე კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება გოგოლევის ქუჩა № 50. (ვ. ბ.)

---

იოსები და ლიდა ქელბაქიანი პატარა ენვერით მწუხარებით იუწყებიან საყვარელ დეიდის

**მარო ჭირაქაძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 27 ივნისს, 4 საათზე, ბინიდან გოგოლის ქ. № 50 დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 2361

---

დამწუხრებული დედა ირინე, მამის-ნაცვალი ვანე სიხარულიძე, დები: ოლია და მარიამ ავჯანლაძეები, სონია სიხარულიძე, კონსტანტინე მეუღლითურთ, ქსენია სიხარულიძის ასული კუნჭულია იუწყებიან მათთვის საყვარელ პირველი ორის შვილის და დანარჩენების ძმის

**მირონისი ქიშვარდისძეს**

გარდაცვალებას 2370

---

პარასკევი 28 ივნისი

**სახელმწიფო საოპერო თეატრი**

**აჭარისტანის სახ. აკადემიური გუნდი** (განათლების მუშაკთა სახლთან არსებული). მუსიკოს **მ. ს. კუხიანიძის** ხელმძღვანელ-ბით მართავს დიდ მხატვრულ საჩვენებელ **კონცერტს** სამ განყოფილებად. შესრულდება: ქართულ, რუსულ, უკრაინულ და ჩეხურ ენებზე. მესამე განყოფილებაში გუნდის მიერ შესრულებული იქნება ხალხური მასიური ცეკვები „ფერხული" და „ხორუმი". დასაწყისი საღამოს სრულ 8 ნახ. ს. ფასები ჩვეულებრივია. პასუხისმგებელი: გუნდის გამგეობა.

ნ. 2900 3—1

---

[illegible]

სახელმწიფო აპოლო — **დიდი ქალაქის სიმფონია** (ბერლინი)

სახელმწიფო ეთერი — ანა სტენი, „კუტუზოვი სერათში" **მისი კარიერა**

საზ. ფილმი პალასი — **განწირულნი** ვიქტორ ჰუგოს რომანის მიხედვით 1 და 2 სერია ერთად

აპოლო — სატრფიალო ფილმი **ღვიძლი ძმა**

[illegible] — უცხოეთის მხატვრული ფილმი **მეორე ქორწინება**

მინიონი — [illegible] **2 ჯავშნოსანი**

**მალე კლოუნი ჟორჟ ს ბენეფისი**

---

**მათემატიკის მასწავლებელი ივ. მაჩაიძე**

ამზადებს მათემატიკაში (არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ.) და ყველა საგნებში შემოწმებ ყველა ჯგუფ. მუშფაკ., საპ. ტექნ. (ინდუსტ., ქიმ. და რკინისგზ.) მე-9 და მე-10 ჯგ. შესასვლელ საკონკურსო და განმეორებითი საშემოდგომო გამოცდებისათვის.

შესავალი პლეხანოვის ქ. № 25 ან ჩერნიშევსკის ქუჩის კუთხიდან № 5. 9—12 საათ. 4—6 საათ.

2366 5—1

---

**თბილისის ქალაქის ლომბარდი**

(ცეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 30 ივნისს, დილის 10 საათზე

დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა**

ვადაგასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 2901

---

**თბილისის ალმასკომის კომუნალური მეურნეობა**

აცხადებს, რომ ა/წ. 29 ივნისს, დილის 10 საათზე ალმასკომის შენობაში, ოთახი № 88

დანიშნულია

**საჯარო შეჯიბრება**

ვაკის კარიერიდან 1.000.000 ც. აგურის გადატანაზე ჭორესის ქ. № 31 და რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა პოლიტექნიკური ინსტიტუტთან და მიწოდებაზე 2.000 კუბ. მეტრი ქვიშის ვერის კარიერიდან, 150 კუბ. მეტრი ღორღის 150 მეტრი მთავარი ჯიშის ნატეხი სასარკელის ქვის და 4.200 ტონი კირისა.

ორგანიზაციებმა და არტელებმა, რომელნიც აღრიცხვაზე არიან აყვანილი მშენებელთა პროფკავშირის მიერ და რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრებაში, უნდა წარმოადგინონ თავიანთი წინადადებანი არა უგვიანეს 29 ივნისის 8 საათისა დახურულ კონვერტში წარწერით „ალმასკომის სახლების აგების შეჯიბრებისათვის". აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ თავიანთი წარმომადგენელი ზეპირი შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

დაწვრილებითი პირობების და კონდიციების გაგება შეიძლება ალმასკომში, ოთახი 38, მეორე სართული, დილის 8 საათ. 1-დის.

ის ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან განთავისუფლებულნი საწინდარის შეტანისაგან ვალდებული არიან წარმოადგინონ სამუშაოს ღირებულების 10 პროც.-ის სალაროში შეტანის ქვითარი. ალმასკომი უფლებას იტოვებს სამუშაო გასცეს უმცირესი თანხის გარეშე.

ნ. 2899 კომ. მეურნ. გამგე სიხარულიძე

---

ექიმი

**დ. ლ. თევზაძე**

(სპეციალისტი ყელის და ყურის სნეულებათა)

ჩასულია თბილისიდან და განაახლებს ავადმყოფების მიღებას ოქტომბრის პირველიდან

2334 13 1

---

**ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა**

აცხადებს, რომ ხუთშაბათს 27 და პარასკევს 28 ივნისს, დილის 12 საათზე რუსთ. ქ. № 3

დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა**

ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად გაიყიდება 160 ვედრა ღვინო ნ. 2901

---

**ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა**

აცხადებს, რომ შაბათს 29 და კვირას 30 ივნისს (სასახლის ქ. № 3) დილის 10 საათზე

დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა**

ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად. გაიყიდება კომოდები, სარკეები, შიფონერკები, ხალიჩები, ვენური სკამები, გარდეროები და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები ნ. 2901

---

**ქ. თბილ. 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი სერგო ბაგინოვი**

აცხადებს, რომ 29 ივნისს 1929 წ. დღის 2 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება შოთა და ელენე გელოვანების ორ სართულიანი სახლი, მდებარე ბელინსკის ქ. № 26, რომელიც მოთავსებულია 471 კვ. საჟ. ნაკვეთ მიწაზე რაც შეიცავს 9 ოთახს, 2 სამზარეულოს შეფასებული 8.000 მანეთად სახალხო მამულების ტრესტის და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოს 9 აპრილის 1928 წლ. თარიღით № 1379 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვინც ისურვებს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლო აღმასრულებელს ცნობები გათვალისწინებული სამ. საპრ. 311 მუხლით და ამის გარდა უნდა წარუდგინოს საწინდარი 10 პროც. სახლის შეფასების ჯამიდან. 2369

---

ექიმი

**მ. გ. შახნაზაროვი**

სპეციალურად

სიფილისი, „914" შეშხაპუნება, ტრიპერი შემვეც და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი

ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგოროვის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

---

ექიმი

**გ. მ. ფხალაძე**

სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) და კანის სნეულებანი.

მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ. საღამ. 6—7 საათ. ქალები 7—9 საათ. კაცები

მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღის ქუჩიდან აფთიაქთან). 25—1

---

ექიმი

**პ. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—1

---

ექიმი

**ა. დ. კეკელია**

**სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება**

პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

---

ექიმი

**პ. ი. ჯალალოვი**

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა

მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ბ. 25—1

---

ქ. ქუთაისში

ექიმი

**დ. ა. ჩეჩელაშვილი**

**იღებს სპეციალურად ფილტვების ავადმყოფებს**

დილის 8—12 საათამდე. ჭავჭავაძის ქუჩა № 4 ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით. 25—14

---

ექიმი

ანა ვასილის ასული

**მექაბერიძე**

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

**„სილამაზის ინსტიტუტი"**

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და მის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტროაპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან.

---

**დაკარგა:** კომპარტიის საკანდ. ბარათი № 3023, განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი, დამზღვევ სალაროს საან არიშო წიგნაკი, ქ. ონის მთლიან მუშათა კოოპერატივის წიგნაკი და ურთიერთ დამხმარე სალაროს წიგნაკი კლავდია სერაპიონის ასულ მურუსიძის სახელზე, ჩ. გ. 2367

**დაკარგა:** დამზღვევ სალაროს უმუშევრობის წიგნაკი № 19091 არეთა დავითის ასული ხოშტარიას სახელზე, ჩ. გ. 2364

---

ლოგოპედ

**ა. ა. პაიჭაური**

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

**ასწორებს**

ლოგოპათებს: ინაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ

კლარა (ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 2601.

---

კბილის ექიმი

**დ. ს. რიჟინაშვილი**

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

---

**დაკარგა:** უპროცენტო ობლიგაცია № 6 სერია 006801ბ, პროცენტიანი სამი ეზუთედი ობლიგაციისა № 2 სერია ს39519—520—521 ეგნატე ხურცილავას სახელზე, ჩ. გ. 2365

**დაკარგა** პასპორტი № 15 ბესე კეზერაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2362

**დაკარგა:** დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 89 ვანო მაისურაძის სახელზე, ჩ. გ. 2360

ტირაჟი — 35.273 პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამოს ქუჩა № 68 მთავლიტი № 904